საქართველოს
ბიბლიოთეკა

№2 (87) 2022

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: **sakartvelosbiblioteka@gmail.com**

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	**მაია მიქაბერიძე**
საპატიო რედაქტორი:	**ალექსანდრე ლორია**
სარედაქციო კოლეგია:	**გულნარა სტურუა** **რუსუდან ასათიანი** **დალი მაჩაიძე** **გიორგი ჩუბინიძე** **მირიან ხოსიტაშვილი**
ტექნიკური რედაქტორი:	**ლოლა სანაია**
დიზაინი:	**გიგი გელაშვილი**
დაკაბადონება:	**რევაზ თხილიშვილი**

საქართველოს ბიბლიოთეკა №2 (87) – 2022; გამოიცემა 2000 წლიდან.
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ლოგოში გამოყენებულია გრავიორ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შესრულებული ქართული ანბანის ასოთა ბმული.

ISSN 1512-0880
www.nplg.gov.ge
www.gela.org.ge

www.fb.com/magazineLibraryofGeorgia

შინაარსი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
რუსუდან ასათიანი
მიმართვა — 3

რედაქტორისაგან
მაია მიქაბერიძე
მიმართვა — 4

საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული
რუსუდან ასათიანი
კვირეულის გახსნა — 5

საქართველოს ბიბლიოთეკები: პრობლემები და პერსპექტივები
ქეთევან აბაზაშვილი
საქართველოს სათემო ბიბლიოთეკების პრობლემები და განვითარების გზები — 7

საქართველოს ბიბლიოთეკები: დაარსების ისტორია და დღევანდელობა
ეკა ბოჩიკაშვილი
საბიბლიოთეკო საქმიანობა ადიგენში — 10

ნანა ლურსმანაშვილი
შეხვედრა მწერალ ვასო გულეურთან — 14

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - ქვეყნისა და საზოგადოების აქტიურ სამსახურში
ინოვაციური ტრენინგი გიდებისთვის — 15

წიგნის ისტორია
ნანა ფირცხალავა
„კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ თორმეტტომეულის გამოქვეყნების ისტორიიდან” — 16

ნინო ხვედელიძე
სიგიზმუნდ ფეიერაბენდი.
წიგნები წერა-კითხვის არმცოდნე ადამიანებისთვის — 23

ქართული ლიტერატურა
მარიამ მარჯანიშვილი
ეპოქალური მოვლენები აკაკი პაპავასა და ოთარ ჩხეიძის შემოქმედებიდან — 27

რეცენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები
დალი მაჩაიძე
„თეთრი ხიდი“ - ქუთაისის ბიბლიოთეკის ახალი ჟურნალი
31

ბიბლიოფილის ჩანაწერები
ლევან თაქთაქიშვილი
წიგნი ჩემი მონარქია (გაგრძელება)
33

საქართველოს ისტორია
ზაქარია ჭიჭინაძე
ივანე გიორგის ძე მაჩაბლის დაკარგვის ამბავი, აღწერილი მომხდარის და ნახულის და გაგონილის ამბებიდამ (1924 წ. თებერვლის 20. თფილისი)
36

რიტა წაქაძე
სულის ნაჭდევი (ეროვნული მოძრაობა)
47

საქართველოს ბუნება
სალომე ჭანტურიძე
ქალაქი მწვანეში
52

ჩვენი იუბილარი კოლეგები
მაია მიქაბერიძე
ინგა ფილაური-ლორია-75
55

მანანა საგანელიძე
ვულოცავთ!
57

საინტერესო ამბები
ჯუზეპე არჩიმბოლდო
ბიბლიოთეკარი
58

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება: მოვლენები, ფაქტები
საბიბლიოთეკო კვირეულის ღონისძიებები
59

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 2021 წლის გამოცემები
63

ძვირფასო ბიბლიოთეკარებო,



რუსუდან ასათიანი
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი

დასრულდა პანდემია და გაზაფხულთან ერთად დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენს ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული, რომელსაც საბიბლიოთეკო ასოციაცია ყოველწლიურად ატარებს, წარმატებით და, რაც მთავარია, პირისპირ რეჟიმში ჩატარდა. ამდენი ხნის უნახავი კოლეგები შეხვდნენ ერთმანეთს და გაუზიარეს სიახლეები. ყველას მოგვენატრა ერთმანეთი.

გრძელდება თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან რეგიონული ბიბლიოთეკებისთვის ახალი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რისი წარმატებული მაგალითიც Civitas Georgica-სთან ერთად განხორციელებული პროექტებია.

განახლდა ჩვენი კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ბიბლიოთეკარებისთვის, რომლის გავლაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ბიბლიოთეკარი იქნება ის, თუ უბრალოდ საკითხით დაინტერესებული პირი. გრძელდება კონსულტაციები რეგიონული ბიბლიოთეკების მოდერნიზაციის საკითხებზე.

მიმდინარე წელს ჩვენგან ბევრი სიახლე გელოდებათ. რამდენიმე კვირაში ჩვენს გვერდებზე გამოვაცხადებთ იდეების კონკურსს ბიბლიოთეკების მოდერნიზაციის თემაზე, რომელთაგანაც შევარჩევთ საუკეთესოს, შემდგომში კი გამარჯვებული იდეა განხორციელდება ჩვენი ინვესტორების ფინანსური მხარდაჭერით.

მოკლედ, წინ უამრავი და, რაც მთავარია, რეალური გეგმა გვაქვს, რომლებსაც თქვენთან ერთად განვახორციელებთ.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, პროფესიულ და პირად წარმატებებს.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია მუდამ თქვენ გვერდითაა.

მაია მიქაბერიძე

ძვირფასო კოლეგებო, მეგობრებო!

ჩვენი ჟურნალის მე-2 ნომრის გამოცემა, ტრადიციულად, სააპრილმაისო განწყობებით გაჟღენთილ პერიოდს ემთხვევა. წიგნთან დაკავშირებული დღესასწაულების უმეტესობაც ხომ აპრილშია: ბიბლიოთეკარის დღე, წიგნის ჩუქების დღე, წიგნის საერთაშორისო დღე...

საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულიც ასევე აპრილში ტარდება-ხოლმე. მაგრამ, ყველასათვის ცნობილი საგანგებო ვითარების გამო, ეს ბოლო ორი წელი საქმიანი საუბრები ონლაინ შეხვედრების რეჟიმში მიმდინარეობდა, რაც, ერთგვარად ზღუდავდა თავისუფალ სამუშაო გარემოს.

წლევანდელი კვირეული კი ერთმანეთთან უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობამ გაალამაზა. ვიმედოვნებ, რომ ამიერიდან პანდემია, ომი თუ სხვა საერთაშორისო კატასტროფები აღარასოდეს დადგება ჩვენი პროფესიული და მეგობრული შეხვედრების ხელისშემშლელი მიზეზი.

წინამდებარე მე-2 ნომერში მკითხველი გაეცნობა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული კვირეულის ღონისძიებების იმ ნაწილს, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდეს რეგიონის ბიბლიოთეკებმა.

ჩვენი მკითხველებითვის საინტერესოა არა მარტო მიმდინარე მოვლენები, არამედ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორია, რომელსაც თითქმის ყოველ ნომერში ეთმობა ადგილი. ამ თემას ეხება სტატია, რომელშიც, ამჯერად, ადიგენის საბიბლიოთეკო ცხოვრების ისტორიის ქრონიკებია წარმოდგენილი. საბიბლიოთეკო ცხოვრება კი ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 125 წლის წინ დაიწყო, როდესაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1897 წელს სოფელ უდეში, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სურვილის პასუხად, სამკითხველო გახსნა. მერე იყო საბჭოთა პერიოდი, მერე დამოუკიდებლობის დიდი სიხარული...

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ თემის სრული გახსნა ჟურნალის ერთი ნომრის ფარგლებში, მაგრამ ჩვენი ადიგენელი კოლეგების მოწოდებულ მასალაში ნათლად ჩანს ამ რეგიონის საბიბლიოთეკო საქმიანობის ძირითადი მიზანი – მკითხველთა კეთილსინდისიერი მომსახურება, განათლების გავრცელების ხელშეწყობა და ზრუნვა მომავალი თაობების განვითარებაზე.

და, ბოლოს,

მინდა ჩვენს მკითხველებს გავუზიარო სიხარული ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი ჟურნალის – „თეთრი ხიდის“ გამოსვლასთან დაკავშირებით. ყოველი სიახლე საქართველოს კულტურულ სივრცეში საზოგადოების განვითარების კიდევ ერთი საწინდარია.

ვულოცავთ ჩვენს ქუთაისელ კოლეგებს ამ სიახლეს და ვუსურვებთ შემოქმედებით და პროფესიულ წარმატებებს. ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ამ ნომერში მკითხველი იხილავს ახალი გამოცემის N1-ის მიმოხილვას.

საბიბლიოთეკო კვირეული



რუსუდან ასათიანი
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი

მიმდინარე პერიოდი საბიბლიოთეკო ცხოვრებაში ყველაზე დატვირთული და საინტერესოა, ვინაიდან 30 აპრილს დაიწყო და ერთი კვირა გაგრძელდა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული.

30 აპრილი საქართველოს ბიბლიოთეკარის დღეა. ბიბლიოთეკარის პროფესიული დღე დაფუძნდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ 2002 წელს და მას შემდეგ ტრადიციულად აღინიშნება საქართველოს ყველა ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნაც ამ დღეს უკავშირდება – ყოველ წელს, 30 აპრილიდან მომდევნო კვირის განმავლობაში საქართველოს ყველა ბიბლიოთეკაში სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები იმართება.

წელს კვირეული განსხვავებულ ფორმატში გაიხსნა. ღონისძიების მთავარი სპიკერი

იყო ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი, რომელმაც წაიკითხა ლექცია სახელწოდებით „ბიბლიოთეკარი – წიგნის ჯადოქარი“. ლექცია საინტერესო და უჩვეულო ფორმატში გაიმართა. ლევანმა ხაზი გაუსვა ბიბლიოთეკარის მნიშვნელობას, მოიყვანა ძალიან საინტერესო მაგალითები იმ ბიბლიოთეკარების ცხოვრებიდან, რომლებიც დღეს ლეგენდად არიან ქცეული. ლევან თაქთაქიშვილისგან არავის გაკვირვებია პირდაპირი, თუმცა ჯანსაღი კრიტიკა არსებული საბიბლიოთეკო სიტუაციის შესახებ. საკმაოდ მწვავე იყო მისი რამდენიმე მოსაზრება, რამაც ლექციის ბოლოს ძალიან საინტერესო და ემოციური დისკუსია გამოიწვია. აზრთა ამ ტიპის გაცვლა-გამოცვლა ზოგჯერ საჭიროა, რადგან მუდმივად ვიყოთ მზად ახალი გამოწვევებისთვის, არ მოვდუნდეთ და არ ჩამოვრჩევთ მსოფლიოში მიმდინარე სიახლეებს.

კვირეულის გახსნას ესწრებოდნენ ბიბლიოთეკარები მთელი საქართველოდან. საბიბლიოთეკო ასოციაციამ უდიდესი რესურსი გაიღო იმისთვის, რომ საბიბლიოთეკო საზოგადოება ერთიანი ყოფილიყო. 2013 წლიდან მოყოლებული ასოციაცია უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარებს რეგულარულ შეკრებებს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, რამაც გამოიწვია მთელი საქართველოს ბიბლიოთეკარების არა მხოლოდ პროფესიული ურთიერთობა, არამედ ახლო მეგობრობაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიის შემდგომ ეს იყო პირველი ღონისძიება, რომელიც პირისპირ რეჟიმში ჩატარდა, რასაც ყველანი გადაჩვეულები ვართ, რადგან ბოლო წლები ყველა ჩვენი შეხვედრა მხოლოდ Zoom-ის მეშვეობით ტარდებოდა.

არაფერი შეედრება ერთმანეთის პირისპირ ნახვის სიხარულს, ვინაიდან ბიბლიოთეკებს, რომლებიც საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არიან დაკავშირებული, განსაკუთრებული ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებთ. ეს არის საუკეთესო ბიბლიოთეკარებისგან შემდგარი გუნდი, რომელიც მუდმივად აძლიერებს ერთმანეთს და გვერდში უდგას საბიბლიოთეკო ასოციაციას.

საქართველოს სათემო ბიბლიოთეკების პრობლემები და განვითარების გზები

ქეთევან აბაზაშვილი
საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას" პროექტის მენეჯერი

საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას" მიზანია, საქართველოში ღია, ეფექტური და დემოკრატიული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა; საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის დონის ამაღლება და თემის განვითარების მხარდაჭერა. „კივიტას გეორგიკას" საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა საბიბლიოთეკო მიმართულება. ორგანიზაციის მუშაობის მოტივაცია საქართველოს ბიბლიოთეკების ყველა მიმართულებით გაძლიერების ხელის შეწყობაში მდგომარეობს.

ბიბლიოთეკების პრობლემები. დღეს ბიბლიოთეკების წინაშე სხვადასხვა გამოწვევა დგას. უპირველესი პრობლემა, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით იგრძნობა, ინფრასტრუქტურული სიმწირეა. სწორედ ამიტომ, 2020 წელს, როცა პანდემია ახალი დაწყებული იყო, ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკამ" საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან თანამშრომლობით ბიბლიოთეკების გაძლიერების პროექტი დაიწყო, რომელსაც ერქვა „მაღალმთიან რეგიონებში სათემო ბიბლიოთეკების დახმარება პანდემიის პირობებში, ონლაინ სერვისების გასაზრდელად". ჩვენი სამიზნე იყო მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის 9 მუნიციპალიტეტის 26 ბიბლიოთეკა. თიანეთის, ამბროლაურის, ცაგერის, ონის, ლენტეხის, ტყიბულის, დუშეთის, ბაღდათისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში ბიბლიოთეკები აღვჭურვეთ ციფრული ტექნიკით, გადავეცით კომპიუტერები, პრინტერები, ჩავურთეთ ინტერნეტი, დიგიტალური სერვისების ბარათის წამკითხველები და სხვა. ამ ონლაინ სერვისების გააქტიურებამ თითქოს ახალი სიცოცხლე შეიტანა სოფლებში.

განვითარების მხრივ დიდი დაბრკოლებაა საბიბლიოთეკო პერსონალის ანაზღაურება, რაც უმეტესად მიზერული და, ამასთან, ასიმეტრიულიც არის, რაც დამოკიდებულია მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის კონკრეტული ორგანოს წარმომადგენლის პრიორიტეტებზე. ეს, რა თქმა უნდა, უსამართლობის შეგრძნებას იწვევს, და უარყოფითად შეიძლება მოქმედებდეს ბიბლიოთეკარების მოტივაციაზე.

პრობლემაა სხვა მხრივაც. ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული ღონისძიებები ძირითადად ტრაფარეტული ხასიათისაა. პოეზიის საღამოები, ან წიგნის განხილვა/პრეზენტაცია, რაც თავისთავად ძალიან კარგია, თუმცა აქ მთავრდება მოქალაქეების მონაწილეობა და ბიბლიოთეკების, როგორც სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლების პოტენციალის მქონე აქტორის როლი. თანამედროვეობაში ბიბლიოთეკა უნდა იყოს თემის ინტერესების გამტარებელი, თემსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის კავშირების წამახალისებელი, საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული საკითხების გადაწყვეტაში აქტიური როლის შემსრულებელი...

ბიბლიოთეკების მთავარი ფუნქცია. დღეს ბიბლიოთეკების ფუნქცია, უპირველესად, წარ-

მომიდგენია, როგორც სასკოლო პროცესის არაფორმალური განათლების კუთხით მხარდაჭერა. ბავშვებს სკოლაში ასწავლიან სამოქალაქო განათლებას. ეს არის თეორია იმაზე, თუ როგორ უნდა იყვნენ აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები. როცა ბავშვები სკოლის სივრცეს ტოვებენ, ეს ცოდნა პრაქტიკაში ვეღარ გადმოდის. სამოქალაქო განათლების გაკვეთილებიდან მიღებული ცოდნა და მოტივაცია თითქოს იკარგება, როცა ახალგაზრდები რეალობაში საკმაოდ ბევრ ბარიერს აწყდებიან ადგილობრივი ჩართულობისა და მონაწილეობის კუთხით. შესაძლებელია, რომ ბიბლიოთეკამ იკისროს მათი მხარდამჭერის როლი. ადგილობრივ საზოგადოებას დაანახოს, რომ ის არის საიმედო დასაყრდენი ადგილობრივი განვითარების პროცესებში და, რომ ბიბლიოთეკას, როგორც მუნიციპალურ ერთეულს, შეუძლია, მოქალქეებს დაეხმაროს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, ან შესთავაზოს პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული სერვისები, მაგალითად, უზრუნველყოს სივრცე ან ცოდნის მიწოდება ისეთ საკითხებში, როგორიც, მაგალითად, საპროექტო განაცხადის მომზადებაა, ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ცალკეული ქვეყნების გამოცდილება, მაგალითად, პოლონეთის ქალაქი გდინია, რომელსაც საჯარო ბიბლიოთეკის 19 ფილიალი აქვს და ჯამში 68 ბიბლიოთეკარი მუშაობს. ამ ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკას წარმოუდგენლად აქტიური და ფართო სოციალურ-კულტურული ფუნქცია აკისრია. ბიბლიოთეკები ადგილობრივი მოსახლეობისთვის უამრავი სახის ტრენინგს მასპინძლობს, მათ შორის, ძალადობის, ბულინგის თუ მსგავს აქტუალურ სოციალურ თემატიკაზე. ასევე, საბიბლიოთეკო ცხოვრება ინკლუზიურია. სპეციალური საჭიროებების მქონე მოქალაქეებისთვის სრულფასოვანი სერვისის მიწოდებისთვის ქ. გდინიას ბიბლიოთეკის თანამშრომლები გადამზადებულები არიან.

ადგილობრივი თვითმმართველობის დამოკიდებულება ბიბლიოთეკებთან. დღეს, როცა წიგნი გაციფრულდა, ბიბლიოთეკის მიმზიდველობა პირდაპირ კავშირშია ონლაინ სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან, შესაბამისად, ახალგაზრდების ინტერესიც იზრდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოკიდებულებას ბიბლიოთეკების განვითარების საკითხის მიმართ. მინდა პოზიტიურ მაგალითად ვახსენო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ოფურჩხეთის ბიბლიოთეკა. იქ ჩასვლისას პირველი, რაც თვალშისაცემია, ესაა კარგი ინფრასტრუქტურა, ფერადი გარემო და ეს დიდწილად ამ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისა და თანამშრომლების აქტიურობის დამსახურებაა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი არის აქტიური, მორგებულია თანამედროვე საჭიროებებს და, როგორც თავად გვითხრა, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობაზე დაყოლიებასაც ახერხებს.

ამ სოფელში ერთერთ დიდ კომპანიას ჰესი უნდა აეშენებინა. ბიბლიოთეკის დირექტორმა ამ კომპანიის სოციალური საკითხების ჯგუფთან წარმატებით ითანამშრომლა, რის შედეგადაც მათ ბიბლიოთეკის ძირითადი ფართი სრულად გაარემონტეს და ახალი ინვენტარით აღჭურვეს. ბიბლიოთეკაში ერთი შეხედვითაც შეიმჩნევა თემის მაცხოვრებელთა, განსაკუთრებით კი, სკოლის მოსწავლეების სიმრავლე. ახალგაზრდებს მოსწონთ ეს ფერადი სივრცე და გული მიუწევთ იქ. ეს აქტიურობა ასევე შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული იყოს იმითაც, რომ სკოლა მოპირდაპირე მხარესაა. სოფლად სკოლისა და ბიბლიოთეკების ტერიტორიული სიშორე ხშირად ერთერთი მიზეზია იმისა, რომ ბიბლიოთეკა ცარიელია.

მიმდინარე და სამომავლო პროექტები. ახლა მიმდინარეობს პროექტი „საჯარო ბიბლიოთეკებისა და სკოლების დაკავშირება მაღალი სათემო მონაწილეობისთვის“. პროექტის მონაწილეა 7 მუნიციპალიტეტი: წყალტუბოს სოფელ ოფურჩხეთის ბიბლიოთეკა; ზესტაფონის სოფელ ქვედა საქარას ბიბლიოთეკა; თიანეთის საჯარო და ახალსოფლის ბიბლიოთეკები; თელავში იყალთოს ბიბლიოთეკა; გურჯაანის სოფელ ველისციხის ბიბლიოთეკა და ქალაქ რუსთავის ბიბლიოთეკა. პროექტი მხარდაჭერილია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ და საბიბლიოთეკო კომპონენტში ვთანამშრომლობთ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან.

20 აპრილს თბილისში ჩატარდა კონფერენცია, სადაც მოხდა ვიშეგრადის ქვეყნების გა-

მოცდილების გაზიარება ადგილობრივი ბიბლიოთეკებისთვის. ამ პროექტში მონაწილე 7-მა ბიბლიოთეკამ მაის-ივნისში უნდა უმასპინძლოს ახალგაზრდების საჯარო შეხვედრებს ე.წ. „სამოქალაქო დღის წესრიგის“ შესამუშავებლად. შეხვედრების დროს სკოლის მოსწავლეებმა უნდა გამოკვეთონ ადგილობრივი პრობლემები და პრიორიტეტებად დაალაგონ ისინი. გვსურს, რომ მათ ნამუშევარს დოკუმენტის ფორმა მივცეთ და გადავცეთ ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის ორგანოს. გვინდა, ბიბლიოთეკების საშუალებით დავეხმაროთ მათ მერიასთან თუ საკრებულოსთან კომუნიკაციაში.

ამავე პროექტის ფარგლებში გასულ წელს ბიბლიოთეკარებს ჩაუტარდათ ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში, რათა უფრო კარგად გარკვეულიყვნენ თვითმმართველობის კომპეტენციებში, პასუხისმგებლობებსა და ექსკლუზიურ უფლებებში, რომ უფრო მოქნილად დაამყარონ ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებებთან. ვგეგმავთ, რომ ივნისში ერთ სივრცეში შევკრიბოთ ბიბლიოთეკარები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და გავუზიაროთ ჩეხეთის პრაქტიკა ადგილობრივი განვითარების აქტორების თანმიმდევრული და ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ, რათა მათაც უკეთ დაინახონ ასეთი პარტნიორული ურთიერთობების სიკეთე საზოგადოებისთვის.

დღეს უმეტესად ბიბლიოთეკის პერსონალს უჭირს, უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებსა და საჭიროებებს. აქ მიზერული ანზღაურების პრობლემაც დგას. ასეთი ხელფასით რთულია, დააინტერესო ახალგაზრდა, უფრო მოტივირებული ადამიანი, რომ სათემო ბიბლიოთეკაში იმუშაოს. ჩვენი დაკვირვებით, ბიბლიოთეკების აქტიურობა პროექტებზეა დამოკიდებული. რასაც არასამთავრობო ორგანიზაციები სთავაზობენ, ისინი მოდიან თანამშრომლობაზე, მაგრამ პროექტის დასრულება მნიშვნელოვნად ანელებს მათ შემდგომ აქტიურობას. დღეს ახალგაზრდები ბიბლიოთეკაში ნაკლებად მივლენ მხოლოდ წიგნისთვის. ბიბლიოთეკა უნდა იყოს სივრცე, სადაც ისინი თავს კომფორტულად იგრძნობენ. ახალგაზრდა ადამიანები ბიბლიოთეკას უნდა ხედავდნენ ადგილად, სადაც შეუძლიათ მეგობრებთან ერთად საკუთარი ინიციატივები განავითარონ, იმუშაონ პროექტებზე, საფუძველი ჩაუყარონ იმას, რაც შემდგომ საკუთარი სოფლის, დაბისა თუ ქალაქის განვითარებას წაადგება. ბიბლიოთეკაში მისვლის ბევრი მიზეზი არსებობს. შესაძლოა მიდიოდეს მოხალისედ, რომ სხვას გაუზიაროს თავისი ცოდნა, მაგალითად ასწავლოს კომპიუტერის, ინტერნეტის მოხმარება, ჩაატაროს ტრენინგი, ორგანიზება გაუწიოს სხვადასხვა ღონისძიებას.

სოფლებში ბიბლიოთეკის როლის შეცვლა დამოკიდებულია, ერთის მხრივ, ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობის სურვილზე და მოტივაციაზე, რომ განვითარდნენ და, მეორე მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის სწორ პრიორიტეტებზე, მხარი დაუჭირონ ბიბლიოთეკებს, გაზარდონ მათი დაფინანსება. თვითმმართველობის მიდგომა უნდა გახდეს ლიბერალური ბიბლიოთეკებისთვის თავიანთი საქმიანობის არეალში მეტი დამოუკიდებლობის და ინიცირების შესაძლებლობების მინიჭების კუთხით.

მიმდინარე პროექტში, ბიბლიოთეკები და სკოლები კონკრეტულ აქტივობებში წამოგვყვნენ, რადგან, როგორც ჩანს, ეიმედებათ თავიანთი ადგილობრივი თვითმმართველობები. მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს სკოლამ ბიბლიოთეკაში მოაწყო შეხვედრა საკრებულოს არჩეულ დეპუტატთან. ჩვენ ამ ბავშვებს მცირე პროექტებს ვუფინანსებთ, მაგალითად, საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების და ზებრაზე გადასასვლელის დახაზვის საკითხებზე. საჭირო ინვენტარით დაფინანსების სურვილი ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გამოთქვა. ამ შეხვედრაზე ბავშვებმა ისაუბრეს ადგილობრივი თემის პრობლემებზე, მათ მონაწილეობასა და თანამშრომლობაზე, რაც ძალიან სასიკეთოდ მენიშნა. რასაკვირველია, ამ ახალგაზრდების მოტივაცია აქტიური მოქალაქეობის კუთხით ამ შეხვედრის და წარმატებული თანამშრომლობის შემდგომ უფრო გაიზარდა. პროექტის მონაწილე 7 მუნიციპალიტეტს თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათთან თანამშრომლობა კეთილსაიმედოა.

როცა ადგილობრივ განვითარებაზე ვსაუბრობთ, ფაქტი ერთია, რომ საზოგადოებაში ბიბლიოთეკის როლი უნდა შეიცვალოს, ბიბლიოთეკა თემის ცხოვრებაში უფრო აქტიური უნდა გახდეს, რადგან მას ეს პოტენციალი ნამდვილად გააჩნია.



ეკა ბოჩიკაშვილი
ა(ა)იპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი

„სიბრძნის სახლი“ ადიგენში

ადიგენის საბიბლიოთეკო ცხოვრება – 125

ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბიბლიოთეკო ცხოვრების დაწყება დაკავშირებულია XIX საუკუნეში მომხდარ დიდ პოლიტიკურ ცვლილებებთან, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში თურქთა ბატონობის დასასრულთან და რუსული მმართველობის დამკვიდრებასთან, რომელმაც მაშინვე დაიწყო რუსიფიკატორული ქმედებები. რეალური საფრთხე შეექმნა ქართულ ენასა და ტრადიციებს, რომლის გადარჩენის უმთავრეს პირობად ადგილობრივმა მოსახლეობამ განათლება მიიჩნია. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ადიგენში დაარსდა სასოფლო სკოლა. მოგვიანებით სოფელ უდეშიც გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი. სკოლების დაარსებამ ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგ-

პირველ რიგში, მარცხნიდან: ციცინო ღვინიაშვილი, ცისანა ბოგვერაძე, ნანა ქაშიბაძე, ციური მაღრაძე, ლამარა ჯელია; მე-2 რიგში: მანანა ჩაგუნავა, დარეჯან ხუციშვილი, ვარდო ლომაშვილი (ბიბლიოთეკის გამგე 1966-2002 წწ), მზია კიკაბიძე, მერი კესარელი, იზოლდა ჩიხაძე; უკანა რიგში: ნათელა ბალახაშვილი, ვალენტინა პანკრატოვიჩი, ნინო თუმანიშვილი, რუსუდან ჩიხაძე, ცუცა ჩიქოვანი, ცისანა აფრიამაშვილი

ნების გაძლიერებას. გაჩნდა განათლების დამატებითი კერის – ბიბლიოთეკის დაარსებისა და მისთვის ხარჯის გაწევის სურვილიც.

გაზეთი „ივერია“ 1895 წელს სოფელ უდის შესახებ წერდა: „აქაური მცხოვრებლები არიან ძველი ქართველები. დღეს აქნობამდის არავითარი კვალი არ სჩანდა ჩვენს ხალხში სწავლა-განათლებისა; მაგრამ ეს ერთი წელიწადია, რაც სამკითხველოს და ბიბლიოთეკის დაარსების სურვილი გაუცხოვლდა აქაურს ხალხს. ყველა ამის მიზეზი გახდა ვანო პავლეს ძე მერაბიშვილი, რომელმაც აღძრა ქრისტიანებში თუ მაჰმადიანებში ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს დაარსების სურვილი და თვითონვე იკისრა პირველი ხარჯი...“ [1]

ბიბლიოთეკის დასაარსებლად სოფლის მოსახლეობამ განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა. კერძოდ, 1897 წლის თებერვალში ივანე მერაბიშვილისა და გიორგი ზაალიშვილის ინიციატივით მოწვეულ იქნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს თანამგრძნობ პირთა კრება, სადაც აირჩიეს სამზრუნველო კომიტეტი. სამზრუნველო კომიტეტმა მიმართა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რათა დახმარებოდნენ სამკითხველოს გახსნაში. ყველა ხარჯს თვითონ კომიტეტი კისრულობდა. ქშწკგ საზოგადოების გამგეობას უნდა გამოეწერა ქართული პერიოდული პრესა, წიგნები და რუსული გაზეთი „კავკაზი“. საზოგადოების მთავარი გამგეობა ამას მოწონებით შეხვდა და მისი დახმარებით სოფელ უდეში 1897 წლის 1 ივლისს დაფუძნდა ბიბლიოთეკა[4]. ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკას ჰქონდა 250 ცალი ქართული და 51 რუსული წიგნი. ქშწკგ საზოგადოებამ გაუგზავნა 118 წიგნი. ჰყავდათ 60 ხელისმომწერი. დღიურად ემსახურებოდნენ საშუალოდ 6 მკითხველს. [6]

სოფელ უდეში ბიბლიოთეკის დაარსებას განსაკუთრებული მოწონებით შეხვდა ახალგაზრდობა. ქშწკგ საზოგადოების მთავარი გამგეობისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „სოფელ უდის ახალგაზრდობა არასოდეს არ დაივიწყებს იმ სიკეთეს, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებამ მოგვანიჭა ჩვენ საწყალ ერს და გაგვიხსნა სამკითხველო-წიგნსაცავი 1 ივლისს, 1897 წელსა [4]“. მოგვიანებით, 1902 წლისთვის, ბიბლიოთეკას ჰქონდა

მარცხნიდან (სხედან): ნათელა ბალახაშვილი, მანანა გიჟოშვილი, ნინო თუმანიშვილი, იზოლდა ჩიხაძე, ცისანა ბოგვერაძე. დგანან: მაგული დემეტრაძე, მანანა ჩაგუნავა, ანიკო გიგოლაშვილი, დარეჯან ხუციშვილი

უკვე 400-ზე მეტი წიგნი და თითქმის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი [3].

ბიბლიოთეკის დანიშნულება ძალზე დიდი იყო. იგი წარმოადგენდა ქშწკგს-ს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს და აქედან გამომდინარე, გამგეები მომსახურებას უწევდნენ როგორც წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობას, ასევე მართავდნენ კოლექტიურ კითხვებს, ეწეოდნენ წერა-კითხვის სწავლებას. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ასეთი მუშაობით შესაძლებელი გახდა მოსახლეობის კულტურული დაწინაურებაც და მათში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაც.

უდის სამკითხველოს ივ. მერაბიშვილის შემდეგ ხელმძღვანელობდა ივანე ბარიკალაშვილი, უდის სკოლის მასწავლებელი. 1901 წელს ზ. ჭიჭინაძე წერდა: „დღეს მთელს ქვაბლიანში ოთხ სოფელში – უდეში, არალში, ვალეში და ბოლაჯურში ლაპარაკობენ ქართულს და ამავე

ადიგენის ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკარი ცუცა ჩიქოვანი მკითხველებთან ერთად

სოფლებში არსებობს წერა-კითხვის საზოგადოების სამმართველოს მიერ გახსნილი სკოლები, ხოლო უდეში გახსნილია საერთო სამკითხველო, რომლის ნაყოფიც ჩემის თვალით ვნახე აქაურს ხალხში. მდაბიო ხალხი ქართულ წერა-კითხვას კარგად შეეჩვია, გაზეთებს და ჟურნალებს სიამოვნებით კითხულობენ“.[2]

სოფელ უდის ბიბლიოთეკა 1916 წლიდან დაექვემდებარა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ახალციხის განყოფილებას. მან ფუნქციონირება შეწყვიტა 1919 წელს, რადგან მთლიანად იქნა განადგურებული სერვერ ბეგის ბანდების მიერ.[5]

მე-20 საუკუნის შუა წლებიდან ადიგენის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში – აბასთუმანში, უდეში, არალში, ბოლაჯურში, ქვემო ენთელსა და სხვაგან, გაიხსნა ბიბლიოთეკები, რომლებიც, მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის ზეწოლისა, მაინც ასრულებდნენ ბიბლიოთეკის, როგორც ერთ-ერთი მძლავრი საგანმანათლებლო სივრცის, უპირველეს მოვალეობას – განათლების გავრცელების ხელშეწყობას.

საქართველოს სახალხო კომიტეტის ბრძანებულებით 1945 წელს დაბა ადიგენში გაიხსნა ქოხ-სამკითხველო, რომლის ფონდი ძირითადად მოსახლეობაში შეგროვებული წიგნების ბაზაზე ჩამოყალიბდა. პირველი ბიბლიოთეკა მდებარეობდა კულტურის სახლის II სართულზე. პირველი ბიბლიოთეკარი გახლდათ ლავრენტი ენდელაძე. შემდეგ ბიბლიოთეკის გამგე იყო ვინმე რეხვიაშვილი, მის შემდეგ – დოდო ჩარკვიანი, რომელთან ერთადაც ბიბლიოთეკარის მოვალეობას ასრულებდა ლიზა ფარცახაშვილი.

1949 წლის 1 აპრილიდან ბიბლიოთეკას სათავეში ჩაუდგა ქალბატონი ნინო გიქოშვილი, უმაღლესი განათლების მქონე, უაღრესად განათლებული ქალბატონი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ბიბლიოთეკისთვის. მან ბიბლიოთეკის ფონდი ჩაიბარა 2200 წიგნით და თორმეტი წლის მანძილზე ფონდი გაზარდა 22000 ეგზემპლარამდე. 1962 წელს ბიბლიოთეკა ჩაიბარა ბატონმა გიორგი გავაშელმა, პროფესიონალმა ბიბლიოთეკარმა, რომელსაც, მისი წინამორბედის მსგავსად, დამთავრებული ჰქონდა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1966 წლიდან მისი საქმიანობა გააგრძელა ქალბატონმა ვარდო ლომაშვილმა, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მაღალ პროფესიულ დონეზე უძღვებოდა კულტურისა და განათლების ამ მნიშვნელოვან კერას ადიგენის რაიონში. იგი დროდადრო რაიონულ გაზეთის („განახლებული მესხეთი“) საშუალებით ადგილობრივ საზოგადოებას აცნობდა ბიბლიოთეკების მუშაობას, მათ პრობლემებსა და წარმატებებს.

XXI საუკუნის დასაწყიში მტკივნეული პროცესები დაიწყო საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში. ადიგენის საბიბლიოთეკო ქსელში შემავალი 64 ბიბლიოთეკიდან, რომელიც მოიცავდა 156 საშტატო ერთეულს, დარჩა მხო-

ლოდ 34 მოქმედი ბიბლიოთეკა 47 საშტატო ერთეულით. შეიცვალა ადიგენის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობაც. 2004 წელს ბიბლიოთეკა ჩაიბარა იზოლდა პეტრიაშვილმა.

2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, პატივი მხვდა და დავინიშნე ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე. პატივთან ერთად, ჩემთვის ეს, ამავე დროს, არის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა, რომელსაც დღემდე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ვასრულებ.

ყოველწლიურად ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ივსება ახალი წიგნებით. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და სხვადასხვა წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციების ხელშეწყობით ბიბლიოთეკას თითქმის ყოველწლიურად გადმოეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი, რომელიც ავსებს და ამდიდრებს საბიბლიოთეკო ფონდს. დღეისათვის ადიგენის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელში მუშაობს 22 თანამშრომელი, ხოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 105000-მდე ეგზემპლარს.

ბიბლიოთეკის დაარსებიდან ბევრი ღირსეული ადამიანი მუშაობდა ჩვენს სისტემაში. მათთვის მთავარი იყო თავიანთი პროფესიისადმი სიყვარული. უნდა აღინიშნოს მათი ორგანიზატორული ნიჭი და წესრიგისადმი სიყვარული, კოლეგიალობის პრინციპის დაცვა და ურთიერთპატივისცემა. ადიგენის ბიბლიოთეკა, ესაა „სიბრძნის სახლი“ – სადაც მრავალ ადამიანს უმუშავია. ისტორიამ შემოგვინახა მათი ნათელი სახეები, პატიოსნება, საქმისადმი უანგარო თავდადება. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი აღარ არის ჩვენ შორის. ჩვენ, ბიბლიოთეკის მუშაკებს, ისღა დაგვრჩენია, რომ ჯანმრთელობა, სულიერი სიმტკიცე და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ ჩვენი საბიბლიოთეკო გაერთიანების ყველა მუშაკს. ჩვენი თანამშრომლების და კოლეგების სახელით, გვსურს საზოგადოება დავარწმუნოთ, რომ კვლავ უდიდესი შემართებითა და ენერგიით ვიღვაწებთ წიგნიერი ახალგაზრდების ჩამოყალიბებისათვის.

გამოყენებული მასალა

1. ს. უდე // ივერია. – 1895. – 5 მაისი (N95).
2. ჭიჭინაძე, ზაქარია. წერილი ქვაბლიანიდგან //ივერია. –1901. –12 ივნ. (N125).
3. ბეთანელი, ბაგრატ. ს. უდე //ცნობის ფურცელი. – 1902. – 29 იანვ. (N1711).
4. ჩხიტუნიძე, თ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. – თბ., 1980.
5. ყრუაშვილი, ნატო. კულტურულ-საგანმანათლებლო კერები სოფელ უდეში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე // საზრისი : შრომების კრებული . – 2013. – N28. – გვ.75-79.
6. ქურციკიძე, ზ. წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოები // განახლებული მესხეთი. – ადიგენი, 1980. – 6 მარტი.

შეხვედრა მწერალ ვასო გულეურთან

ნანა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის ა(ა)იპ კულტურის და ხელოვნების ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილებათა ხელმძღვანელი

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა საბავშვო მწერალ ვასო გულეურთან (ორგანიზატორი – საბავშვო განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი სოფიო ლაცაბიძე). ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის, ხარაგაულის N2 საჯარო და მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები მწერლის წიგნებიდან, შეასრულეს სიმღერები და საგალობელი. მწერალი ბავშვების მიერ დასმულ შეკითხვებს დიდი სიყვარულით პასუხობდა.

„ლექსებს ხშირად დედას ვუძღვნიდი. მერე, როცა საბავშვო ლექსების წერა დავიწყე, უკვე ჩემს შვილებს ვუძღვნიდი და ხშირად ჩემი ლექსების პერსონაჟებიც ჩემი შვილები იყვნენ. დაახლოებით 25 წელია, რაც წერა დავიწყე. ეს ის საქმეა, რაც მინდა ვაკეთო. 22 საბავშვო წიგნი მაქვს გამოცემული და მალე ოცდამესამეც დაიბეჭდება. ხატვაც მიყვარს და ჩემს ნაწარმოებებს ზოგჯერ ილუსტრაციებით თვითონვე ვაფორმებ... მწერალთა სახლში გვაქვს პროექტი „სტუმრად მწერალთა სახლში“, რომლის ფარგლებშიც თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს ვიწვეთ და მათთვის საინტერესო ნაწარმოებებს განვიხილავთ ან სხვადასხვა თემაზე ვსაუბრობთ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებთან შეხვედრები. მათ ნამდვილად სჭირდებათ ცოცხალ მწერლებთან ურთიერთობა. ხშირად მათ ჰგონიათ, რომ მწერლები გარდაცვლილები არიან. ძალიან ვცდილობ, იცოდნენ ბავშვებმა, რომ დღესაც წერენ ქართველი და უცხოელი მწერლები. მათთან ურთიერთობის შემდეგ ახალი ნაწარმოების და ლექსის იდეა იბადება. ბევრ რამეს ვსწავლობ ბავშვებისგან და იმედია, ისინიც სწავლობენ. დღეს ძალიან კარგი შეხვედრა შედგა ხარაგაულელ ბავშვებთან და დიდი მადლობა ამისთვის მათ..“- თქვა ვასო გულეურმა.

ღონისძიების ბოლოს ბავშვებმა და დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებმა ფოტოები გადაიღეს მწერალთან. ა(ა)იპ კულტურის და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა ვასო გულეურს მადლობა გადაუხადა სტუმრობისთვის და სამახსოვროდ სიმბოლური საჩუქარი გადასცა. საბავშვო განყოფილება პროექტის „შეხვედრა მწერალთან“ფარგლებში ხარაგაულელ ბავშვებს კიდევ ბევრ მწერალთან შეხვედრას პირდება.

ინოვაციური ტრენინგი გიდებისთვის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სივრცეში დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინოვაციური ტრენინგ-მოდულის განხორციელება, რომელიც ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ან მომავალში დასაქმების მსურველ გიდების უფასოდ მომზადება/გადამზადებას ითვალისწინებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალაგზარდობის საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობით შეიქმნა მაღალი პროფესიული სტანდარტის სასწავლო დოკუმენტი, რომელიც მსოფლიო გამოცდილებას იზიარებს და მაღალკვალიფიციური, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი განათლების მქონე გიდების მომზადების საშუალებას იძლევა. ტრენინგ-მოდულის გავლის შემდეგ, გიდები დაეუფლებიან საქართველოსა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სამეცნიერო, აკადემიურად ღირებულ ინფორმაციას; აითვისებენ ტურის წარმართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევებსა და პირველადი სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების აუცილებელ წესებს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოამზადებენ საექსკურსიო პროგრამებს, საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად წარმართავენ ტურს და შეძლებენ ტურის შესახებ ანგარიშის მომზადებას.

პროექტის მონაწილეობაზე სურვილი 500-მდე ადამიანმა გამოთქვა. მათგან, გასაუბრების შედეგად, 140 ადამიანი შეირჩა, რომლებიც სრულიად უსასყიდლოდ, გაივლიან ძალიან საინტერესო ტრენინგ-კურსებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანების ჩართულობით. აუდიტორიის პარალელურად, შეხვედრები ონლაინ ფორმატშიც მიმდინარეობს. თეორიული კურსის გარდა, პრაქტიკული სწავლება გაიმართება სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გიდებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცემათ.

პროექტი სახელწოდებით „კულტურის სფეროში დასაქმებული გიდების ტრენინგები კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით 2021 წელს შემუშავებული მოდულის მიხედვით“, მოიცავს საერთაშორისო სტანდარტების თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებს. კურსი არის ერთგვარი პრაქტიკული სახელმძღვანელო უნარებისა და კომუნიკაციის ტექნიკის ყველა ძირითადი ელემენტის პერსონალური სასწავლო მიდგომების, კრიტიკული აზროვნების სტრატეგიული გამოყენების, საგანმანათლებლო რესურსების, მოქნილი სწავლებისა და სხვა ინოვაციური სწავლის მეთოდების ერთობლიობა. მისი გავლის შემდეგ გიდებს შეეძლებათ, ტურისტებს მიაწოდონ სიღრმისეული ინფორმაცია საქართველოს ისტორიული-კულტურული ძეგლების, ტურისტული ადგილების შესახებ, საინტერესოდ და ფაქტების დამახინჯების გარეშე წარმოაჩინონ ქვეყანა.

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ“ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ნანა ფირცხალავა
ჩერქეზულ (ადიღეური) კულტურის ცენტრის მკვლევარი-ბიბლიოგრაფი

კავკასიის არქეოგრაფიული კომისია 1864 წლის 11 მარტს, (მ. პოლიევექტოვის მიხედვით, 7 აპრილს) დაარსდა თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის, სამოქალაქო მდივნის ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის ინიციატივით. კომისიის დანიშნულება იყო, შეეკრიბა, შეესწავლა და გამოსაცემად მოემზადებინა რუსეთ-კავკასიის ასწლიან ომში (1763-1864 წწ) დამარცხებული და რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი კავკასიის უმაღლესი მმართველობის არქივის მასალები.

საარქივო მასალების მოწესრიგება ჯერ კიდევ 1843 წელს დაევალა 1842-44 წლებში საქართველოს მთავარმართებლის და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მეთაურის, გენერალ ალექსანდრე ნეიდგარდტის განკარგულებით შედგენილ კომისიას. ოცი წლის შემდეგ არქეოგრაფიულმა კომისიამ აღნიშნული არქივი ჩაიბარა და მის გამოსაქვეყნებლად მუშაობას შეუდგა.

კავკასიის მეფისნაცვლისადმი 1864 წლის 14 თებერვალს წარდგენილ ბარათში, ბარონ ნიკოლაის განმარტებით, კომისიის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ ისეთი პიროვნებები, რომელთაც ექნებოდათ სამეცნიერო განათლება, სარედაქციო და საარქივო მუშაობის გამოცდილება, კარგად ეცოდინებოდათ ადგილობრივი მოსახლეობის ენები და მათი ისტორია. ასეთ პიროვნებებად ბარონმა ნიკოლაიმ მიიჩნია და მეფისნაცვალთან რეკომენდაცია გაუწია: არქეოგრაფსა და ისტორიკოსს, კოლეგიის მრჩეველს, წარმოშობით ფრანგს, რუსეთში განათლებამიღებულ ადოლფ ბერჟეს (როგორც კომისიის მომავალ თავმჯდომარეს), მეფისნაცვლის მთავარი არქივის უფროსს ი. ნირკოვს, მთავარი სამმართველოს მთარგმნელს, აღმოსავლური ენების თარჯიმანს, მირზა ფათალი ახუნდოვსა და მთავარი სამმართველოს კოლეგიის მსაჯულს, ისტორიკოსს, ეთნოგრაფსა და კრიტიკოსს, ნ. ბერძენოვს (ნიკოლოზ ბერძნიშვილს).

ბარონ ნიკოლაის ბარათის საფუძველზე კავკასიის მეფისნაცვალმა თანხმობა განაცხადა ადოლფ ბერჟეს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნაზე და კომისიისთვის დაწვრილებითი პროგრამის შემუშავება მოითხოვა, რაც ბარონმა ნიკოლაიმ ადოლფ ბერჟეს დაავალა.

ადოლფ ბერჟეს მიერ შემუშავებული პროგრამის თანახმად, კომისიის მიზანს შეადგენდა კავკასიაში არსებული არქივების, პირველ რიგში კი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს არქივის, შესწავლა და გამოქვეყნება, რომელიც 1801-1845 წლებში საქართველოს მთავარმართებლის, 1845-1859 წლებში – კავკასიის მეფისნაცვლის, ხოლო 1859 წლიდან კი კავკასიის მეფისნაცვლის სამოქალაქო მმართველობის კანცელარიის სახელწოდებით იყო ცნობილი.

პროგრამაში სპეციალური პარაგრაფი ეთმობოდა „საიდუმლო შინაარსის აქტებს“, რომელთა გამოქვეყნება პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებებით მიზანშეწონილი არ იყო და არ უნდა შესულიყო ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ტომებში. ასეთი აქტები საგანგებო გამოცემებში უნდა დაბეჭდილიყო და იმ რაოდენობით, რამდენსაც ხელისუფლება მიიჩნევდა საჭიროდ.

... და დაიწყო პირველი ტომის მომზადების პერიოდი.

„პირველადი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, წერს ზ. ამირეჯიბი თავის ნაშრომში „ადოლფ პეტრეს ძე ბერჟე“, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, საგანგებოდ შემოწმდა 33 ტომი, მაგრამ ამის გარდა არქივში აღმოჩნდა ძველი საეკლესიო აქტები ქართულ ენაზე, რომლებიც 1852 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორიდან მოხვდნენ იქ.“ ავტორის თქმით, სწო-

ალექსანდრე ნიკოლაი

რედ ამ მასალამ განაპირობა კიდეც „აქტების“ პირველი ტომის შინაარსი. ტომი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი გუჯრებია, ეკლესიისთვის მეფის ან მემამულის მიერ გაცემული საბუთები – წყალობის სიგელები ქართულ ენაზე და სპარსულ, არაბულ და თურქულ ენებზე არსებული 1398-1799 წლების დოკუმენტები. მეორე ნაწილი რუსული დოკუმენტებია, რომლებიც გიორგი XII-ის დროინდელ საქართველოს, ასევე გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგისა (1762-1802 წწ) და თავად პავლე ციციანოვის (ციციშვილის) (1798-1802 წწ)) კავკასიაში მოღვაწეობას ეხება.

კომისიამ საეკლესიო დოკუმენტებიდან გამოჰყო, მისი შეხედულებით, ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტები და 412 გუჯართან ერთად შესანახად მთავარი სამმართველოს არქივს გადასცა. ნ. ბერძნიშვილმა გადარჩეული მასალიდან დასაბეჭდად შეარჩია მეთოთხმეტე საუკუნით დათარიღებული 153 დოკუმენტი, რომლებიც იმდროინდელი ეკლესიისა და სასულიერო ფენის საზოგადოებასთან დამოკიდებულებას გამოხატავდა. სამმართველოს არქივს გადაეცა ასევე ისტორიული მნიშვნელობით, უძველესი კალიგრაფიული ხელოვნებით, მეფეებისა და კათალიკოსების ხელმოწერებით საინტერესო გუჯრები.

„აქტების“ პირველი ტომის პირველ ნაწილში მოთავსებულია საქართველოში რუსეთის ჯარების პირველი მთავარსარდლის, გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგის პორტრეტი. მის დამზადებასთან დაკავშირებით ად. ბერჟეს მოლაპარაკება ჰქონია ს.-პეტერბურგელ ლითოგრაფ ბრეზესთან, თუმცა საბოლოოდ ის თბილისში, მთავარი სამმართველოს სტამბაში, კარლ ტომსონის ქრომოლითოგრაფიულ საამქროში დაუბეჭდავთ. კავკასიის რუკის დაბეჭდვა და პირველი ტომისთვის დართვა გენერალური შტაბის პოლკოვნიკ სტებნიშკინთან შეუთანხმებიათ, „აქტების“ პირველი და დანარჩენი ტომებიც ავსტრიის ქვეშევრდომს ჰენრიხ დიუსტერდიკს გაუფორმებია, რომელიც ტომსონის ქრომოლითოგრაფიულ საამქროში მუშაობდა მხატვრად.

„აქტების“ პირველი ტომი 1866 წელს გამოქვეყნდა. მასში X, 816 გვერდი და ერთი რუკაა. მასაც, ისევე როგორც დანარჩენ ტომებს, დართული აქვს ანბანური საძიებელი.

„აქტების“ მეორე ტომის ბეჭდვა 1868 წლის იანვარში დაიწყო. ის საქართველოს მთავარსარდლისა და მთავარმართებლის – ინფანტერიის გენერლის, თავად პავლე ციციანოვის პერიოდს მოიცავს. ტომში შეტანილი დოკუმენტები ეხება საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარებასა და მის შემდგომ პერიოდს, საქართველოს სამეფო სახლს, სათავადაზნაურო არჩევნებს, მღელვარებებს საქართველოში... ტომ-

ადოლფ ბერჟე

АКТЫ

СОБРАННЫЕ

КАВКАЗСКОЮ АРХЕОГРАФИЧЕСКОЮ КОММИССІЕЮ.

АРХИВЪ КАНЦЕЛЯРІИ ГЛАВНОНАЧАЛЬСТВУЮЩАГО.

ТОМЪ XI.

ИЗДАНЪ ПОДЪ РЕДАКЦІЕЮ ПРЕДСЕДАТЕЛЯ КОММИССІИ

к. с. ДМ. КОБЯКОВА.

ТИФЛИСЪ.

1888.

ში შეტანილია მირზა ფათალი ახუნდოვის მიერ თარგმნილი არაბული, სპარსული, თურქული და სომხური დოკუმენტების დედნები, ასევე ნ. ბერძნიშვილის რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული დოკუმენტები. მეორე ტომის ბეჭდვა იმავე წლის 30 ოქტომბერს დასრულდა. იგი 1238 გვერდისა და სამი ჩართული პორტრეტისაგან შედგება – ერთ-ერთი მათგანი ტომსონის ქრომოლითოგრაფიულ საამქროში დამზადებული დავით ბატონიშვილის პორტრეტია.

„აქტების“ მესამე ტომი კავკასიისა და ამიერკავკასიის მთავარმართებლის, გენერალ-ფელდმარშალ ი.ვ. გუდოვიჩის მმართველობის (1806-1809 წწ) პერიოდს ასახავს. რუსეთის ხელისუფლების დავალებით მთავარმართებელი გუდოვიჩი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა რუსეთის ურთიერთობას ამიერკავკასიის მუსულმანურ პროვინციებთან. სწორედ ამიტომ ტომში ამ ურთიერთობებისადმი მიძღვნილ თავებს აქვს დიდი ყურადღება დათმობილი. თბილისში, ტომსონისავე ლითოგრაფიულ საამქროში დაუმზადებიათ ამ ტომში შეტანილი მეფე ერეკლე მეორის, გიორგი მეთორმეტის, დარეჯან დედოფლის, იულონ ბატონიშვილის, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის, სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის, კათალიკოს ანტონ მეორის, უფლისწულების – ვახტანგისა და იოანეს პორტრეტები... აქვე, ცალკე ფურცელზეა დაბეჭდილი იმ პირთა ავტოგრაფები, რომელთაც გამორჩეული ადგილი ეკავათ საქართველოში რუსეთის ბატონობის დამყარების პერიოდში. სულ ამ ფურცელზე ასეთი 38 ხელრთვაა. ეს ავტოგრაფებიც ტომსონის საამქროშია დამზადებული.

მესამე ტომი 1869 წელს გამოქვეყნდა. მასში VI, 760 გვერდი, 9 პორტრეტი და 38 ფაქსიმილეა.

1809-1811 წლებს მოიცავს „აქტების“ მეოთხე ტომი. ესაა კავალერიის გენერალ ა.პ. ტორმასოვის მმართველობის პერიოდი, იმერეთის სამეფოს დაცემის, იმერეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის ხანა. ამ ტომში იმერეთთან დაკავშირებული მრავალი დოკუმენტია შესული. იგი 1870 წელს გამოქვეყნდა და 1013 გვერდისაგან შედგება. დართული აქვს უფლისწულების: ბაგრატის, თეიმურაზის, ფარნაოზისა და მისი მეუღლის, ანას პორტრეტები...

„აქტების“ მეხუთე ტომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში გენერალ-ლეიტენანტ მარკიზ ფ.ო. პაულიჩის მმართველობის (1811-1812 წწ) პერიოდის დოკუმენტებია შესული, მეორე კი ინფანტერიის გენერალ ნ.ფ. რტიშჩევის მმართველობის (1812-1816 წწ) პერიოდის მასალებს მოიცავს. აქ ნახავთ რუსის ჯარის მიერ ციხესიმაგრე ახალქალაქის აღებასთან, თბილისში საქართველო-იმერეთის წმინდა სინოდის დაარსებასთან და ბევრ სხვა საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. ამ ტომის დამატებაში კი ყურადღებას იქცევს ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დიმიტრი ბაქრაძის წერილი „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში“, ბაქოს, შირვანის, შაქის ხანებისა და ელისუს სულთნების შთამომავლობითი ნუსხები...

მეხუთე ტომი 1873 წელს გამოქვეყნდა. მასში VIII, 1170 გვერდი და ექვსი ჩართული პორტრეტია, მათ შორის, ერეკლე მეორის ვაჟის, უფლისწულ ალექსანდრე ბატონიშვილისა.

ინფანტერიის გენერალ ა.პ. ერმოლოვის მმართველობას (1816-1827 წწ) მიეძღვნა „აქტების“ მეექვსე ტომი. ისიც ორ ნაწილად დაიბეჭდა: პირველი – 1874, მეორე კი – 1875 წელს. პირველ ნაწილში ცალკეა გამოყოფილი თავი: „საქართველოს სამეფო სახლი“, სადაც 281-312-ე გვერდებზე ალექსანდრე ბატონიშვილთან დაკავშირებული მასალებია თავმოყრილი, 529-685-ე გვერდებზე კი იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, წებელდისა და გურიის შესახებ არსებული მა-

სალების გაცნობაა შესაძლებელი. „დანართებისა და დამატებების“ რუბრიკაში შესულია 1398-1800 წლების სიგელები, ფირმანები და სხვა აქტები, 1800-1827 წლების უმაღლესი რესკრიპტები (მეფის წერილები ქვეშევრდომებისადმი), განკარგულებები და სხვა დოკუმენტები, მეხუთე ტომში დაბეჭდილი დ. ბაქრაძის ნაშრომის „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში“ მეორე ნაწილი, განჯისა და ყუბის ხანების შთამომავლობითი ნუსხები... პირველ ნაწილში XIII, 941 გვერდი და ორი პორტრეტია – ერმოლოვის და 1817-21 წლებში საქართველოს ეგზარქოსის, საქართველოში ცარიზმის კოლონიალურ-რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტიური გამტარებლის თეოფილაქტესი (რუსანოვისა), მეორე ნაწილში კი II, 950 გვერდია და ასევე ორი პორტრეტი – მეფე გიორგი მეთორმეტის მეუღლის, მარიამის და ფათალი შაჰისა (1797-1834 წლებში ირანის შაჰი ყაჯართა დინასტიიდან, აღა-მაჰმად-ხანის ძმისშვილი).

მეექვსე ტომით ამოიწურა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს არქივის მთელი ფონდი, რომელიც იმპერატორების ალექსანდრე I-ის მთელ პერიოდსა და ნიკოლოზ I-ის მეფობის საწყის ხანას მოიცავს.

კავკასიის მეფისნაცვლის, კავკასიის ჯარების მთავარსარდლის, გენერალ-ფელდმარშალ გრაფ ივანე თედორეს ძე პასკევიჩ-ერივანსკის მმართველობის (1827-1831 წწ) პერიოდს ეხება „აქტების“ მეშვიდე ტომი. ამ ტომში შესული დოკუმენტები კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს არქივში დაცული 2760 საქმიდან გამორჩეული და საოლქო შტაბის ადგილობრივი არქივის მასალებისაგან შეირჩა. აქაა სვანეთის დამორჩილებასთან დაკავშირებული საბუთებიც... მეშვიდე ტომი 1878 წელს გამოქვეყნდა. ისიც ორნაწილიანია. პირველი ნაწილი 478 გვერდიანია, მეორე კი – XI, 994 გვერდიანი. პორტრეტი სამია – იულონ ბატონიშვილის, პასკევიჩ-ერივანსკისა და აბას მირზასი.

1881 წელს გამოქვეყნდა „აქტების“ მერვე, კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ ბარონ გ.ვ. როზენ I-ის მმართველობის (1831-1837 წწ) პერიოდის მომცველი ტომი. ამ ტომისთვის მასალები ს.-პეტერბურგის სამხედრო და ფინანსთა სამინისტროების არქივებიდანაც იქნა გამოკრეფილი. სწორედ ამ წლებში გამოიცა სახელმწიფო სენატის მთელი რიგი დადგენილებები და განკარგულებები, რომელთა საფუძველზეც უნდა გაუქმებულიყო თბილისის ზარაფხანა – მონეტების, ორდენების, მედლებისა და სხვა სახელ-

ნიკოლოზ ბერძნიშვილი (ბერძენოვი)

მწიფო ნიშნების დამამზადებელი სახელმწიფო საწარმო, უნდა გაუქმებულიყო ქართული სამთო ექსპედიცია, საქართველოში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში შემოღებულიყო რუსული ზომა-წონა, დაარსებულიყო განსაკუთრებული სააქციზო სამმართველო... ტომში XXI, 1009 გვერდი და ერთი პორტრეტია – ბარონ როზენ I-ისა, რომელიც კავკასიის მთიელთა ეროვნულ – განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობას ხელმძღვანელობდა.

შამილი

მიხეილ ვორონცოვი

გენერალ-ადიუტანტების ე.ა. გოლოვინისა (1837-1842 წწ) და ა.ი. ნეიდგარდტის მმართველობის (1842-1844 წწ) პერიოდები აისახა „აქტების“ მეცხრე ტომის ორ ნაწილში, რომლებიც 1884 წელს გამოქვეყნდა და კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის არსებობის ოც წლისთავს დაემთხვა. როგორც ამ ტომში თავმოყრილი მასალა გვიჩვენებს, გოლოვინის მთელი ძალისხმევა შამილის ხელისუფლების ლიკვიდაციისკენ იყო მიმართული, თუმცა იმხანად იმპერიის ძირითადი მიზანი მიღწეული ვერ იქნა, პირიქით, შამილის გავლენა კავკასიაში სულ უფრო და უფრო გაძლიერდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ად. ბერჟეს მოსაზრება: „ჩვენი ბრძოლა მთიელებთან..., წერს ის, გაცილებით მეტ ძალას მოითხოვდა იმ ძალებთან შედარებით, რომლებითაც ჩვენ ვფიქრობდით მხარის მორჩილებაში მოყვანას... მოითხოვდა მხარის და მისი მოსახლეობის უკეთეს ცოდნას და, რაც მთავარია, მთავარმართებლის სამხედრო ტალანტს, რომელიც საკმარისად არ ჰქონდა სუსტი ნებისყოფის მქონე ნეიდგარდტს მთების ისეთ გენიალურ მბრძანებელთან ბრძოლაში, როგორიც სინამდვილეში შამილი იყო.“

მეცხრე ტომი XXXI, 1013 გვერდიანია. მასში სამი პორტრეტია – ე. გოლოვინის, ა. ნეიდგარდტისა და კავკასიის მთის (დაღესტანი, ჩეჩნეთი) ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთაურის, შამილისა.

„აქტების“ მეათე ტომი კავკასიის მეფისნაცვლის, გენერალ-ფელდმარშალ, თავად მიხეილ ვორონცოვის კავკასიაში მთავარმართებლობის (1844-1854 წწ) ათწლეულს მიეძღვნა. ვორონცოვი ერთდროულად ემსახურებოდა კავკასიის კოლონიზაციისა და რუსეთის იმპერიასთან მისი სრული შერწყმის საქმეს, თუმცა ამას მეთოდურად, უმეტესწილად კულტურული ღონისძიებებით აკეთებდა. მისი მართველობის პერიოდში, 1846 წელს დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, ამავე წლიდან გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „კავკაზმა“ და წელიწდეულმა „კავკაზსკი კალენდარმა“. 1848 წელს აღდგა მაგნიტური და მეტეოროლოგიური ობსერვატორია. 1850 წლის 27 ივლისს დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომელიც ორ პერიოდულ გამოცემას: „იზვესტია კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვა“-სა და „ზაპისკი კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვა“-ს აქვეყნებდა. 1851 წელს თბილისში, არქიტექტორ სკუდიერის პროექტით (ინტერიერი მოხატა გ. გაგარინმა) აიგო საოპერო თეატრის შენობა...

სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში პროფესიული სამუზეუმო საქმიანობის დაწყებაც: 1852 წელს თბილისში დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი, 1855 წელს – კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმი, 1856 წელს კი „ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტი“, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს „კავკასიის მუზეუმს“.

1852 წელს გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ პირველი ნომერი. მ. ვორონცოვმა პირველმა მიაქცია ყურადღება კავკასიის არქივებს, რომელთა დამუშავება 1846-1850 წლებში მიმდინარეობდა. აი, რას წერდა ზ. ჭიჭინაძე მის შესახებ ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (1918, N12): „ვორონცოვმა ქართველებში ისე გაიკეთა სახელი, ვითომც იგი ქართველი ერის გულშემატკივარი იყო. ის კი არა, იგი იყო ჩუმი მტერი და ისეთი ბოროტი, რომლის მსგავსი ნაკლებად მოიძებნებოდა თვით აშკარად ბოროტად ცნობილთა შორისაც. იგი იყო მეტათ მოხერხებული მტერი ქართველი ერისა“.

„აქტების“ მეათე ტომი 1885 წელს გამოქვეყნდა. იგი XXXVI, 938 გვერდიანია. ტომში რვა ჩართული პორტრეტია, მათ შორის ვორონცოვის, მისი მეუღლის და გენერალ ბებუთოვისა.

მეათე ტომი იყო „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ ბოლო გამოცემა, რომელიც ადოლფ ბერჟეს, როგორც რედაქტორის, ხელმოწერით განხორციელდა, რისი მიზეზიც მისი უეცარი გარდაცვალება გახდა.

1888 წელს გამოქვეყნდა „აქტების“ მეთერთმეტე ტომი, თუმცა მისთვის მასალების შესაგროვებლად მზადება გაცილებით ადრე, ად. ბერჟეს სიცოცხლეშივე დაწყებულა, რაც მისი სამოქალაქო ნაწილში კავკასიის მთავარმართებლისადმი 1885 წლის 15 ივნისით დათარიღებული მიმართვით დასტურდება.

ად. ბერჟეს წინადადებით მეთერთმეტე ტომში უნდა შესულიყო კავკასიის მეფისნაცვლის, ინფანტერიის გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ მურავიოვის, კავკასიის მეფისნაცვალ, გენერალ-ფელდმარშალ თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკისა და დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის მოღვაწეობის პირველი ორი წლის მომცველი დოკუმენტები.

მეთერთმეტე ტომის გამოცემა გაჭიანურდა. ტომმა მხოლოდ ნ. მურავიოვის მმართველობის (1854-56 წწ) პერიოდი მოიცვა. ტომის რედაქტორის, დ. კობიაკოვის თქმით, ამის მიზეზი ტომის შინაარსის ად. ბერჟესეული გეგმის ცვლილება გახდა. ცვლილება კი მურავიოვის შესახებ დოკუმენტების დიდი რაოდენობისა და, შესაბამისად, ტომის მოცულობის გაზრდით იყო გამოწვეული. ტომში XII, 1020 გვერდი და ერთი ჩართული პორტრეტია, ნ.ნ მურავიოვისა.

1904 წელს გამოქვეყნდა „აქტების“ მეთორმეტე ტომი. როგორც ჟურნალ „რუსსკაია სტარინა“-ს 1886 წლის 49-ე ტომში გამოქვეყნებული მ. სემევსკის სტატიიდან ვიგებთ, ად. ბერჟეს ამ ტომის გამოსაცემად მოსამზადებელი სამუშაოც დაწყებული ჰქონია, რაც მისი 1886 წლის 20 იანვრით, გარდაცვალებამდე ათი დღით ადრე, გაკეთებული ჩანაწერით დასტურდება.

მეთორმეტე ტომი კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის, გენერალ-ფელდმარშალ თავად ალექსანდრე ბარიატინსკის მმართველობის (1856-1862 წწ) პერიოდს ეხება. ტომში XII, 1556 გვერდი და ოთხი ჩართული პორტრეტია: ა.ი. ბარიატინსკის, მილიუტინის, მუჰამედ ემინისა და ნ.ი. ევდოკიმოვის. არქეოგრაფიული კომისიის იმდროინდელი თავმჯდომარის, გენერალ-ლეიტენანტ ს.დ. შერემეტიევის ნებართვით

დიმიტრი ბაქრაძე

„აქტების“ ეს ტომი არა მარტო დიდი, უფრო მცირე ფორმატითაც დაიბეჭდა ოთხ წიგნად, მხატვრული დანართების გარეშე, მიჯრილი შრიფტით.

„აქტები“ თანამედროვეების მიერ შეფასდა როგორც „ძვირფასი განძი“, „საუცხოო და მდიდრული გამოცემა“, „უაღრესად ძვირფასი იშვიათობა“, „უაღრესად მეცნიერული“... „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეხუთე ტომში, 305-ე გვერდზე კი ვკითხულობთ: „კავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ... გამოსაცემად ძირითადად მეფის რუსეთის მფლობელობის დადებითი მხარეების ამსახველი მასალა შეარჩია. ამგვარი მუშაობის შედეგად ბევრი საყურადღებო დოკუმენტი ვერ მოხვდა კ.ა.კ-ის მიერ გამოსაცემად შერჩეულ აქტებში“.

გაცილებით კრიტიკულია ამავე ენციკლოპედიის პირველ ტომში, 256-ე გვერდზე გამოქვეყნებული შ. ხანთაძის სტატია: „აკტი კავკაზსკოი არხეოგრაფიჩესკოი კომისიი“, სადაც ნათქვამია, რომ „გამოცემის მიზანი იყო კავკასიაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამართლება. ამან განაპირობა მასალის ტენდენციური შერჩევა (უმთავრესად შეიცავს სამხედრო წყაროებს, ნაკლებად – ცნობებს ეკონომიურ და სოციალურ

მირზა ფათალი ახუნდოვი

ურთიერთობათა შესახებ)... არქეოგრაფიული თვალსაზრისით დოკუმენტები არადამაკმაყოფილებლად არის გამოქვეყნებული (არ ახლავს ლეგენდები, არ არის მითითებული წყაროები და სხვ.). მიუხედავად ამისა, საქართველოს, კავკასიისა და ახლოაღმოსავლეთის შესაბამისი ეპოქების ისტორიის დიდად მნიშვნელოვანი წყაროა“.

P.S.

„აქტები“ პირველად დიდი ხნის წინ, სტუდენტობისას გადავფურცლე საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში, სადაც მაშინ სხვა პატივსაცემ ადამიანებთან ერთად ჩემთვის ძვირფასი ქალბატონები – თამარ დონდუა და თამარ მაჭავარიანი მუშაობდნენ. სწორედ მათ მიამბეს რუსეთ-კავკასიის ასწლიან ომზე და რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობაზე, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის „აქტების“ ბეჭდვის ისტორიაზე, ადოლფ ბერჟეს დამსახურებაზე „აქტების“ გამოცემის საქმეში, რუსეთ-კავკასიის ომთან დაკავშირებულ სხვა მასალებზე, რომლებიც თითქმის მზად იყო გამოსაცემად, მაგრამ დღემდე გამოუქვეყნებელი დარჩა და საქართველოს სახელმწიფო არქივშია დაცული... სავარაუდოდ, იმის გამო, რომ იმდროინდელმა მსოფლიომ „აქტების“ უკვე გამოქვეყნებული ტომებიდან იცოდა რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, რომ ევროპაში უკვე ქვეყნდებოდა ნაშრომები რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის თაობაზე, რომ ჯერ ისევ ცოცხლები იყვნენ კავკასიელი ხალხების გამანადგურებელი ჯალათი რუსი გენერლები...

შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფად მუშაობისას, როცა 1832 წლის შეთქმულებით და ამ შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრისა და ორგანიზატორის, დიდი ქართველი მოაზროვნის, ფილოსოფოს სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობით დავინტერესდი და მისი ბიობიბლიოგრაფიისთვის მასალების შეგროვებას შევუდექი.

შემდეგ უამრავჯერ...

ბოლოს, როცა ჩერქეზეთის ბიბლიოგრაფიის შედგენაზე მუშაობა დავიწყე...

„აქტების“ თორმეტივე და გამოუქვეყნებელ მეცამეტე ტომშიც უამრავი მასალაა ჩერქეზეთზე, ჩერქეზულ ტომებზე, მათ თავგანწირულ ბრძოლაზე რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ რუსეთ-კავკასიის ასწლიან ომში...

ძვირფასო მკითხველო,

„აქტების“ გამოუქვეყნებელი, მეცამეტე ტომი ვახსენე... მის შესახებ ჟურნალის მომდევნო ნომერში გიამბობთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამირეჯიბი, ზ. ადოლფ პეტრეს ძე ბერჟე. - თბ.,1998.
2. ხორავა, ბ. უბიხები-ბრძოლა თავისუფლებისათვის // ისტორიანი. – 2020. – N8.-გვ. 10-17.
3. Берже, Ад. Выселение горцев с Кавказа. Ред. Бежана Хорава. – Тб., 2011.
4. Горшельт, Т. Кавказские сцены. – С. Петербург, 1872. – [4]с. 21 илл.
5. Клочков, М.Б. Судьба Кавказского наместничьего архива // საისტორიო მოამბე. – 1925. – წიგნი I.
6. Полиевктов, М.А. Кавказская Археографическая комиссия и ё наследие в Центрархиве ССР Грузии // საისტორიო მოამბე. – 1925. - წიგნი II.

სიგიზმუნდ ფეიერაბენდი
წიგნები წერა-კითხვის არმცოდნე ადამიანებისთვის

ნინო ხვედელიძე
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგიზმუნდ ფეიერაბენდი

წიგნის ისტორიის მკვლევარები ფრანკფურტელ სიგიზმუნდ ფეიერაბენდს (1528-1590) ნიურნბერგელი მესტამბის ანტონ კობერგერის (1440-1513) გვერდით მოიხსენიებენ. ისინი უნივერსალური პოლიგრაფისტები იყვნენ და გამოსცემდნენ დიდი რაოდენობის ბეჭდურ პროდუქციას, რომელთა რაოდენობა დღესაც იწვევს წიგნის მკვლევართა განცვიფრებას. ჩვენი ჟურნალის (საქართველოს ბიბლიოთეკა, 2018, N4 (73), გვ. 8-10.) მკითხველი უკვე გაეცნო კობერგერის მოღვაწეობას და მის მიერ შექმნილ „ქრონიკების წიგნს“ – „Liber Chronicarum“, რომელსაც მხატვრული გაფორმების მარგალიტს უწოდებენ.

ანტონ კობერგერის გარდაცვალებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, 1528 წელს, გერმანიის ქალაქ ჰეიდელბერგში დაიბადა სიგიზმუნდ ფეიერაბენდი. ყმაწვილობა მან მშობლიურ ქალაქში გაატარა, სადაც ჯერ კიდევ 1386 წლიდან არსებობდა უნივერსიტეტი. ახალგაზრდობის წლები კი სიგიზმუნდმა მოგზაურობასა და ხელოვნების შემეცნებაში განვლო, როგორც ეს მიღებული იყო იმდროინდელი მხატვრებისათვის. იგი დიდი ოსტატობით ქმნიდა ფერწერულ ტილოებს. აუგსბურგსა და ვენაში კი მან წარმატებით შეისწავლა ხეზე და ლითონზე გრავირების ხელოვნება.

1559 წელს სიგიზმუნდი დაქორწინდა. მისი რჩეული გოგონა მაინის ფრანკფურტის მკვიდრი გახლდათ და ფეიერაბენდის ახალგაზრდა ოჯახმა ამ ქალაქში დაიმკვიდრა ადგილი. 1560 წელს მომავალმა გამომცემელმა მოქალაქეობის უფლება მიიღო და მუშაობა დაიწყო ადგილობრივი მესტამბეების – დევიდ ცოპფელისა და იოჰან რაშას საგამომცემლო სახელოსნოში. სიგიზმუნდი ამზადებდა გრავიურებსა და ორნამენტებს დასაბეჭდი წიგნებისათვის.

გერმანიაში მეთექვსმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყეს პირველი საგამომცემლო კომპანიების – პოლიგრაფიული საწარმოების შექმნა, სადაც ერთ სივრცეში იქმნებოდა წიგნი, შრიფტის ჩამოსხმიდან ყდაში ჩასმის ჩათვლით. ერთ-ერთი ასეთი პირველი საგამომცემლო კომპანია სიგიზმუნდ ფეიერაბენდმა დააფუძნა 1560 წელს. მისი კომპანიონები იყვნენ გეორგ რაბო და ვეიგანდ ხანომი. ამ საგამომცემლო ფირმის სახელით დაიბეჭდა მრავალი წიგნი, რომელთა შორის იყო დასურათებული ბიბლია. გამოცემისთვის ილუსტრაციები სიგიზმუნდმა ცნობილ მხატვარ –



სიგიზმუნდ ფეიერაბენდის საგამომცემლო ნიშანი. 1568 წ.

ვირგილიუს სოლისთან (1514-1562) ერთად შექმნა. თუმცა, იგი დამოუკიდებლადაც მუშაობდა.

წარმოშობით ნიურნბერგელი მხატვარი, გრავიორი, ორნამენტალისტი და მინიატურისტი ვირგილიუს სოლისი (1514-1562) გახლდათ მხატვრების დიდი ოჯახის წევრი. იგი ძირითადად წიგნის ილუსტრაციის შექმნით იყო დაკავებული. მუშაობდა ნიურნბერგში, ციურიხსა და აუგსბურგში. სავარაუდოდ, მან იტალიაშიც იმოგზაურა, რადგან მისი ორნამენტული კომპოზიციები უხვად შეიცავდა იტალიურ მოტივებს. ვირგილიუსმა ქსილოგრაფიული ტექნიკით შექმნა ილუსტრაციები ლუთერანული ბიბლიისთვისაც, რომელიც 1553 წელს გამოიცა. სოლისის ცნობილი ილუსტრაციებით არის გაფორმებული პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის „მეტამორფოზებიც“, რომელიც გამოქვეყნდა ფრანკფურტში 1581 წელს. წიგნი დიდი მოწონებით სარგებლობდა. იგი დასურათებული იყო ხის საგრავიურო დაფებიდან ამობეჭდილი 183 გრავიურით.

სოლისმა შეასრულა გრავიურათა სერია ალეგორიულ თემებზე, რომლებიც აღორძინების ხანის ხელოვნებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ასეთები იყო: „წელიწადის დრონი“, „თვეები“ და სხვა. მის ნამუშევრებში უხვად გვხვდება სხვადასხვა კომპოზიციები, თანამედროვეთა პორტრეტები ამოტვიფრული გერბებითა და ინიციალებით, ცხოველების სურათები, ნადირობის სცენები, არქიტექტურული ნაგებობები, ქუჩის სცენები, სათამაშო ბარათები და საღვთო რომის იმპერიის გერბი (1555).

სოლისმა გადაწერა ალბრეხტ დიურერის არაერთი გრავიურა. მეორე მხრივ, მის ორნამენტულ კომპოზიციებს – არაბესკებსა და გროტესკებს – იყენებდნენ სხვა მხატვრები, მოქანდაკეები, იუველირები, ლითონის მხატვრული დამუშავების ოსტატები. სოლისმა დაამზადა დეკორატიული ფრიზები თასების, ხმლისა და ხანჯლების სახელურებისათვის. მის უცნაურ კომპოზიციებში ადამიანისა და ფანტასტიკური არსებების ფიგურები ერთმანეთს ერწყმოდა.

მეთექვსმეტე საუკუნის 40-50-იან წლებში სოლისმა დააფუძნა ბეჭდვისა და გრავირების სახელოსნო, რომელშიც მუშაობდნენ მისი ვაჟები და თანაშემწეები. ამ სახელოსნოში შეიქმნა ორ ათასზე მეტი გრავიურა. სოლისის მოსწავლე, შეგირდი და ასისტენტი გახლდათ ცნობილი მხატვარი და რედაქტორი იოსტ ამანი (1539-1591). მხატვარი იყო სოლისის უფროსი ვაჟიც – ვირჯილ სოლის უმცროსი (1551-?), რომელიც პრაღაში იმპერატორ რუდოლფ II- ის კარზე მსახურობდა.

დავუბრუნდეთ კვლავ სიგიზმუნდ ფეიერაბენდს. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის მაინის ფრანკფურტში საგამომცემლო საქმე მეტწილად მასზე იყო დამოკიდებული. იგი დიდფორმატიანი გამოცემების ბეჭდვით იყო ცნობილი. სიგიზმუნდმა რამდენჯერმე გამოსცა „ბიბლია“, რომლისთვისაც ილუსტრაციები შექმნეს ვირგილიუს სოლისმა და იოსტ ამანმა. შემდეგ, კი ფეიერაბენდმა ცალკე ალბომად დაბეჭდა „ბიბლიური სურათები“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. სიგიზმუნდი სხვა გამოცემებსაც იმავე პრინციპით ბეჭდავდა: იგი ჯერ დასურათებულ წიგნს აქვეყნებდა, შემდეგ კი იმავე წიგნის ილუსტრაციებს ალბომად გამოსცემდა. ისინი განკუთვნილი იყო გრაფიკის მოყვარულებისა და წერა-კითხვის არმცოდნე ადამიანებისათვის. ამ

მეთოდმა განსაკუთრებულად გაამართლა და სიგიზმუნდს წარმატება მოუტანა.

არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა სიგიზმუნდ ფეიერაბენდის მიერ დაბეჭდილი ანტიკური ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებები. მან გამოსცა ქრონიკები – ისტორიული ნაშრომების მთელი ბიბლიოთეკა: „ბავარიული ქრონიკა“, „თურქული ქრონიკა“, „ვენეციური ქრონიკა“, „უნგრული ქრონიკა“ და ა. შ.

იმ დროისათვის მიღებული წესის თანახმად, ქრონიკების ავტორები მოგზაურთა მონათხრობის მიხედვით ქმნიდნენ ნაწარმოებებს. ისინი თავად არ იყვნენ ნამყოფი იმ ქვეყანაში, რომელზეც ნაშრომს წერდნენ. ერთ-ერთი ასეთი წიგნი იყო ეპისკოპოს ჯოვიო პაოლო ნოვოკომსკის (1483-1552) თხზულება – „მოსკოვური ქრონიკა“, რომელიც ფეიერაბენდმა 1576 წელს გამოსცა. პაოლო ნოვოკომსკიმ თხზულება შექმნა დიმიტრი გერასიმოვის თარჯიმნის მონათხრობის მიხედვით. გერასიმოვი იტალიაში პაპ კლიმენტი VII-სთან იყო მიწვეული.

სიგიზმუნდ ფეიერაბენდი ცდილობდა გამოეცა ისეთი წიგნები, რომლებიც მოსახლეობას წერა-კითხვის შესწავლაში დაეხმარებოდა. მან სახალხო კითხვისათვის შექმნა სერიული გამოცემები: „ახალი აღთქმა“ (1567), „სიყვარულის წიგნი“, რომლებშიც გერმანული სახალხო რომანები გააერთიანა (1578). ფეიერაბენდმა 1584 წელს გამოსცა „წმინდა მიწაზე „მოგზაურობის წიგნი“ – „Terra Sancta Travel Book“, რომელშიც შევიდა თვრამეტი მოგზაურობა. გამოცემებისათვის ის იწვევდა საუკეთესო მხატვარ-გრავიორებს, როგორებიც იყვნენ ოსტ ამანი, ვირგილიუს სოლისი და ტობიას შტიმერი.

სიგიზმუნდი განსაკუთრებით მჭიდროდ თანამშრომლობდა ამანთან, რომელმაც მხატვრულად გააფორმა ჯოვანი ბოკაჩოს „ცნობილი ქალბატონები“; „მზარეულის წიგნები“ (1581, 1587, 1604); მრავალრიცხოვანი „გერბული წიგნები“ და შუასაუკუნეების ქალაქური ლიტერატურის ცნობილი ძეგლი „Reynekelis“ – „მელაკუდა რეინეკელის ისტორია“. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა წიგნი სათაურით „Eygentliche Beschreibung aller Stände auff Erden hoher und nidriger, geistlicher und weltlicher, aller Künsten, Handwerken und Händeln...“ – „ზუსტი აღწერილობა დედამიწაზე არსებული მაღალი და დაბალი სასულიერო და საერო წოდების, ყველა პროფესიისა და ხელობის, ხელოვნების დარგებისა და საქმიანობების შესახებ“. გამოცემა გერმანელი პოეტის ჰანს საკსის (1494-1576) ლექსების მიხედვით იყო შედგენილი. დიდ ინტერესს იწვევდა „სამკურნალო ბალახები“ და „ცხოველების წიგნი“. ეს წიგნები განკუთვნილი იყო მეტწილად დასათვალიერებლად და არა წასაკითხად.

იოსტ ამანისა და ფეიერაბენდის თანამშრომლობის პოლიგრაფიულ შედეგს წარმოადგენს ლეონგარდ ფრონსპერგერის «Kriegsbuch». მისი პირველი გამოცემა 1573 წელს დაიბეჭდა, თუმცა სხვადასხვა მხატვრების მიერ ილუსტრირებული ამ ნაშრომის ცალკეული ფრაგმენტები სხვადასხვა გამომცემლების მიერ გამოდიოდა.

წიგნის ავტორი – ლეონგარდ ფრონსპერგერი (1520-1575) სამხედრო საქმის შესანიშნავი მცოდნე გახლდათ. იგი ულმში ცხოვრობდა და იყო წმინდა რომის იმპერიის, გერმანული ნაციის საიმპერატორო არმიისათვის საკვები პროდუქტების მთავარი მომწოდებელი.

უმაღლესი მართლმსაჯულების ისტორია. 1569 წ

«Kriegsbuch» XVI საუკუნის სამხედრო საქმის ენციკლოპედიური ნაშრომია, რომელშიც განხილულია საომარი მოქმედებების ტაქტიკისა და სტრატეგიის ძირითადი ამოცანები, აღწერილია სამხედრო საქმის საკანონმდებლო და სამეცნიერო-ტექნიკური საკითხები, სააარტილერიო იარაღის აღწერილობა, ფეთქებადი ნივთიერებების დამზადების საშუალებები, საომარი მოქმედებების მეთოდები.

წიგნის ავტორის გასაცნობად იოსტ ამანმა მკითხველს ლეონგარდ ფრონსპერგერის პორტრეტი შესთავაზა და მისი ხეზე შესრულებული გრავიურა გამოცემის მეორე ნაწილში განათავსა.

გამოცემის ყოველი ნაწილი იწყება წითელ და შავ ფერში დაბეჭდილი სატიტულე ფურცლით. სათაური დაბეჭდილია გოთური კალიგრაფიული შრიფტით და არაბული ორნამენტების ელემენტებით. გამოყენებულია წითელი მელანი.

ამანი გამოცემის გაფორმებისათვის ქსილოგრაფიის ტექნიკის გარდა იყენებდა ლითონზე გრავირების მეთოდსაც. წიგნში 496 გრავიურაა, თუმცა ზოგიერთი მათგანი მეორდება.

ქსილოგრაფიების უმრავლესობა ოვალური ფორმისაა, რომლებიც განთავსებულია სწორკუთხა დეკორატიულ ჩარჩოში, რომელზეც გამოსახულია ანგელოზები, მცენარეები, ცხოველები, იარაღები, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები. ილუსტრაციები და ჩარჩოები სხვადასხვა საგრავიურო დაფიდან არის წარმოებული. ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა გრავიურების იდენტური სიუჟეტი და ჩარჩოების გაფორმება.

ამანი არაჩვეულებრივად ხატავდა სხვადასხვა ჩინის სამხედრო მოსამსახურეების ტანსაცმლის ყოველ დეტალს. ასეთივე სიზუსტით ქმნიდა იარაღის ნახატებსა და ნახაზებს, დეტალების ზუსტი ზომების გათვალისწინებით.

სპილენძზე გრავირების ტექნიკითაა შესრულებული მრავალფიგურიანი გრავიურები, რომლებიც საბრძოლო ხელოვნების წესრიგს ზედხედიდან, ანუ, როგორც იტყვიან, ჩიტის ფრენის სიმაღლიდან წარმოგვიდგენენ. გამოცემაში ოცდახუთი ასეთი გრავიურაა ჩართული. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ხელოვნების ნამდვილ შედევრებს წარმოადგენენ. თუმცა მასში ისე, როგორც იმდროინდელ დასავლეთევროპულ გამოცემებში, იშვიათად გვხვდება თავსართები. წიგნი გაფორმებულია ხეზე და ლითონზე გრავირებული ბოლოსართებით, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ინიციალებით, ხოლო ტექსტის ბოლოს გამოყენებულია არაბესკების ვარიანტები, რასაც ფართოდ იყენებდნენ XIV საუკუნეში დაბეჭდილ აღმოსავლეთ ევროპულ წიგნებში. გამოცემის ყოველი ნაწილის ბოლოს გვხვდება საგამომცემლო მარკა, თუმცა სხვადასხვა ნახატით, რომლებსაც ერთვის წარწერა: „დაბეჭდილია მაინის ფრანკფურტში, მარტინ ლეხლერის მიერ სიგიზმუნდ ფეიერაბენდის გამომცემლობისთვის. 1573 წელი“. წიგნის პირველ ნაწილში სიგიზმუნდის ნაცვლად მითითებულია მისი შვილის, იერონიმის სახელი.

გამოცემა სწრაფად გაიყიდა და 1578 წელს მისი ხელახლა გამოცემა გახდა საჭირო. 1596 წელს კი იგი გამოიცა მესამედ, რომელშიც უფრო ნაკლები – 340 გრავიურა იყო განთავსებული. სპილენძის საგრავიურე დაფები კი ამანის არ არის. მათი ავტორი იყო გ. კელერი.

სიგიზმუნდ ფეიერაბენდი 1590 წელს დაიღუპა. მისი საქმიანობა განაგრძეს მისმა შვილმა, კარლმა და ბიძაშვილმა, იოჰანმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искуства.– М. – 1990. – ч. 2.
2. Щелкунов М. И. История, техника, искуство книгопечатания. . – М.; Л., 1926.
3. История книги. – М.; Л., 1926.
4. Книговедение : Энциклопедический словарь / Редкол.: Н.М. Сикорский (гл.ред.)., О. Д. Голубева, А.Д. Гончаров и др. – М., 1982.

მარიამ მარჯანიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი

ეპოქალური მოვლენები აკაკი პაპავასა და ოთარ ჩხეიძის შემოქმედებიდან

ქართველი ერის ცნობიერების ნაკადში კუნძულებივით მოჩანს XX საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის ცხოვრებისეული ფაქტები და მოვლენები. ბოლშევიკურმა რეჟიმმა და საბჭოურმა დიქტატურამ, არამარტო ჩამოშალა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სხეული, არამედ მთავარი დარტყმა მიმართა ერის სულიერი დეგრადაციისაკენ და ხელისუფლების აგიტატორად გახადა შემოქმედი ადამიანები.

ამ რთულმა პერიოდმა შეცვალა დრო და შეცვალა ხალხის თავისუფლებისაკენ სწრაფვა. მძიმე წლებში ჩვენს ქვეყანაში რეპრესიებმა გატეხა ქართველი ხალხი. ბოლშევიკურმა მანქანამ სისხლის ზღვა დააყენა საქართველოში და ხალხის მასაც მინებდა ტირანიას. თავისუფლებას ხუნდი დაედო. რკინის ფარდა ჩამოეშვა. შემოქმედს უნდა ეწერა იმაზე, რისიც არ სჯეროდა, მაგრამ „უნდოდა ეწამა". ბევრ მწერალს სამშობლოს ტრაგედია, სევდა და ვარამი კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუას მსგავსად ისტორიის ჭრილში გადაჰქონდა. დროსთან შეუგუებლები პაოლო იაშვილის მსგავსად დრამატული ფინალით ამთავრებდნენ ცხოვრებას. ბევრმა, მათ შორის იოსებ გრიშაშვილმა და გიორგი ლეონიძემ, რომლებიც საუკეთესო მეხოტბეები იყვნენ,

აკაკი პაპავა

ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე იოლად და წარმატებით მოირგეს სტალინის თემა. მათ სატრფოს სადიდებელი ტროპიკა გადაიტანეს ბელადზე და იგი მეომარ ზეკაცად და ქართველთა მხსნელად წარმოსახეს.

ჩვენი ქვეყნის ეპოქის სრული სურათია ასახული ცნობილი ემიგრანტი მწერლის აკაკი პაპავას წერილში – „ფიქრები თბილისზე და მის მწერლობაზე", სადაც ავტორმა თბილისის ისტორიაში „მოქცევის" სამი უმთავრესი ეტაპი გამოყო: პირველი, ავტორის თქმით, ესაა დრო „ნამესტნიკობის" თბილისისა: უხეში, კოლონიალური შემოტევით ქართველობაზე". მწერლის შეფასებით, „იმ ბნელ დროშიც, თბილისი თავდადებულ მამულიშვილებს თავს უყრიდა; ესენი დასტრიალებდნენ ქართულ ეროვნულ კერებს, ჰკრებდნენ მის პოტენციალურ ძალებს, აღვივებდენ ბრძოლის ცეცხლს და აი, ამ ეროვნულმა ენერგიამ შვა ჩვენი თავისუფლება"... ასე მიეცათ დასაბამი თბილისის „მეორე მოქცევას".

აკაკი პაპავას აზრით, ესაა დრო, როცა „მკვდრეთით აღსდგა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო; თბილისმა ზეიმით გახსნა 26 მაისის კარები". ამ პერიოდის უმთავრეს მონაპოვრად მწერალი „დევნილი ქართული სულის, ენისა და სახის" გაშლა-აღზევებას მიიჩნევს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა და „ამ ზეიმურ ქმედობას სულ მალე მოჰყვა „ჩვენთვის საბედისწერო „მესამე მოქცევა", როცა „ჩვენს მზიურ თბილისს ღრუბლები გადაეფარა; ჩრდილოეთის სასტიკმა სუსხმა დაბერა, თავისუფლება ერისა წარგვტაცა და საქართველო შავის ძაძებით შემოსა".

აკაკი პაპავა უდიდესი გულისტკივილით საუბრობს იმ ტრაგიკულ მოვლენებზე, რომლებიც სწორედ „მესამე მოქცევის ხანაში დაატყდა საქართველოს: „მესამე მოქცევის" სახიფათო რკალში მოხვედრილი ხელოვნებისა და პოეზიის დიდი ოსტატები" ქვეყნად დამკვიდრებული იდეოლოგიური დიქტატურის გამო, მწერლის შეფასებით, არათუ მართალი სიტყვის თქმას ვერ ბედავდნენ, არამედ „ბორკილ დადებულნი მოჰყავთ და უბრძანებდნენ: სხვას და გააფორმოს, გაშალოს სიტყვით, მუსიკით და რითმით „სიყვარული", „აღფთოვანება და თაყვანისცემა" მისდამი, ვინც თბილისში 25 თებერვალს წითელ ტანკებით რკინის კარები შელეწა და მისი ხალხი „26 მაისის ტყვეობიდან" იხსნა („სამშობლო" 2009:66).

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად აკაკი პაპავა კონკრეტულ მაგალითებსაც იხსენებს ჩვენი მწერლების შემოქმედებიდან და სინანულით ამბობს: „რა მათი ბრალია, რომ მტერი მოერია და მერე რა მტერიო". „მესამე მოქცევის" ქართველ მწერალთა სიტყვას, ავტორის შეფასებით, „ხერხემალიც გადამტვრეული ჰქონდა და გულწრფელობაც სულიდან ამოცლილი".

საქართველოში ბოლშევიკურმა რეჟიმმა და მისმა საბჭოურმა დიქტატურამ სახელმწიფო აპარატის გამოყენებითა და მწერლობისადმი ბარბაროსული მიდგომით ბევრი ნიჭიერი მწერალი დაღუპა. პაპავა აღნიშნავს, რომ „პიროვნულ, ინდივიდუალურ და, მაშასადამე, ეროვნულ ქმედობის სრულ დამორჩილებისათვის, „საბჭოთა" კრიტიკამ მწერლობას „ყოველგვარი თავისუფალი გაქანება წაართვა, ემოციების და მხატვრულ აღმაფრენის გზები დაუხშო და ერისა და პიროვნების დამონება აპოლოგიად გაუხადა... მათ აიძულეს დღეის მწერალი სამშობლოს წარსული გაეყალბებია და ჩვენი ეროვნული სიამაყისათვის გამცემლურად ფეხი დაედგა და ისეთი უმსგავსოებანი წარმოეთქვა, რის წაკითხვისას ყოველი ქართველი გაწითლდებოდა" (პაპავა 1960:109-116).

აქედან გამომდინარე, აკაკი პაპავა ქართველ მწერლებს ორ ბანაკად ყოფდა. მისი აზრით, პირველ ბანაკს მიეკუთვნებოდნენ ნამდვილი ხელოვანები, ვინც ერისა და შემოქმედების თავისუფლების პრინციპით ცხოვრობდა. მათ ავტორი „მეორე მოქცევის მწერლებს უწოდებს". მეორე ბანაკს კი იგი იდეოლოგიური დოგმატიზმით შეპყრობილ მწერლებს მიაკუთვნებდა და მათ „მესამე მოქცევის" მწერლებს უწოდებდა. აკაკი პაპავას აზრით, სრული თავისუფლებითა და სიმართლით მხოლოდ ემიგრანტთა შემოქმედება გამოირჩეოდა, მაგრამ მწერლობის დიდოსტატები სამშობლოში იყვნენ დარჩენილი და ისინი აქ გაცილებით მაღალ მხატვრულ ხელოვნებას ქმნიდნენ.

აკაკი პაპავას კრებულში – „1500 წლოვან თბილისს" – შესულ ერთ-ერთ წერილზე „ფიქრები თბილისსა და მის მწერლობაზე" ავტორს პოლემიკა გაუმართა გრიგოლ რობაქიძემ:

„ფიქრები თბილისზე და მის მწერლობაზე“. 1. ა. მოსაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. ფედოსიშვილი – არ არიან გამოცალკევებული როგორც მწერალნი „მესამე მოქცევისა”. ხელისუფლებამ კი არ „ათქმევინა“ მათ „ესა თუ ის“ – მათ თვითონ „თქვეს“ რაც აქვთ ნათქვამი. 2. „მეორე მოქცევის“ მწერალთაგან ნახსენებია: ა. აბაშელი, გ. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი მოგყავს ნაწყვეტები მათი შაირებითგან. გალ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი გამოდიან წერილში ვითარცა „გადახრილები“ – იცი რისკენ. მხოლოდ ეს ორი. დანარჩენნი?! უნდა გაგახსენო: განსვენებული ა. აბაშელი „საბჭოურ“ შაირებსაც წერდა – ასევე საწყალი ტიციანიც, დაღუპული, რომლის გასაოცარი წინასწარმეტყველება წერილში მოგყავს; ი. გრიშაშვილი იქამდე მივიდა, რომ ჯალათს ბერიას ასე მიმართა: „უბრძანე მტკვარს და იგი უკუდენას დაიწყებსო“ (საერთოდ: რომელმა მწერალმა „მეორე მოქცევისა“ აიცდინა ეს „გადახრა“?) კ. მაყაშვილს არ დასცალდა ხანგრძლივ ეცოცხლა გასაბჭოებულ სამშობლოში, თორემ „გადახრას“, ვფიქრობ, ვერც ის აიცდენდა“ (რობაქიძე 2012:453).

ქართველ საბჭოთა მწერალთა მიმართ გრიგოლ რობაქიძისეული მკაცრი შეფასების მიუხედავად, აკაკი პაპავა მაინც კომპრომისზე მიდიოდა და თავისი წერილის ბოლოს რწმენას გამოთქვამდა: „ყველა ამგვარი „ჩავარდნები“ შეგვიძლიან ვაპატიოთ წამებულ, ჯაჭვით შეკრულ მწერალს; მაგრამ საშინელებაა, როდესაც ეს „დოკუმენტი“ შემოქმედების დაჩეხის და უშუალო დასახიჩრებისა, საქართველოს დღეის მწერლობის სახელით საღდება და თავსდება ჩვენი დედაქალაქისადმი საზეიმოთ მიძღვნილ კრებულში... მე მინდა ამ შორეთიდან მას ვაცნობო, რომ ჩემი და მრავალთა გული მას არ გადადგომია და არც გადუდგება, რადგან მის მაჯისცემას ახლოს მიჰყვებოდა და მიჰყვება...

სიშორეში მაინც ახლოს ვრჩებით მასთან... ჩვენს სიღარიბეში ულეველი სიმდიდრეა, რადგან მისი სიყვარული გვათბობს. ამიტომ გვწამს, რომ თბილისი „მეოთხე მოქცევას“ კვლავ იხილავს და მკვდრეთით აღმდგარი ჩვენს განაწამებ გულსაც სიხარულით აავსებს“ (პაპავა 1960:92).



ოთარ ჩხეიძე

საბჭოური დიქტატის აპოლიგეტ მწერლებისათვის „ამ ბორკილდადებულ პოეტებს“ აკაკი პაპავა ცდილობდა, რომ „ქვა არ ესროლა“. მისი თქმით ეს ტრაგიკული მოვლენები, მაინც წარმავალი იყო და „მეოთხე მოქცევის“ ხანაში „ჩვენი მწერლობა კვლავ გადაებმებოდა თავის ტრადიციულ სახელოვან ძირებს“ (პაპავა 1960: 9).

ა. პაპავას ვარაუდი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 9 აპრილის ტრაგედიამ შეცვალა ხალხის ცნობიერება. შეიცვალენ მწერლებიც. ზოგი სასიკეთოდ, ზოგი სულაც დადუმდა ან გადაგვარდა.

მთელი რიგი მწერლებისა ხარობდა სულიერი განახლებით, ქვეყნის თავისუფლებით, მაგრამ გა-სული საუკუნის 90-იანი წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგედიამ მკვეთრი ზღვარი გაავლო პატრიოტებსა და მედროვეებს შორის, რომელთა სახე რეალურადაა დანახული ოთარ ჩხეიძის რომანში „მატიანე ქართლისაი”.

შეიძლება იმთავითვე ითქვას, რომ ოთარ ჩხეიძის ნააზრევი ეროვნული თვითშეგნებისა და თვით-მყოფადობისათვის ბრძოლაში ილია ჭავჭავაძის სულიერი მემკვიდრეა. აქედან გამომდინარე, ამიტომაც მოდის თანხვედრაში

მისი ნაწარმოები ემიგრანტი მწერლის აკაკი პაპავას ნააზრევთან „ფიქრები თბილისსა და მის მწერლობაზე“. ოთარ ჩხეიძე ქართულ სინამდვილეს, ქვეყნის დაკნინებასა და ერის სულიერი სტრუქტურის რღვევას, XX საუკუნის 20დიანი წლებიდან მოყოლებული XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით, ორიგინალური სტილით წარმოაჩენს.

„ოთარ ჩხეიძე იყო პირველი ჩვენს მწერლობაში, რომელმაც უარყო, ერთი მხრივ, სოციალისტური რეალიზმის შაბლონი, მეორე მხრივ, იდეოლოგიური დოგმები, არა თეორიულად, არამედ შემოქმედებითი პრაქტიკით, მხატვრული სიტყვით“ (სიგუა 2004:3).

„სიტყვასთან საკრალური კავშირით, სიმართლის მოყვარეობითა და პიროვნული სიმტკიცით მან გაუძლო ტოტალიტარული რეჟიმის ზეწოლას, არ გახდა იდეოლოგიის მსახური, თავი დააღწია „მოთვინიერებული მწერლობის“ ჩარჩოებს, საკუთარი გზა გაკაფა და ქართულ ლიტერატურას შესძინა კონიუნქტურისაგან თავისუფალი, ჭეშმარიტ ღირებულებებზე ორიენტირებული ნაწარმოებები“ (ფიფია 2010:19).

XX საუკუნის 90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენებისადმი მიძღვნილი ტრილოგია: „არტისტული გადატრიალება”, „თეთრი დათვი“ და „ბერმუნდის სამკუთხედი“ ერთდერთი ტრაგიკული ფურცელია ქართველი ერის ისტორიაში.

„არტისტული გადატრიალების“ მთავარი პერსონაჟის ზვიად გამსახურდიას პორტრეტი მწერალმა განუმეორებელი შტრიხებით წარმოგვიდგინა: „არაფერი რომ არ გაეგებოდათ: დეკლარაციებიც ამან რომ გააგებინა, პიროვნების თავისუფლებაცა, ერიცა და თავისუფლებაცა... ახლადახალი კოსტუმები ჩააცვა, შეკვანძა ასწავლა ჰალსტუხებისა, ამანა, ამანა, ყველაფერი ამან და თავისი ხელითაც შეუკვანძა თითქმის ყველასა, პირველ სესიაზე რომ მიჰყავდა უზენაესი საბჭოსი“ (ჩხეიძე 2002:237).

თბილისის დატოვების უმძიმეს ეპიზოდშიც სხვადასხვა რაკურსით ვხედავთ ზვიად გამსახურდიას, სადაც ავტორი ერთი ფრაზით გვაგებინებს ბოლო წუთებშიც რაზე ოცნებობდა ზვიად გამსახურდია და რისთვის სჭირდებოდა ის ავადსათქმელი პრეზიდენტობაც.

ოთარ ჩხეიძის ტრილოგიას რემარკად გასდევს „ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელზე – რუსეთზე – სეირის მოყვარულ და საკუთარი სახელის განდიდებას გამოკიდებულ ადამიანთა სილუეტები, რომლის ძალითაც 1921 წელს მივიღეთ საქართველოს ექსპანსია რუსების მიერ და „წითელყაბალახიანი“ საქართველო 70 წლის განმავლობაში. ასევე XX საუკუნის დასასრულსაც განდიდების მანიით შეპყრობილთა ორიენტაციის გაგრძელებაა ვითომ ქვეყნის ბედით დაინტერესებულ გარკვეული ჯგუფის მოქმედება, რომელთაც 90დიანი წლების საქართველოში დატრიალებული მოვლენები უკავშირდება. „ამ ჭრელი საზოგადოების“ მიმართ მწერალი ერთი ხელის მოსმით აღნიშნავს: „მოსკოვის სულით გაბერილან, მოსკოვის თვალით იცქირებიან, მოსკოვს აწონებენ თავსა“ (ჩხეიძე 2002:190).

ეს ის ხალხია, აღნიშნავს ნაწარმოების დასასრულს მწერალი, – რომლებიც „ნიღბებს იცვლიან, კეკლუცობენ, სიკეთის მოციქულად გვისახავენ თავსა“ (ჩხეიძე 2002:329). ასეთი იყო ეპოქალური მოვლენების პროცესები და მათი შეფასება სამანს იქითა და სამანს აქეთ.

XX საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის ეს ის რთული პერიოდია, რომელიც აკაკი პაპავამ და ოთარ ჩხეიძემ თავიანთ შემოქმედებაში რეალისტურად ასახეს, მაგრამ იგი დღესაც გრძელდება...

მართალია, ახლა ყოველი დილა იმპერიის აგუგუნებული კურანტებით აღარ იწყება, მაგრამ 70-წლიანი იმპერიის მეტასტაზები ურეცივიდოდ დღესაც არ გამქრალა. მეტამორფოზა ქვეყანაში და მეტამორფოზა ჩვენში ნელი პროცესით მიმდინარეობს, რადგან კომუნისტური რეჟიმის სუსხით, შიშით, ტერორით, სასიკვდილოდ განწირულთა სვებედით, მონის სინდრომით დაღდასმულ საზოგადოების გარკვეული ნაწილი და მათ შორის შემოქმედებითი ინტელიგენცია კვლავ განიცდის ღირსების დეფიციტს, რომელიც ისევ არყევს ქართულ ცნობიერებას.

XXI საუკუნეშიც ამ გამოწვევების წინაშე ვდგავართ და ქართულ სალიტერატურო სივრცეში დღემდე მსჯელობაა ეროვნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

„თეთრი ხიდი“ – ქუთაისის ბიბლიოთეკის ახალი ჟურნალი

დალი მაჩაიძე
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა წლის 10 მაისს ახალი ჟურნალის წარდგინებით დაიხურა საბიბლიოთეკო კვირეული ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო სტატუსის მქონე საჯარო ბიბლიოთეკაში. ამით კიდევ ერთი საყურადღებო განაცხადი გააკეთა უძველესმა ორგანიზაციამ, პროფესიონალურად რომ ემსახურება მკითხველთა ნებისმიერ კატეგორიას და მოქმედებს განუხრელი განვითარებისა და წარსულის პატივისცემის პრინციპით. ამ გზით გახდა იგი არაერთი საქვეყნო მნიშვნელობის საქმის მოთავეც და აღმსრულებელიც. ტრადიციად აქცია ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; სამეცნიერო კრებულ „წელიწდეულის“ გამოცემა; ლიტერატურული თუ ფოტოკონკურსები; ახალ წიგნთა წარდგენა საზოგადოების წინაშე და სხვა. გამორჩევით საყურადღებოა ახალი ჟურნალის დაარსება ამ ფონზე, ამ სივრცეში. ამიტომ გადავწყვიტეთ, „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ფურცლებიდანაც მივულოცოთ კოლეგებს, შთაბეჭდილება გავუზიაროთ მკითხველებს. ახალდაარსებული ჟურნალის წარმატების წინაპირობად გვესახება, რომ რედაქციის წევრებიცა და გამოქვეყნებულ მასალათა თანამედროვე ავტორებიც არიან ერთმანეთთან შეთანამშრომლებული თანამოაზრეები, ძირითადად ბიბლიოთეკებში მოღვაწე, სამეცნიერო, ჟურნალისტურ თუ ლიტერატურულ ასპარეზზეც წარმოჩენილი ადამიანები.

„თეთრი ხიდი“ – დაარქვეს ბიბლიოთეკის ჟურნალს. სახელდება აუცილებლობაა ნებისმიერი ახლის სხვათაგან გამოსარჩევად. გამოცემათა სახელწოდებას კი მკითხველის მიზიდვა და დაკვალიანებაც მოეთხოვება. მან მისი მხილველი მკითხველადაც უნდა აქციოს. გამომცემლებიც ცდილობენ სახელწოდებით მიანიშნონ სიახლის შინაარსი; საინფორმაციო თუ პროფესიული დანიშნულება; პოლიტიკური თუ იდეოლოგიური მრწამსი... „თეთრი ხიდი“ მარჯვედ მიესადაგა ამ ამოცანას. ინფორმაციული და ემოციური დატვირთვის მქონეა ეს ლიტერატურული სახელდება. სივრცობლივ-არეალური მინიშნებით მყისიერად გახსენებს ქუთაისის სავიზიტო ბარათად ქცეულ „თეთრ ხიდს“. ასე, ასოციაციურად გაკავშირებს ლიტერატურული ცხოვრებით გამორჩეულ ქალაქთან ცისფერყანწელებისა და ამით გამცნობს ჟურნალის დაბადების ადგილს. შესაძლოა, გაცნობიერებულ მკითხველს გაახსენდეს რევაზ გაბრიაძის ამავე დასახელების მოთხრობა, თავისი გმირებითა და ქალაქის უძველესი ბიბლიოთეკით, ყველაზე სასურველი მასპინძელი, გონების საზრდო და სულის ნავსაყუდელი რომ იყო წიგნიერი მოზარდისათვის. იქნებ, საკუთარ სივრცესა და ბავშვობაში დაბრუნების სურვილით დაემგზავროს კიდეც ძველ განცდათა და სურნელთა მაძიებელ ხელოვანს და შეჰყვეს ბიბლიოთეკაშიც, ყველაზე საიმედო თავშესაფარში მაშინ, როცა „ცხოვრება ძნელია და გარეთ ცოტაა ხალხისთვის სიხარულისა და სიამოვნების მომგვრელი“. იქ კი... იქ, შესაძლოა, ადრახანიასავით წამოადგეს თავს ვინმე და უბრძანოს: „შენ დაწერ წერილს!“ ვინძლო, მანაც აღასრულოს და დაწეროს, ნაწილობრივ კლასიკოსთაგან დანასესხები, ბევრწილად მისეული... დაწეროს ისეთი, რომ ნაწერმა უზუსტესად მიიტანოს ადრესატამდე მისგან გამოხატული სხვისი გულისთქმაც. და მანაც ასე, ბიბლიოთეკაში, რეალური ადამიანისა თუ უხილავი ძალის კარნახით დაიწყოს მწერლობა. მერე, ოდესმე, გაიხაროს კიდეც, თუ გაიგებს, რომ არსებობის საზრისი დაუბრუნა, სიცოცხლისა და ნაყოფიერი სიყვარულისაკენ შემოაბრუნა ვინმე მისი ცოდნისა და ემოციის ნაზავმა. ეგებ, ამ „თეთრი ხიდით“ უკეთ შეიგრძნოს ვინმემ ბიბლიოთეკისა და მწერლობის კავშირი, მადლი და



ძალა. იქნებ... თუმცა, ერთი შეხედვით, უმეტესისთვის ოდენ ქუთაისზე მინიშნებად გაცნობიერდება ეს სახელდება და სარედაქციო წინათქმაში იგუმანებს ჟურნალის მიზანდასახულების გაცხადებას. აქ კი მოულოდნელ და ორიგინალურ გადაწყვეტას შეთავაზებენ: – „ახალი ჟურნალის გამოცემისას საპირველნომრე მისალმება-წარდგენის ნაცვლად ილია ჭავჭავაძის წერილი ვიმეკვლევეთ. არა იმიტომ, ასე გვეიოლა, პირიქით – ამგვარად საზოგადოებისა და თითოეული მკითხველის წინაშე კიდევ უფრო სიღრმისეულად და მასშტაბურად გავისიგრძეგანეთ ჩვენი წამოწყების მნიშვნელობა!“ მართლაცდა, ილიაზე უკეთესთან ვისთან მივიდოდნენ წარსულთან გადებული ხიდით; უკეთეს ანალიზს ვისას წააკითხებდნენ ვინმეს მწერლობისა და პერიოდული გამოცემების დანიშნულებაზე. მოხმობილი წერილი ხომ უტყუარი გზამკვლევია ყოველ აწმყოში გამომცემლებისა და მკითხველებისათვის. ილიასეული ნააზრევის გულისყურით წამკითხველი ჟურნალის პირველსავე ნომერში იპოვის „რედაქციის აღსარებას მასზედ, თუ რა აზრი და დანიშნულება აქვს“ ახალ გამოცემას. მერე ამით და ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების მთლიანობაში გააზრებით, გასაცნაურდება სახელ „თეთრი ხიდის“ ცალკეული მდგენელის სიმბოლურობაც. თეთრი ფერის კავშირი სინათლესთან, სიწმინდესთან, სიმართლესთან, გახსნის გამოცემის იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ საზრისს, დაგანახებს დამფუძნებელთა სურვილს – ნათლად ასახონ ცხოვრება; ცხადად გამოკვეთონ შეფარული, მაგრამ რეალური საფრთხეები; ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი აზრისა და ემოციების დაწმენდას, გემოვნების სიხალასეს; განათლებას, მეცნიერებით მოპოვებული ჭეშმარიტების გავრცობასა და შეურაცხყოფისაგან განრიდებულ პირუთვნელობას. ხიდის ფუნქცია კი ჟურნალის მიზანს წარსულისა და აწმყოს, ცხოვრებისა და საზოგადოების, თაობების ურთიერთკავშირებას გაუწყებს. ასე გაცხადდება, რომ ქართველთა სამშობლოსთან შემოკრება განუზრახავთ „თეთრი ხიდით“. დრო-სივრცის ერთიანობაში გააზრებას გვირჩევენ აქ; საკუთარი ღირსების, ნებისა და სივრცის შენარჩუნებას; წინაპართა ღირებულებების არდავიწყებას; რეალური ცხოვრების ფხიზელ მიყურადებასა და ცოდნის გავრცობას, რათა ასე განფენილ-გათითოკაცებულნი არ გავუჩინარდეთ დროთა დაუდგრომელ მდინარებაში, არ ჩავიკარგოთ გლობალიზაციაში. სიყვარულისა და სიკეთის მარცვლის გაღვივება დაუსახავთ თავისი ამოცანის გადასაწყვეტად, ადამიანთა ყოფის გასაუმჯობესებლად, გასაკეთილშობილებლად. მარტივი არაა...

არც საკუთარი ადგილის პოვნაა ადვილი საქართველოში, მით უფრო, ლიტერატურული გამოცემებით განებივრებულ ქუთაისში, თუმცა მაინც გეიმედება, რომ თვითდამკვიდრებას შეძლებს ბიბლიოთეკის ახალი ჟურნალი „თეთრი ხიდი“. იგი დახვეწილი გემოვნებით გვთავაზობს თანამედროვე და ძველი მწერლების თხზულებებს – ორიგინალურს, თარგმანს, საბავშვო ლიტერატურასაც; სარჩევიდანვე გვაჩვევს თავის განსხვავებულობას ენობრივი თავისებურებით, არქაიზმისა და სიტყვათწარმოქმნის თამამი შემოტანით; გამორჩეულად ხმიანობს ჩვეულ იმერულ იუმორთან შეზავებული სათქმელიც, ერთგვარად რომ ამსუბუქებს ჟამის სიმძიმეს. ოფიციალურად არ დაურქმევიათ ჟურნალისათვის ლიტერატურული, რადგან ბევრად ტევადია მიზანიც და შინაარსიც. მოცემულ ეტაპზე ჟურნალის წელიწადში ორჯერ გამოცემა განუზრახავთ, 500 ტირაჟით, უფასოდ დასარიგებლად.

წიგნი ჩემი მონარქია
გაზეთი „ქართული წიგნი"



ლევან თაქთაქიშვილი

რაც კარგად მახსენდება და არასოდეს არ დამავიწყდება, არის ჩემი დიდი სურვილის ასრულება: გაზეთ „ქართული წიგნის" გამოცემა. გაზეთი ეროვნული ბიბლიოთეკის იყო. მე ვამზადებდი. მიბეჭდავდა ჩემი ალალი ბიძაშვილი გიორგი თაქთაქიშვილი. ბიბლიოთეკას არაფერი არ უჯდებოდა. არც ჰქონდა ბეჭდვის მუხლით ერთი თეთრიც კი, თუმცა შეეძლო დაებეჭდა ლიტერატურა საკუთარი ძალებით. ფორმატი შეზღუდული იყო – რიზოგრაფი. ეს დანადგარი გაზეთს ვერ დაბეჭდავდა. გიორგი დამპირდა, რომ ჩემს ოცნებას აასრულებდა. 2002 წელი იდგა. დაიბეჭდა პირველი ნომერი. უფასო იყო და რიგდებოდა ბიბლიოთეკის დარბაზებში. „კრიკუნები" არ იღებდნენ, უფასო გაზეთს ვერ გავყიდითო. ამიტომ 10 თეთრი დავაწერეთ და ეს 10 თეთრი მათ რჩებოდათ. ვინც გაზეთის გავრცელების ამბავი იცის, ეცოდინება „კრიკუნი" ვინაა. სად იყო მაშინ კიოსკები?! ერთი გავრცელების სააგენტო იყო – „სოიუზპეჩატი", რომელსაც შემდეგ „მაცნე" დაერქვა; იყო მაღაზია „გლობუსი" და მორჩა. დანარჩენი „კრიკუნები" იყვნენ – ხელზე მოვაჭრე პრესის გამავრცელებლები, მუშტართა მომხმობნი, რუსულის გავლენით უწოდებდნენ ასე. ეს ადამიანები, დილის ხუთ საათზე მოდიოდნენ ოქროს ბირჟასთან მიწისქვეშა ფართში და გამომცემლისაგან იღებდნენ პერიოდულ გამოცემებს „პოსლეზე" – გაყიდვის შემდგომი ანგარიშსწორების პირობით.

მე ვიყავი გაზეთ „ქართული წიგნის" რედაქტორიც და თვითონვე მიმქონდა ახლადგამოცემული ნომრები „კრიკუნებთანაც". ბიბლიოთეკაში ჩემი მხარდამჭერი იყო თამარ ღარიბოვა, რომელიც მკითხველებს ურიგებდა ამ გაზეთის ნომრებს და მათგანაც იღებდა წერილებს. კორექტურასა და საკანცელარიო საქმეს ქეთი გზირიშვილი აგვარებდა, რედაქციის წევრებიც გვერდში მედგნენ. გაზეთის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ისეთი მასალები, რომლებსაც დღის სინათლე არ ენახათ ათეული წლების განმავლობაში – ლიტერატურის მუზეუმის, ცენტრალური არქივის, ეროვნული ბიბლიოთეკის არქივის, ასევე კერძო კოლექციებში დაცული გ ა მ ო უ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ე ლ ი მასალები. რა თქმა უნდა, იბეჭდებოდა ახალი გამოცემების ბიბლიოგრაფიები; სენსაციაც მინდოდა ყოფილიყო, კროსვორდიც კი. არ ვაკლებდი არც ენერგიას და არც დროს გაზეთის გამოცემის საქმეს.

ლიტერატურის მუზეუმის ხშირი სტუმარი ვიყავი. იქ ყველას ვუყვარდი, მეხმარებოდნენ. ერთი ვიზიტის დროს გამოვიწერე ზაქარია ჭიჭინაძის არქივის მასალები, სადაც ვნახე ზაქარიას გამოუქვეყნებელი წერილი ივანე მაჩაბლის სიკვდილის შესახებ. ზაქარიას ეს წერილი ძალზე საინტერესოა იმით, რომ აქ სიკვდილის მიზეზად საზოგადოების მიერ ივანე მაჩაბელ-

იზა ორჯონიკიძე

ქეთი გზირიშვილი

ზე ზეწოლაა დასახელებული. ეს წერილი გამოვაქვეყნე გაზეთში მცირედი შესწორებით და შემოკლებით. შესწორებულია სტილისტური გაუმართაობები და შემოკლებულია (ამოღებულია) ნაწილი, რომელიც განმეორებაა ამავე სტატიის ტექსტისა. ეტყობა, ზაქარიას სიბერით მოუვიდა. არქივის კატალოგში აღწერილი ეს ხელნაწერი 70 წელი ელოდა გამოცემას.

აღნიშნული მასალის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში ბატონ ლევან ბერძენიშვილთან, დედის გარდაცვალების გამო, სამძიმარზე მივედი. მან მითხრა, რომ დავლოდებოდი, სათქმელი ჰქონდა. თურმე იზა ორჯონიკიძე იყო მასთან სამძიმარზე და უთქვამს: – იმ შენს ლევან თაქთაქიშვილს გავჩეჩავ, სადაც ვნახავო. ლევან ბერძენიშვილმა არ იცოდა, რაში იყო საქმე.

რამდენიმე დღე გავიდა და ტაქსით მივდივარ ბიბლიოთეკაში. მობილურის ზარი. მელაპარაკება ნაცნობი ხმა: – ლევან თაქთაქიშვილი ბრძანდებით?

დიახ! – ვპასუხობ.

იზა ვარ ორჯონიკიძე!

დიახ, ქალბატონო იზა!

– შენ არ იცი, რომ ჩემს დაწესებულებაში პირველი ღამის უფლება მე მეკუთვნის?

მივხვდი, რაზეც იყო გაცხარებული, მაგრამ ვკითხე: – პირველი ღამის უფლება?

– ბიჭო, შენ არ იცი, რომ ჩემთან დაცული მასალების გამოცემის უფლებას მე განვკარგავ?! რატომ დაბეჭდეთ ივანე მაჩაბლის მკვლელობაზე მასალები თქვენს გაზეთში?! საერთოდ, რას გავს თქვენი საქციელი?!

რა უნდა მეთქვა? დამეწყო იმით, რომ ეს აქამდე არ იყო გამოქვეყნებული, რომ ეს მასალა ოფიციალურად გამოვიწერე, რომ არ გამომიყენებია გადამღები აპარატი და ხელით გადავწერე, ან მომეხადა ბოდიში? – არაფერში მიშველიდა.

– ხოდა, თქვენ, ამიერიდან როგორ იბურჯგნავებთ მუზეუმში, ამასაც ვნახავთ! – გაგრძელა მუქარა იზა ორჯონიკიძემ. მივხვდი, რომ ცუდად იყო ჩემი საქმე, მაგრამ მე დასაკარგავი არაფერი მქონდა, ქალბატონ იზას კი საცოდავი მამაკაცები არ უყვარდა. შევბედე დაბალი ხმით: – ქალბატონო იზა, მე ერთი კითხვა მაქვს – თქვენ ღორეშელი ორჯონიკიძე ბრძანდებით?

– რა შუაშია ეს? – ხმამაღლა, ლამის მიყვირა, ისე მიპასუხა.

– ქალბატონო იზა, ორჯონიკიძეები არიან აზნაურები და გლეხები. თუ ღორეშელი ბრძანდებით, თქვენ აზნაური ყოფილხართ. აი, პირველი ღამის უფლებას კი თავადები იყენებდნენ, ამ მხრივ კი მე უფრო მეკუთვნის-მეთქი.

ქალბატონი იზა ახარხარდა და მითხრა – შენ ხუმრობა გცოდნია, ხვალ მოხვალ ჩემთან პირველ საათზე და იქ გავარკვევთ, ვინ თავადია და ვინ აზნაურიო.

მივედი მეორე დღეს. შევედი დირექტორთან. სტუმარი ჰყავდა, მაგრამ მაინც მიმიღო. დამხვდა ასეთი ვითარება: ის ორი ანგელოზი თანამშრომელი – ბიჭი, გვარად ბუაჩიძე, აჭარხლებულია და ძალზე კეთილშობილი გოგონაც ცრემლმორეული. ჩანს, უკვე გაუთავისუფლებია ორივე, ან ამ ბრძანების გაფორმებაღაა დარჩენილი... როგორც მათთვის სამსახურის დამკარგველს, ისეთი თვალებით მიყურებდნენ ის გოგონა და ბიჭი.



– ბიჭო, ეუბნება იმ სტუმარს იზა, ორჯონიკიძე: – ეს თმებგაჩეჩილი, ორი დღის წინ გამოჩეკილი ღლაპი ჩემს აზნაურიშვილობაზე ქილიკობს, ამ შტერებს გამოუქვეყნებელ მასალებს ცინცლავს და თან გამოქვეყნებულ ტექსტს უწერს: „დაცულია ლიტერატურის მუზეუმში, ქვეყნდება პირველადო“. აი, ახლა რომ დაისჯებიან ესენი, უყუროს თავადმა თაქთაქიშვილმაო.

– რა გაქვს სათქმელი? – მეკითხება!

– მე თქვენთან შემოთავაზებით მოვედი-მეთქი!

– შენ მთავაზობო? ამრეზით მითხრა.

– არა, ჩემი უფროსი ლევან ბერძენიშვილი-მეთქი. გაზეთში შუა ფურცლების რედაქტორი (4 გვერდი) თქვენ იქნებით, რასაც მოისურვებთ, ის დაიბეჭდება და ერთი თხოვნაც მე მაქვს-მეთქი.

– რა? – დაინტერესდა. ვუთხარი, რომ ამას მისი პასუხის შემდეგ ვეტყოდი.

– კარგი, ვიღებ ლევანის შემოთავაზებას, ბევრი საინტერესო მასალა გვაქვს გამოსაქვეყნებელი. თეა თვალავაძე იყოს ამ საქმის რედაქტორი.

– ქალბატონო იზა, ჩემი თხოვნაა, თქვენი ის ორი თანამშრომელი იყოს ამ გაზეთში თქვენი დაწესებულების წარმომადგენელი, თქვენი სახელი კი ამ გაზეთს დაამშვენებს-მეთქი.

– ისინი აღარ იქნებიან მუზეუმის თანამშრომლებიო... – სიჩუმე... – კაი, ვაუქმებ ბრძანებასო...

– ოხ, დასავლეთ საქართველოს ხალხზე ამბობენ, ეშმაკები არიანო და ქართლელი თუ გაეშმაკდა, უფრო ვირ-ეშმაკები ხართ. კარგი, შევრიგდითო! აი, ასეთი შედეგით გამოვედი ქალბატონ იზასაგან.

„ქართული წიგნის“ სულ 18 ნომერი დაიბეჭდა, ორი წელი გამოდიოდა. ბოლო ნომერი დე-

ქართული წიგნი

• ყოველთვიური გაზეთი • ინფორმაცია • ბიბლიოგრაფია • კატალოგი • 2001 წ. იანვარი • №1 • ფასი 10 თეთრი •

ვისთვისაც ძვირფასია წიგნი...

პატივცემული მკითხველო!

დღიდან გვლაკაი შესაძლებლობა ყოველთვიურად გაგეცნო გაზეთ „ქართული წიგნი“, რომელიც მოგაწვდით ცნობებს წიგნების საბჭოდან, მიმდინარე წლის წიგნადი ბიბლიოგრაფიის, ახალი გამოცემების ანოტაციების, რეპორტაჟ - „ბუკინისტური წიგნი“, საჯაჯგ გამოქვეყნდება ბუკინისტურ ლიტერატურის სია. ყოველ ნომერში იხილავთ სხვადასხვა მაცალხის ყოველთვიური მონაცემებით შედგენილ რეიტინგს: საათური - „ბესტსელერი 20+1“, ეკონომია, რეპორტაჟი - „ტრაკულა – წიგნი“ იხილავთ სტატეს ადამიანებზე ვინც ამდენერად მონაწილეობდა წიგნების შედგენასა და გამოცემაში, მის პოპულარიზაციაში, აღნერილი იქნება მოდელები ტიპიური ისტორიიდან, ყოველ ეს დაერთოს საცნობარო ანბარაც. „ეროვნული

ზაქარია ჭიჭინაძე

ივანე გიორგის ძე მაჩაბლის დაკარგვის ამბავი, აღწერილი მომხდარის და ნახულის და გაგონილის ამბებიდამ

(1924 წ. თებერვლის 20. თფილისი)

მე ვამბობ ხოლმე, რომ ქართველი ერი დაწყევლილია მღვდლისაგან და კაცის პირისაგანაც. მიზეზი ამ დაწყელვისა ის არის, რომ ქართველმა კაცმა არ იცის თავის პატივისცემა, არა აქვს თავისი ქვეყნის სიყვარული. იგი თავისი მტერია და სხვების მონა და მორჩილი [...]. ჩემი თქმულება რომ მართალია, ნამდვილი და სწორე, ამას გამოაჩენს თვით ჩვენი ეს წერილიც, სადაც აღნუსხულია ივანე მაჩაბლის ამბავი და საბუთნი [...] მისი [...] წყევლისა და ქოქვისა.

ივანე მაჩაბელი ჩვენს ცხოვრებაში ცნობილი პირია, მისი ბიოგრაფიული ცნობები მრავლად დასტამბულა ქართულ გაზეთებში, ამიტომ ჩვენ აქ ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიას გვერდს ავუვლით და ვსწერთ მარტოთ იმ გარემოების აღნუსხვას, თუ ეს მოღვაწე მწერალი როგორ დაიკარგა, როგორ მოკვდა თუ მიიმალა, გინდ მოკვდა, უმნიშვნელოა, რადგან დღეს იგი ჩვენთვის აღარ არსებობს [...]. მიტომ ეს აღწერა შეეხება მარტოთ მის აღნუსხვას, თუ იგი იმ გარემოებამდის რამ მიიყვანა და უკანასკნელი ჩვენთვის რატომ ჩაიყლაპა. ჩვენი წერილი პირდაპირ იმ გარემოების გარშემო ტრიალებს.

1870 წლის შემდეგ ივანე მაჩაბელი დიდათ დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს. ამის შემდეგ ივანე მაჩაბელი პეტერბურგის უნივერსიტეტში წავიდა, ამის მცირე ხნის შემდეგ ილია ჭავჭავაძეც პეტერბურგს გაემგზავრა თფილისში ბანკის გახსნის გამო. პეტროგრადს ამათი კავშირი და მეგობრობა ისე გაძლიერდა და ისე გაღვივდა, რომ ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა 1872 წ[ელს] პეტროგრადს, ქართულს ენაზედ სთარგმნეს შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი“. თარგმანი ივანე მაჩაბელს უნდა ეკუთვნის და გალექსვა კი ილია ჭავჭავაძეს. ეს თარგმანი მათ 1872 წ[ელს] თფილისში გამოაგზავნეს ჟურ. „კრებულის“ რედაქციაში და 1873 წ[ელს] „კრებულის“ მეათე წიგნში დაიბეჭდა კიდეც ეს „მეფე ლირი“ ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის სახელით.

ქართველთა ნათქვამია: „დიდს სიყვარულს დიდი მძულვარება მოსდევსო“, ასე მოუხდათ ამათ ძმობას, სიყვარულს და კავშირს. ერთ დროს ესენი კარგი მეგობრები იყვნენ, ძმა-კაცები და, ბოლოს, ავი ენის წყალობით, ქართულის სისასტიკით და მტრობით, ქართველის ჭორებითა და ამბების აქეთ-იქით მიტან-მოტანით ეს ორი კარგი ქართველი მამულიშვილები ერთმანეთის მტრები გახდნენ და ამათი მტრობა იქამდის მივიდა, რომ იგინი ერთმანეთის სისხლის აღებასაც კი აღარ ერიდებოდნენ, ისე მტრობდნენ ერთმანეთს [...]. ასე იციან ქართველებმა. ასეთ მტრობას და ბოროტებას უსათუოდ დიდი მიზეზები ექნება, დიდი რამ საბაბი, ამიტომ საჭიროთ ვთვლით, რომ ამ გარემოების შესახებ მოვიყვანოთ უმთავრესათ ის ცნობები, რაც კი ამ ორი პიროვნების ერთმანეთის მტრობას და ბოროტებას გაგვაცნობს.

ივანე მაჩაბელმა სწავლა დაამთავრა პეტროგრადს, მის მერე 1878 წ[ელს] ჩამოვიდა. იმ დროს, მე თფილისში წიგნის მაღაზია მქონდა. მოსვლის შემდეგ ივ. მაჩაბელი ჩვენს მაღაზიაში მოვიდა და გაგვეცნო. უნდა ითქვას, რომ იმ დროს, ივანე მაჩაბელი მეტად ლამაზი შესახედავი ყმაწვილი კაცი იყო და მასთან მეტად კარგათ მოლაპარაკე და გათანასწორების დიდი პატივისმცემელი თანამგრძნობი სოციალური განვითარების, ნამეტურ ქართულის მამულისშვილობის. ამის შემდეგ ივ. მაჩაბელმა ქართულ მწერლობაში შრომაც დაიწყო. სწერდა იმ დროს ერთადერთ გაზეთ „დროებაში“ და „ივერიაში“. ლექსებსაც სწერდა. 1882 წ[ელს] გრ. ორბელიანის დასაფლავების დღეს ილია ჭავჭავაძეს და ივანე მაჩაბელს გვირგვინი ეკავათ ხელში და მიცვალებულს წინ მიუძღვოდნენ [გრ. ორბელიანი გარდაიცვალა არა 1882, არამედ 1883 წელს-ლ.თ.] ასეთი დიდი სიყვარული აქვნდათ ერთმანეთის.

ამის შემდეგ მოხდა ისიც, რომ ივ. მაჩაბელს [...] ილია ჭავჭავაძემ თფილისის საადგილმამულო ბანკში ადგილი უშოვნა. ივ. მაჩაბელს პირდაპირ დირექტორის ადგილი მისცეს. ამგვარათ, ივ. მაჩაბელი დროით შევიდა სათავადაზნაურო ბანკში მოსამსახურეთ. ბანკში მას დიდ ქომაგობას უწევდა ილია ჭავჭავაძე. იგი ამბობდა, რომ ბოლოს ბანკში ამან უნდა დაიკავოს ჩემი ადგილიო [...], მაგრამ ქართველი ხალხის ცხოვრებაში რა დარჩენილა თავისი სახით და სხეულით, რა არსებულა ქართველებში ისეთი რამ საზოგადო საქმის წარმოება? არაფერი, ძალიან ცოტა და მცირე, ბოლოს ყველაფერი დალეწილა და გამქრალა! ასე მოუვიდათ ილიასა და ივ. მაჩაბელსაც [...]

ილია ჭავჭავაძე იყო ბანკის თავმჯდომარე, ამასვე ჰყავდა ბანკში ოთხი დირექტორი. უფროსი დირექტორი იყო ივანე მაჩაბელი. ბანკის ყველა საქმის საკითხი ჯერეთ ილიას ეკითხებოდა და მის მერე ივანე მაჩაბელს, ესე იგი ივანე მაჩაბელი იყო ბანკში მეორე პირი. ხან, ივ. მაჩაბელი მეორე პირი იყო კი არა და, თავმჯდომარის ალაგსაც ასრულებდა. ილია ენდობოდა ივ. მაჩაბელს. მასში ასეთი დიდი ნდობა და კარგი განწყობილება იყო დამკვიდრებული. აი, ამ გარემოებამ რა მოუწყო და რა დაბადა ამ ორის კაცის ერთმანეთის შეძულებისათვის:

მოგეხსენებათ, რომ ბანკში მოგირავეებს თუ ფული არ შეაქვთ, მაშინ მათგან დაგირავებული მამულები ისყიდება ბანკში საქვეყნოთ. მოგეხსენებათ ისიც, რომ ბანკის მოვალეებშიც იყვნენ მრავლათ ისეთი მოვალენიც, რომელნიც კარგად იცნობდნენ როგორც ილია ჭავჭავაძეს, ასევე ივანე მაჩაბელსაც. თითქმის ექვს თვეში ერთხელ ყოველ მოვალეს ფული უნდა შეეტანა ბანკში, ამიტომაც ყოველი გადასახადის დროს მოვალეების თავზედ დიდი უსიამოვნება იყო ხოლმე. ვისაც ფული არ აქვნდა შესატანი, იმის მამული უნდა გაყიდულიყო, ამიტომ ყოველი ამ ვადის შესრულების დროს ბევრნი მოვალენი დიდათ აწუხებდნენ ბანკის თავმჯდომარეს – ილია ჭავჭავაძეს, ამას გარდა ყველა დირექტორებსაც. ეს ამათი გასაჭირი აი, რა იყო:

ძრიელ მრავლათ და მასთან ერთობ ხშირად, მათ ეხვეწებოდნენ მოვალეები და ევედრებოდნენ, რომ ამ ჟამათ ფული არა გვაქვს, დაგვაცადეთ და მეორე შესატანის დროს, ორივე შემოსატანს ერთათ შემოვიტანთო. ასეთი დავალებით მობეზრებული იყო ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი და მათთან ყველა დირექტორებიც.

ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე სულ გულმაგარი და ხელმომჭირნე კაცი იყო. მას თხოვნით თავს ვერავინ შეაბრალებდა. ივანე მაჩაბელი კი კაცს იცნობდა, როცა მას ვინმე სთხოვდა, რომ ფული არა მაქვს და ეს შემოსატანი მადროვეო, იმას ლაპარაკს დაუწყებდა, გამოჰკითხავდა, თუ რამ გაგიჭირა შენი საქმე ასეო [...] როცა ეს შეატყობდა და კარგათ დარწმუნდებოდა, რომ მას, მართლა, გაჭირვება კარს მოსდგომიაო, მაშინ კი დააცდიდა, უამისობა მისგან შეუძლებელი იყო. ასეთი თვისებების იყო ივანე მაჩაბელი და ეს მისი გულკეთილობა კი თურმე მას უმზადებდა დიდს სამარეს. საქმე ისე აეწყო მისი, რომ ნელ-ნელა ამგვარის გულკეთილობით, ივ. მაჩაბელი თურმე იძენდა თავის გარშემო ძრიელ უხეირო მტრებს, მასთან უვარგისებს და ცხოვრებისთვის უხეირო გმირებს და უანგარიშო მფლანგავებს.

ყოველთვის, როცა კი ვისიმე მამული იყიდებოდა და მისი მამულის ფასი მარტო გასაყიდს ვალში და შტრაფებში მიდიოდა, ეს იყო თურმე ივ. მაჩაბელის მოწყალება, ამან დააცადა მოვალეს, მისცა დაცდის დრო, ამისთვის მევალემ ვალი დროზე ვერ გადაიხადა, ბოლოს ვალებს ჯარიმები მოემატა, და, ბოლოს, როცა მამული გაიყიდა, მაშინ განაყიდში აღებულმა მამულის ვალიც ვერ დაფარა, რადგანაც მას ბევრი აქვნდა ჯარიმები. ესეთი მსხვერპლები იყო მოწყობილი ივ. მაჩაბლის გამოუცდელობისაგან. ასეთი საქმეების და დავალიანებების ილია ჭავჭავაძე ძლიერ წინააღმდეგი იყო [...] ასეთის აზრების გამო ერთ დროს ილია ჭავჭავაძეს პოლემიკა აქვნდა გამართული დიმიტრი ყიფიანთან და ამათ პოლემიკამ დიდი დავაც ასტეხა, მაგრამ ილია ჭავჭავაძე მაინც თავის აზრზედ მტკიცეთ დგებოდა, თუმცა დიმიტრი ყიფიანიც კი მას დიდ საყვედურებს აძლევდა ასე:

ივანე მაჩაბელი

– ჩვენ ბანკი გავხსენით იმიტომ, რომ ჩვენი მამულები გადავარჩინოთ გაყიდვას და თქვენ კი იმ ბანკის წესებს ისე აწყობთ, რომ ჩვენი მამულნი უფრო უბრალო ფასებში გაიყიდებაო. ბოლოს ჩვენ სულ ცარიელები დავრჩებითო [...].

ივ. მაჩაბელი დიდათ ემსგავსებოდა დიმიტრი ყიფიანის აზრებს და იგი პირდაპირ ვერ ეწინააღმდეგებოდა ილ. ჭავჭავაძის მოქმედებას, მაგრამ იყო ჩუმათ წინააღმდეგი, რომ ილ. ჭავჭავაძის მოქმედებით ქართველ ერს სულ მოკლე დროის განმავლობაში გამოეცლება ხელიდან მამულები და იგინი სულ ცარიელი დარჩებიანო.

ილია ჭავჭავაძე კი ამ გზას ადგა, რომ ბანკი შუა კაცია ფულიანსა და უფულოს შუაო, ბანკი ფული-

ანი კაცისაგან სესხულობს ფულს და ამას იგი აძლევს სესხათ სხვა და სხვა მოვალეებს და ბანკმა ამ თავის მოვალეებისაგან უნდა აიღოს ვალი, ამით უნდა იარსებოს ბანკმა და ფულის პატრონებსაც უნდა მისცეს ყოველს ექვს თვეში თავისი ვალის პროცენტი, ანუ სარგებელიო. მოვალეებს თუ ჩვენ დავაცდით და ესენი თავის ვალს თუ დროზედ არ შემოიტანენ, მაშინ ბანკს დაღუპვა მოელისო.

ასე და ამ გვარათ, ამ კითხვებში ივ. მაჩაბელიც მართალი იყო და ილია ჭავჭავაძეც. ამიტომ ამათ აზრებს მე განაჩენს ვერ დავდებ, ამის განაჩენის დადება მიმინდია გონიერის მკითხველისათვის. ვიტყვი იმასაც, რომ თუ მათი გამტყუნება იქმნება, მაშინ იგინიც ორივენი უნდა გამტყუნდნენ [...] ერთი იყო ბანკის თავმჯდომარე და მეორე — უფროსი დირექტორი. როცა ამ ორი კაცის, ბანკის უფროსების, აზრები ბანკის შესახებ ერთმანეთს ასე სასტიკის განსხვავებით ეჯიბრებოდნენ, აბა იქ კარგი რაღა იქმნებოდა? არაფერი.

ამიტომაც მოხდა, რომ ეს ორი მძლავრი ძალა, ეს ორი გმირი, ჩვენი საზოგადო საქმეებისა, ორი მწერალი და მძლავრი მამულიშვილები მგლურად ებრძოდნენ ერთმანეთს და, ბოლოს, მათ მიაღწიეს იქამდის, რომ ამ ბრძოლაში ერთიც დაიღუპა და მეორეც, თუ დიმიტრი ყიფიანმა [თავი] სტავროპოლში რუსის კაცებს მოაკვლევინა, ივანე მაჩაბელმა თვით მოიკლა თავი და ამ რისხვას არც ილია ჭავჭავაძე ასცდა და 1907 წ[ელს] ესეც იქმნა მოკლული ამ სამამულო, ანუ მამულის-დედულის დაცვის ასპარეზზე.

ამ ორ კაცთ შესახებ ჩვენ ვიტყვით, რომ ორივე გონიერი კაცები იყვნენ, დიდი მამულიშვილები, ხოლო ივანე მაჩაბელი ილია ჭავჭავაძისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი უფრო ახალგაზრდა იყო ილიაზედ, მასთან გულსწრაფი, ყველა ასეთებთან კეთილის შეხედულების და ყველა მასთან მონატრე და მომხრე. რომ ბანკში არც ერთი ქართველის მამული არ გაყიდულიყო. აი, ეს არის ამ ორი კაცის უმთავრესი მიზეზი ერთმანეთთან მტრობის. ჩვენ ამათგან ვერცერთს ვერ გავიმეტებთ, თავის წინაშე ივ. მაჩაბელიც მართალია და ილია ჭავჭავაძეც. აქ მტყუანნი არიან ამათი მეგობრები, ამათი ნაცნობები, რომელნიც მათ გარს ეხვივნენ და მათაც სასტიკად შხამავდნენ. სულ ასეთ კაცთა საქმეა ამ ორი კარგი მოღვაწის ერთმანეთზედ გადაკიდება და გადამტერება [...]

აქ, ამ ორ პირში, უეჭველად ეს ასე მოხდებოდა, რადგანაც ერთის გარშემო თავს იკრიფავდა ისეთი ხალხი, რომელთაც ბანკის დიდი ვალები აქვნდათ, ბანკში ვალი დროზე ვერ შეჰქონდათ და ამას გარდა სხვაფრივადაც იყვნენ უხეირონი და თავის ოჯახის დამღუპავ და დამაქცევარნი. აი, სწორედ ასეთი კაცები იკრეფდნენ თავს ივ. მაჩაბლის გვერდით.

ილია ჭავჭავაძემ კი ასეთ კაცთა არც მეგობრობა იცოდა და არც პატივისცემა, მისთვის ასე იყო საქმე დაყენებული, ჩვენ თუ სურვილი გვაქვს, ვიყვნეთ ერთმანეთის მეგობრები, ამხანაგები და ყველაფერში ერთნი, ხოლო ასეთებს ბანკის ვალთან საქმე არა აქვს, ბანკიდამ ვინც რამეს გაიტანს, იმან უსათუოდ დროზე ბანკში ვალის შეტანაც უნდა იცოდეს.

ილია ჭავჭავაძე ასე ამბობდა:

— ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ქართველ კაცმა სესხი და ვალის მნიშვნელობა შეისწავლოს და გადახდაც იცოდეს. ჩვენი მეგობრობა და სალამი და პატივისცემა სულ ამის გარშემო უნდა ტრიალებდეს. ამის გარეშე ჩვენი ცდა ბანკის საქმეების ასპარეზზედ იქმნება ცარიელი ჩონჩხი. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ქართველი კაცი ვალის გადახდას მივაჩვიოთ, თორემ, გარწმუნებ, რომ ქართველი კაცის ოჯახი დაიღუპება.

ივ. მაჩაბელი ასეთის ფიქრებისაგან შორს იდგა და როცა იგი გაჭირვებულ კაცს ნახავდა, მაშინ თვით წინ უდგებოდა. გაჭირვებული კაცის დახმარების საჭიროება, და არა სხვა და სხვა ფიქრები და მოსაზრებანი. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ ივ. მაჩაბელს, ამთავის საყვარელ ძმაკაცს, თავის ერთგულს ამხანაგს და მომავალში თავის მოადგილეს, ცოტა ალმაცერად დაუწყო ყურება.

ილია ჭავჭავაძის ასეთი შეხედულება ივანე მაჩაბელზედ მალე გამოქვეყნდა. ეს ამბავი სხვებმაც შეიტყვეს და ნამეტურ ისეთ კაცებმაც, რომელთაც ადრე ბანკში ვალის შეუტანლობის გამო მამული გაეყიდა. ზოგი იყო ისეთიც, რომელსაც ილია ჭავჭავაძის რამე პირადი მტრობა ჰქონდა, ან კიდევ მის გაზეთში დაბეჭდილს რამე ამბავს ეწყენინებინა, ან რამე წაეხდინა მისთვის. ვინ იცის, კიდევ რამდენი კიდევ სხვა ასეთი მიზეზები იქმნებოდა, რის გამო მათ ყველას ჯავრი სჭირდათ ილია ჭავჭავაძისა და მასთან მტრობით მის სისხლსაც სწოვდნენ [...]

ამგვარათ, ასეთ კაცებისაგან ბანკში გაჩნდა პარტიობა, ივანე მაჩაბლის გარშემო შემოიკრიფეს თავი ყველა იმ პირებმა, ვისაც კი ილია ჭავჭავაძის რამ მტრობა აქვნდათ და მას სძრახავდნენ სასტიკათ და ყველგან. ამ შემთხვევაში არც ილია ჭავჭავაძეს ეძინა და ამის გვერდითაც იკრეფდნენ თავს ისინი, რომელთაც ივანე მაჩაბლის რაიმე სამდურავი და მტრობა აქვნდათ. ასე და ამგვარათ, ივ. მაჩაბლის მომხრენი ლაპარაკობდნენ ყოველნაირს ჭორებს და ძრახვას ილია ჭავჭავაძეზედ და ასევე ილია ჭავჭავაძის მომხრეები ლაპარაკობდნენ ივანე მაჩაბლის წინააღმდეგ. ამ გვარათ, ეს ორი წრის ხალხი ავრცელებდა და ჰფენდა ყოველნაირს ბოროტებას, შურს და შხამს ამ ორს ქართველ წარჩინებულ კაცთა შესახებ. ასეთ კაცთა წრეს ეკუთვნოდნენ ყველა წრის და წოდების ხალხნი და თვით

ქართველი მწერლებიც და პოეტებიც, ასეთი იყო ჩვენი სახელოვანი მგოსანი აკაკიც.

მორიდებით კი უნდა ვილაპარაკო, მაგრამ მაინც ვალათ ვთვლი, რომ აქ უსათუოდ უნდა ვილაპარაკო აკაკისა და ილიაზედაც, თუ იგინი რა გვარის შეხედულებისა იყვნენ ერთმანეთზედ. მე ვილაპარაკებ სწორეთ, არც მეტს და არც ნაკლებს.

აკაკი ყოველთვის აშკარათ ლაპარაკობდა ილიაზედ და მის ლექსების წუნსაც მოურიდებლივ იტყოდა ხოლმე. მაგალითებრ როცა ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“ დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“, მაშინ აკაკიმ აღარ იცოდა, რა ექნა ამ პოემის ძრახვით, ამაზედ ლაპარაკმა ერთ ღამეს ნიკო ნიკოლაძის წინაშე ღამის 12 საათამდის გასტანა. ერთხელ აკაკიმ ილია ჭავჭავაძის პოეზიის კილო თავის ლექსებითაც კი აიგდო ასე მასხრათ, რაც კარგათ აღარ მახსოვს, მაგრამ ერთი ლექსიდამ ორს სტრიქონს მაინც მოვიყვან, რომელიც ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს. აი ეს სიტყვებიც:

„სულო, გულო, ფულო, ტურო
და ბოლოში მიაკერებს –
ოჰ მამულო დაღუპულო“

ამას კარგათ მიხვდება მკითხველი, რომ ეს სიტყვები ეხება ილია ჭავჭავაძეს. ასე და ამგვარათ, აკაკის ოდითგანვე აქვნდა ილიას ღვარძლი. ერთ დროს კი ილია ჭავჭავაძეს აკაკი აქებდა ხოლმე. ეს იმის მიზეზი იყო, რომ აკაკის მუხრანსკის ბანკიდამ უნდა ესესხებინა 1000 მანეთი და ამის ვექსილზე ხელის მოწერა აკაკიმ ილიას სთხოვა, ილიამაც მოაწერა და მის მერე ეს ფული ილიამ გადაიხადა, ამიტომ ამ დროს ესენი ერთმანეთს აქებდნენ კიდეც. როცა ილიამ ვალი გადაიხადა და აკაკის ვექსილი დაიხსნა, მის შემდეგ, ილიას ქების მაგივრად ძრახვა დაიწყო.

ბოლოს, როცა ივანე მაჩაბლის გარშემო უკვე მაჩაბლის პარტია დამკვიდრდა და მან აშკარათ დაიწყო მოქმედება ილიას წინააღმდეგ, მაშინ აკაკი წერეთელიც დიდის სიხარულით ჩაება ამ პარტიაში, ვინაითგან აკაკი მაჩაბლის უკვე კარგი მეგობარი იყო. მე არ ვიტყვი და არც ვიცი ის, თუ ივანე აკაკიც ილიას ჭორიკნობაში მონაწილეობდა თუ არა. ის კი ვიცით კარგათ, რომ მაჩაბლის პარტიაში ჭორებისა და შხამის გავრცელებას სხვები მისდევდნენ. აკაკი იყო მხოლოდ ილიას პოეზიის დამწუნებელი. ამის გარეშე სხვას არაფერს სძრახავდა. ვიტყვი იმასაც, რომ ილია ჭავჭავაძემაც იცოდა ის ცნობა, რომ აკაკი მისი წინააღმდეგი იყო, მაგრამ იშვიათად, რომ ილია ჭავჭავაძეს აკაკი როდესმე და სადმე ცუდათ ეხსენებინა. ეს არასდროს არ ყოფილა და ამას არავინ მოსწრებია. ივ. მაჩაბელის სასიამოვნოთ კი, აკაკის ხშირად დაუმცირებია ილია ჭავჭავაძე.

ივანე მაჩაბლის პარტიაში, როცა კი აკაკი დაესწრებოდა, იქ ეს ილიას შესახებ სიტყვას კარგს არაფერს იტყოდა, თუ რამეს იტყოდა ილიას საძრახავად, ეს იქმნებოდა მხოლოდ ივ. მაჩაბლის სასიამოვნოთ, მხოლოდ ილია ჭავჭავაძის პოეზიის ძრახვა. აკაკი ივანე მაჩაბლის ძმაკაცი იყო, კარგი მეგობარი. მაჩაბელი მას დიდათ სცემდა პატივს, დიდათ აფასებდა და რაღა ფიქრი უნდა, რომ აკაკიც დიდი პატივისმცემელი იყო ივ. მაჩაბლის. მაგრამ ილია ჭავჭავაძის ძრახვაში კი თავდაჭერილი იყო. იშვიათად, რომ მის შესახებ სადმე რამე ძრახვა ეთქვა. ამის შესახებ ნურავინ იტყვის, რომ ვითომც აკაკი ივანე მაჩაბელს ილიას შესახებ სამტრო ცნობებს უზიდავდა. ეს არ ყოფილა და ამაზედ ლაპარაკიც არ უნდა იყოს.

ილია ისეთი კაცი იყო, რომ მას თუ მტრები ჰყვანდა, მათ მაგიერ მოკეთეებიც ბევრი ჰყვანდა, პატივისმცემელნი და ერთგულნი. ამიტომ ეს ამბავი აკაკიმაც კარგათ იცოდა. ამიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძის შესახებ დაცინვით ვერაფერს იტყოდა, აკაკის არ ჰქონდა ამის საბაბი, რომ ილია ჭავჭავაძე დაეძრახა და რამე ცუდი ეთქვა [...] ამას რომ იტყოდნენ, რომ აკაკი ივანე მაჩაბელისკენ არისო, ეს იყო ივ. მაჩაბლისთვის საკმარისი. მის მეტი ივ. მაჩაბელს სხვა აღარა სჭირდებოდა აკაკისაგან, მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ვილაპარაკოთ ივანე მაჩაბელის პარტიის შესახებ. ივანე მაჩაბლის პარტია იყო შემდგარი ისეთის კაცებისაგან, რომელთაც ქართველი ერის ცხოვრებაში სახელი წამხდარი აქვნდათ. იყვნენ მათში ისეთი ქართველებიც, რომელთაც ქართული ენაც კი არ იცოდნენ. ასეთი ქართველი კაცები კი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ზოგი მათგანი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ბანკში სამსახურით შესულიყო და ალაგი დაეჭირა, ზოგიც დირექტორობას ფიქრობდა. ასეთ კაცებს, რომელთაც ეს ნატვრა აქვნდათ, მათ ილია ჭავჭავაძესთან ბრძოლა კი არ შეეძლოთ, ასეთებს ქართულს ენაზედ ლაპარაკიც არ ეხერხებოდათ. აი, ასეთმა კაცებმა იშოვნეს თავიანთ იარაღათ ივანე მაჩაბელი. ესენი ივანე მაჩაბელს აუწყებდნენ თავიანთ დარიგებას ასე: – შენ ილია ჭავჭავაძეზედ ნაკლები კაცი არა ხარ. შენ ხალხის მომხრე ხარ, შენ უნდა იყო ბანკის თავმჯდომარე და არა ილია ჭავჭავაძე; შენ ბანკის მართვა-გამგეობაში დაწინაურებული ხარ, შენ ბანკში ტოლი არავინა გყავს, იქ რაც არის, ეს მარტო შენ ხარ, ამიტომ ჩვენი გული შენსკენ არის, შენ უნდა იმეცადინო და ბანკის ძველი მოხელეები სულ გარეკო, მათ ალაგებზე ახალი დააყენო, შენ „თავმჯდომარე“ გახდე! კმარათ, ეყოფათ, რაც ილია ჭავჭავაძის მომხრეებმა აქამდის ბანკი სჭამეს, ეხლა სხვებმა უნდა სჭამონ, დრო არის ამისი. შენ, ივანე მაჩაბელო, ამაზედ არ შეშინდე, წინააღმდეგ წადი მთელის ბანკის არსებულის წესრიგის. იცოდე, რომ მთელი ქართველობა და სხვებიც სულ შენსკენ დადგებიან, შენ მოგცემენ ხმას, რომ ილია ჭავჭავაძის ერთგულები გაძევებული იქმნენ ბანკიდამ.

ასეთ ქადაგებაში აკაკიც იღებდა ხოლმე მონაწილეობას და ამბობდა ხოლმე ასე: – ივანე მაჩაბელი ვისზედ რა ნაკლები კაცი არის! ბანკის სამსახურით ილიასაც სჯობია და სხვებსაც, მთელს ბანკს მარტოთ წარმოადგენს. ივ. მაჩაბელს უფრო უკეთ შეეძლება ბანკის თავმჯდომარეობა, ეს უფრო უკეთესად წაიყვანს ბანკის საქმეებს და წარმოებას. ასეთი ქადაგებით, რასაკვირველია, ხალხში დიდი შხამი და მტრობა ითესებოდა. ნელ-ნელა ივ. მაჩაბელის პარტიაც ძრიელდებოდა წევრთა რიცხვით, მატულობდა, მაგრამ ითქმის ისიც, რომ ასეთ წევრთა რიცხვის წევრნი სულ არ შეეფერებოდნენ ივ. მაჩაბელის ღირსებას. აქ, ამის პარტიაში იკრეფდა თავს ისეთ კაცთა რიცხვი, რომელთაგანაც თავის დღეში კარგი არაფერი წარმოსდგებოდა. ტყუილათ კი არ არის ნათქვამი –„კოკასა შინა რაცა სდგა, იგივე წარმოსდინდებისო“.

ასე მოუვიდათ ივ. მაჩაბელის მომხრეებსაც, მათ ვერაფერი ვერ გააკეთეს და ვერც გააკეთებდნენ, რადგანაც მათ ამის შნო და ძალა არ შესწევდათ. მათ მხოლოთ ერთი ის ჰქმნეს, რომ ივ. მაჩაბელი აიყოლიეს, დააყენეს მრუდე გზაზედ და ამისის მხრით და საქმიანობით ისურვეს თავისის აზრის შესრულება. ივ. მაჩაბელიც დასძენდა დაბეჯითებით მასზედ, რომ მე იმდენი პატივისმცემლები მყავს, რომ მე შევძლებ ჩემის ახალის ამხანაგებით ბანკი უკეთესად ვაწარმოოვო [...]

საქმის აქ მოწყობა იყო საჭირო, რასაც უნდა დიდი მოხერხება, დიდი ენერგია და ოსტატობა, ამიტომაც ივანე აქეთ მოდგა, იქით მიდგა და ბოლოს ისიც გაარკვია, რომ ვიდრე ეს მოხდებოდა, მინამ ამ ბანკის გამგეებს მთავრობის ნდობა და პატივისცემაც უნდა გაუფუჭდესო [...] ივანე მაჩაბელმა თავის პარტიის წევრთა დარიგებით, თვითჩაგონებით და დახმარებით, დასწერა ერთი მოხსენება და მალე წარუდგინა რუსეთის მონარქიული მთავრობის ფინანსთა მინისტრს ასეთი ცნობა, ანუ „დაბეზღება“. „დაბეზღებას“ მე ჩემი სიტყვით არ ვკადრებ, ეს მაშინ ასე მონათლეს და ასე უწოდეს იმ დროს ამ მოხსენების ცნობას, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ბანკის ერთ საზოგადო კრებაზედ გამოაშკარავა.

ამ დროიდან და ამ ცნობიდან იწყება ივ. მაჩაბლის დაღუპვის დასაწყისი, რაშიაც, რასაკვირველია, ივ. მაჩაბლის პარტიის წევრებს უკავიათ პირველი ადგილი. ესეთი საქციელი ილიამ თავის თავის შეურაცხყოფათ მიიღო, ვინაითგან ილია ჭავჭავაძე იყო იმ დროს ბანკის თავმჯდომარე და თუ მის დროს „ზლო უპოტრებლენიე დოპუსკაეტსაო“, ამისი ბრალი ვის უნდა დაედოს, თუ არა ბანკის თავმჯდომარეს. მაშასადამე ამისთანა ბრალდებას ილია ჭავჭავაძე ვერ დასთმობდა ადვილათ. ვერ დასთმობდა მით უფრო, რომ რადგანაც აქამდის თუ ივ. მაჩაბელი თავის პარტიის წევრებით ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ მალულათ მოქმედებდნენ, ახლა კი მინისტრებთან მიწერილის ქაღალდით ივ. მაჩაბლის მალულ ბრძოლას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიეცა აშკარა ხასიათი. ამიტომ ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძემაც აშკარათ და თავდადებით დაიწყო ივ. მაჩაბლის და მისი პარტიის წინააღმდეგ მოქმედება. ჩვენში იტყვიან: „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო“. ასე მოუვიდათ ივ. მაჩაბელსაც თავისი ამხანაგებით [...]

ეს დაიწყო მაშინ, როცა მოხდა თავად-აზნაურთა გუბერნიის წლიური კრება. ამ კრებებზეც ილია ჭავჭავაძემ გაიმარჯვა. დეპუტატთა კრება დამთავრდა, ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო წლიური კრებები ბანკის რწმუნებულთა და მოგირავნეთა. ამ კრებაზეც ორი მოპირდაპირე ძალა გამოდიოდა ორატორებად და ერთმანეთის მებრძოლათ: ესენი იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი [...] ბანკის კეთილდღეობა მოითხოვდა მათ ერთობას. ისინი კი ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად გამოვიდნენ და დაიწყეს ორმოს თხრა ერთმანეთის მოღვაწეობაზედ [...]

დაიწყო კრება, დაიწყეს საუბარი, მალე გაიმართა ამ ორ კაცს შორის სიტყვით ბრძოლა. ბანკის სხვა დირექტორები ვის მხარეს იყვნენ, ილია ჭავჭავაძის თუ ივანე მაჩაბლის, ამის შესახებ არაფერი ვიცი [...] კრების გახსნის პირველ დღესვე ილია ჭავჭავაძემ თუ ივ. მაჩაბელმა დაიწყეს კამათი და ბრძოლა მხოლოთ სიტყვით. პირველ დღესვე ილია ჭავჭავაძემ დაიწყო ლაპარაკი და გაიმარჯვა მთელს ბანკში მოსამსახურე პირებზედ. ეს სიტყვა იყო ივ. მაჩაბლის დამარცხების დასაწყისი [...] მაჩაბლისტებმა ეს კარგათ იგძნეს. ესენი იმ დღიდან ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლას და ლაპარაკსაც უფრო ცხარედ შეუდგნენ. ილიას ბევრს ბოროტებას სწამებდნენ, ბევრს ცილს და ვინ იცის, რას, არა. ამიტომ აქ არ ვეცდები, რომ აკაკის შესახებ არა ვსთქვა რა. როგორც ივ. მაჩაბლის პარტიის წევრი, აკაკი ილია ჭავჭავაძის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და მას ძრახავდა როგორც ბანკირს, როგორც მდაბალ კაცს, ბურჟუას, მაგრამ, იმავე დროს, მას თავი მაინც ეკავა და ილია ჭავჭავაძის კიცხვას და გმობას ივ. მაჩაბლის სასიამოვნოთ მაინც და მაინც მძლავრად არ მისდევდა. მე ვიტყვი თამამად შემდეგს:

აკაკი წერეთელი იყო გაქურდული ცხოვრებაში, თფილისში მას თითქმის სულ ვალი აქვნდა, ყველა სასტუმროში, ყველგან მას ვალი ემართა. ამიტომ მას იქ არსად მიესვლებოდა. აკაკის ერთადერთი ბინა იყო ივ. მაჩაბლის სახლი, სადაც მას ბინა აქვნდა. აქვე სჭამდა და დროს ატარებდა. უნდა ითქვას, რომ აკაკის ასეთი სიკეთე და მფარველობა არასდროს არსად ენახა. ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ივანე მაჩაბელმა მას ბინა მისცა, მასთან საჭმელიც და ბევრი სხვა რამ, ეს არის აკაკის ცხოვრებაში პირველი მაგალითი. ამიტომაც

აკაკი ივ. მაჩაბლისაგან ისე დავალებული და პატივცემული იყო [...] იქცეოდა ისე, როგორც იგი მოსაწონი იყო ივ. მაჩაბლისათვის, თორემ აკაკის თავის დღეში არა აქვნდა იმისი ფიქრი, რომ ეკიცხა და ელანძღა ილია ჭავჭავაძე მით რამე სამსახური გაეწია თუნდ ივანე მაჩაბლისათვის. ივანე მაჩაბლის ამხანაგების მიმყოლი სულაც არ იყო. როცა მათში ჩავარდებოდა, მაშინ რა უნდა ექნა, ილია ჭავჭავაძის ქებაზედ ვერ დაიწყებდა ლაპარაკს, უეჭველია, მის შესახებ რამე ცუდი უნდა ეთქვა, რომ მით ყველასთვის ესიამოვნებინა.

[...] ილია ჭავჭავაძე ისეთი კაცი იყო, რომ ძნელათ მას ვისმესთვის რამე ეპატიებინა [...] ამიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძეც, თავის დედააზრის თანახმად, ივანე მაჩაბლის წინააღმდეგ კარგათ მოემზადა. ეს იყო ილია ჭავჭავაძის ოსტატური კილო და მისი საგანი. რაკი ივ. მაჩაბელმა იკადრა და ფინანსის მინისტრს მოხსენება თუ „დაკლადი“ მისცა, რომ ბანკში ბოროტმოქმედება არის დაშვებულიო, ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი მთავრობის და ხალხის წინაშე გავაშავოთ იგი, რომ დღეის შემდეგ ასეთ კაცებს ჩვენი ცხოვრების ასპარეზზედ საქოლავი აეგოთ, მათ გასაქანი აღარსად აქვნდეთო. ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე და ასეც ლაპარაკობდა [...] ეს ორატორი კარგათ მოემზადა ივ. მაჩაბლის წინააღმდეგ და იხმარა ისეთი ძალა, ისეთი ცოდნა და ორატორის ნიჭი, რითაც მან ცხარე საქოლავი აუგო ივანე მაჩაბელს და მთელ მის პარტიასაც [...] ახლა მოვიყვანთ აქ [...] ილია ჭავჭავაძის სიტყვას [...] ილიას სიტყვა მე მომყავს აქ ჩემის სიტყვებით, ცნობები კი პირდაპირ ილიას ეკუთვნის, არც მეტი და არც ნაკლები. აი ესეც, ილია ჭავჭავაძის სიტყვები ივ. მაჩაბელის წინააღმდეგ:

– ბატონებო, ჩვენი ცხოვრებით სხეული მძლავრათ დადუნდა, მას სხვადასხვა მძლავრი სენის მუწუკები გაუჩნდა და ეს მუწუკები მოედო ჩვენს სხეულს. ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სახსარს და მხედველობასაც კი. თუმც ასეთი სატკივარის გაჩენა ჩვენთვის დიდად სამარცხვინო საქმეა, მაგრამ რა გაეწყობა. ჩვენ, ქართველები, ყველაფერს შეჩვეულნი ვართ, ვიცით მოთმინება და ვინაითგან მოთმინება ყველაფრის წამალია და ხშირათ მოთმინება შემცდარს უკეთეს გზაზედ აყენებს, შემცდარი ჭკუაზედ მოჰყავს [...] და ბევრიც სხვა კეთილი საქმეები სურს და ავრცელებს დედამიწის პირზედ, ამიტომაც ქართველი ერი ქებულია და დიდსულოვანი თავის მოყვარეთა შეცდომების მიტევებით, მონანიებით, მეც ამ აზრის ვარ, ჩვენში,ჩვენს მოღვაწეებში ყველას რომ თითო რამ ძრახვისათვის კიცხვა დავუწყოთ, მაშინ ჩვენი საქმე ცუდათ იქმნება და ჩვენ ერთი კაციც აღარ შეგვრჩება ხელში უცოდველი და შეუმცდომელი.

და თუ შემცდარი და შეცოდებული არ შედის თვის სინანულში, არ აკვირდება თვის შეცდომას,

ილია და მაჩაბელი ჭადრაკთან

თვის გასულ გზას, მაშინ ჩვენ რაღა გვაქვს დარჩენილი, არაფერი, ერთადერთი ის, რომ ასეთ პირს თავისი დანაშაული აღარ ვაპატიოთ და მას ავუგოთ საქოლავი და დავმარხოთ იქ, სადაც იგი არსებობს და, ალბათ, მოქმედებს. მე ახლა ბატონებო ძალიან შორს აღარ წავალ და აქ ვილაპარაკებ ერთ ჩვენს სამარცხვინო საქმეზედ, რაც არ შეჰფერის არცერთ რიგიან და პატიოსან კაცს, იგი საძრახისია როგორც პატიოსნისათვის, ისევე არაპატიოსნისათვისაც, როგორც ნამუსიანისთვის, ასევე უსინდისოსათვისაც. ეს არასაპატიებელი მხარე გახლავთ შინაგამცემლობა, ცილისწამება, ქვეყნის ღალატი, ბრალდება მთავრობის წინაშე, ვითომც თანამემამულენი სახელმწიფოს მოღალატენი არიან, ვითომც იგინი მტრობენ ქვეყნის სასიკეთო მხარეებს და სიკეთეს. მართლაც და, ბატონებო, ასეთი კაცების შებრალება და პატივება შეუძლებელია, რადგანაც ამ პატივებას არც თვით შემცდარი ნდომობს და კადრულობს [...] მე გული მტკივა და ამის შესახებ ვწუხვარ კიდეც, რომ მე აქ უნდა ვახსენო ივანე მაჩაბელი, მაგრამ მეტი გზა არ მაქვს, რა ვქნა? ნათქვამია: „კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალაო“. ასეა ჩვენი საქმეც და ამიტომ მეც ვალდებული ვარ და ჩვენი ოჯახის მოყვარე ივანე მაჩაბლის სამსახურიც არ დავმალო და საქვეყნოდ გამოვაცხადო. ივანე მაჩაბლის ეს საქვეყნო სამსახური არის ჩვენი ქვეყნის ღალატი, მონაგარის წიხლის კვრა, მშობელი ქვეყნის ინტერესების უარყოფა, გაცემა და მტრობა [...]; ავყია კაცების ყურის გდება [...] ისეთი კილოთი დაიწყო ილია ჭავჭავაძემ ივანე მაჩაბლის შესახებ ლაპარაკი და ისეთი სიტყვებით და კილოთი ჰქარგავდა, რომ მისის გაგონებით ყველას გული ივ. მაჩაბლის ზიზღით, მტრობით, ძრახვით ივსებოდა [...]

ამ სიტყვამ ისეთი გავლენა მოახდინა ხალხზედ, დიდ-პატარაზედ, ახალგაზრდაზე, მოხუცზე [...] ივანე მაჩაბელიც სასტიკად გააწბილა. ამის პარტიაც ხომ უარესად გაბრაზდა [...]

[უნდა აღინიშნოს, რომ] ამათ შესახებ თვით ქართველ სამღვდელოებაშიც იწყეს ლაპარაკი. იქ, სხვათა შორის, ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი და ილაპარაკა და ისურვა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის შერიგება და მათში უსიამოვნების მოსპობა. ყოვლად სამღვდელოს ეს განცხადება იქ მყოფთ ყველას ესიამოვნა და აქვე ყოვლად სამღვდელოს დიდი სალამი უთხრეს და სთხოვეს, რომ იქნებ თქვენი განძრახვა მალე შეასრულოთო და ეს ორი საუკეთესო ქართველი ერთმანეთს დაამეგობროო [...] ამ ლანძღვა-გინების და გმობის ნიმუშსაც მოვიყვან აქ, რომ მკითხველმა იცოდეს ივ. მაჩაბლის სულიერი მდგომარეობა: [...] კიცხავდნენ ზოგნი ლექსით, ზოგი სცენით, ზოგნიც ანდაზებით და სხვა და სხვა იგავის კილოთი. სძრახავდნენ სასტიკად ასე:

– გაუხმეს ივანე მაჩაბელს ის კალამი. რომელითაც იგი სწერს ქართველი ერის დაბეზღებას და ამ დაბეზღებას რუსის მთავრობას უგზავნის!

– ივანე მაჩაბელს მოსტყდეს მარჯვენა მკლავი, რომ მან მარჯვენის ხელით ვეღარ შესძლოს „დანოსის“ წერა ქართველი ერის შესახებ [...]

– ღმერთმა შეარცხვინოს ივანე მაჩაბლის კალამი, რომ შერცხვენილმა ვეღარ შესძლოს ქართველებზედ დაბეზღების წერა!

– ღმერთმა გაუხმოს ივანე მაჩაბელს ენა, რომ მან თავისი ბინძური ენით აღარ აბეზღოს ქართველი ერი!

– იქ, სადაც მაჩაბელი და მისი პარტია სცხოვრობს, იქ ქართველ ერს აღარ ეცხოვრება, რადგანაც ივ. მაჩაბელი მტერია ქართველი ერისა და მაბეზღარი [...]

ასეთ შეჩვენებათა ნაწილში ილია ჭავჭავაძესაც უძევს წილი. მისი წყევლის სიტყვები ისეთი იყო ხოლმე, რაც ივ. მაჩაბელს მთელს ქართველობას სასტიკათ აძულებდა და მასზედ მეტად ცუდი ცნობები და მავნე ამბებიც ვრცელდებოდა ხალხში მძლავრად. ასეთ შეჩვენებას და ბოროტებას ქართულ გაზეთებშიაც აქვნდა ხოლმე ადგილი და, რასაკვირველია, იგი უფრო აჭარბებდა ყველა ნაირს ავობას. ივ. მაჩაბლის ზიზღმა იქამდის მიაღწია, რომ იგი შეძულებულ იქმნა მთელი ქართველებისაგან და მასთანვე გაძევებული ყველა ქართული დაწესებულებიდამ, ამის საქმე ისე მოეწყო, რომ მას სადმე მისვლაც კი აღარ შეეძლო.

იმ დროს, ივ. მაჩაბელი, მართლაც, რომ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა [...]. ივ. მაჩაბელს და მის პარტიას უკვე კარგათ შეეტყოთ თავისი უძლურება და ილია ჭავჭავაძის მახვილის მაგრად მოხვედრა, ამ მახვილმა ივ. მაჩაბელის პარტია სასტიკათ დაამარცხა [...]. [მაჩაბელის პარტიის ერთერთი წევრი] ბანკის ერთ საჯარო კრებაზედ ნ. ნიკოლაძეს ლაპარაკის დროს ჩაება და სთქვა ასეთი სიტყვა: „ნ. ნიკოლაძე იმერელია. იგი თფილისის მოქალაქე არ არის, მას არც უფლება აქვს აქ. ჩვენს ბანკში არა აქვს დაგირავებული [მამული], ამიტომ მას არც ნება აქვს, რომ აქ, ჩვენს ბანკში მელაპარაკოსო [...]. ამ გარემოებამ სრულ აღაშფოთა იქ დამსწრე ქართველი საზოგადოება, ამავეს დიდი ყურადღება მიაქცია ილია ჭავჭავაძემ და ამან სიტყვაც სთქვა ამ გარემოების შესახებ, ბარემ მოვიყვანთ ილია ჭავჭავაძის სიტყვასაც:

ბატონებო, მწუხარე გულით უნდა ავღნიშნო ის საქციელი, რაც კი ივანე მაჩაბლის ერთმა ბელადმა აქ, თქვენს წინაშე გამოიჩინა. ეს მისი საქციელი დასაგმობია [...] ბატონები, განა ჩვენს დროში შეიძლება ესა, ეს განა მისაღებია ან მოსათმენი? სთქვეს, რომ ბ. ნ. ნიკოლაძეს უფლება არ აქვს, რომ აქ სიტყვას იძახისო.. რატომ? რა არის საფუძველი, რომ მას უფლება არ აქვს, რომ სიტყვა არ სთქვას? ნიკო ნიკოლაძეს თუ ლაპარაკი უნდა, იმერეთში წავიდეს და ქუთაისის ბანკში ილაპარაკოსო. აქ მას ლაპარაკის უფლება არა აქვსო. ასე გახლავსთ ივ. მაჩაბლის ამხანაგების ფიქრათ ჩვენი საქმე. ბატონებო, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ გარჩევამ და განსხვავებამ დაბადა ქართველი ერის დაღუპვის დასაწყისი, ამით იყვნენ ჩვენი წინაპრები დამარხულები, რომ ქართლი კახეთს ებრძოდა, კახეთი ქართლს, ასევე იმერეთს, იმერეთი რაჭას, რაჭა სამეგრელოს, სამეგრელო გურიას და ყველა ერთმანეთს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ შეგნებამ დაღუპა საქართველო და დააქუცმაცა იგი. ამან მოუღო ბოლო ქართველი ერის ცხოვრებას და, ჩვენდა სამწუხაროთ, ის, რითაც ჩვენი წინაპრები იყვნენ დამხობილები და რითაც იგინი იღუპებოდნენ, ასევე დამღუპველი სენი დღესაც განმეორდა ჩვენში და თამამათ იქმნა წარმოთქმული ივ. მაჩაბელის ერთის გველის პერანგისგანა. ამ ძვირფას შხამს ჩვენის ცხოვრებისას უნდა ვუწოდო წყევლა და უკმაყოფილება, რასაც, უეჭველია, თქვენც სიამოვნებით მოისმენთ [...]

ეს სიტყვა ილია ჭავჭავაძემ ისე მოქარგა და ისეთის მძლავრის კილოთი თქვა, რომ მისის ხმოვანებისაგან ივ. მაჩაბელი და მთლად მისი პარტიაც შეჩვენებულ იქმნა და შეძულებულ იქ დამსწრეთ მსმენელ საზოგადოებისაგან. უნდა ითქვას, რომ ივ. მაჩაბელი თუ დაცემულ იქმნა და დამარცხებული, იგი დამარცხდა თავისი ამხანაგების უღირსობითა და უხეირობით, ვინაითგან ივ. მაჩაბელის ამხანაგები სულ არ იყვნენ ღირსნი თავიანთ მეთაურის [...] ამ ამხანაგებში, რომელთა რიცხვი არ იყო მცირე, იყო ერთათ ერთი აკაკი და მეორეც მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი. დანარჩენი კი იყვნენ ისეთი კაცები, რომელთაგანაც ივ. მაჩაბელს კარგის მოლოდინი არას დროს არ უნდა ჰქონიყოს [...]

ივ. მაჩაბელს უნდა სცოდნოდა, რომ ილია ჭავ-ჭავაძესთან ბრძოლაში მისი მოუმზადებელი ამხანაგები არ გამოდგებოდნენ. არ ვიცით ჩვენ, რომ ივ. მაჩაბელმა ეს იცოდა თუ არა, ვგონებთ, რომ მას თავის ამხანაგების უნიჭობა კი უნდა კარგათ სცოდნოდა [...]

ივანე მაჩაბელი მძლავრი კაცი იყო, ბანკის საქმეების ცოდნით ილია ჭავჭავაძეს არ ჩამორ-ჩებოდა. რომ მომხდარიყო ის, რომ ბანკის გამგეობა ივ. მაჩაბელს ჩაეგდო ხელში, მაშინ მას ბანკის მართვა-გამგეობა არ გაუჭირდებოდა, ამის ძალაც შესწევდა მას. ერთ-ერთი ის იყო ივ. მაჩაბლის უძ-ლურება, რომ მას არ აქვნდა შესაფერი მცოდნე ამ-ხანაგები. ეს რომ მართალია, ამას გამოაჩენს შემ-დეგი გარემოება.

ილია ჭავჭავაძე ბანკის კრებაზედ, ერთ საღა-მოს, დამარცხებულ იქმნა. ილია ჭავჭავაძის მაგი-ერ ივ. მაჩაბელმა დაიკავა ალაგი და ასევე მთელი ბანკის გამგეებადაც დანიშნული იქმნენ ივანე მა-ჩაბლის მომხრეები. ამგვარათ, დაემხო ილია ჭავ-ჭავაძე თავის პარტიით, მაგრამ რა მოხდა იქვე, იმავე საღამოს. ილია ჭავჭავაძის პარტიამ მაში-ნათვე იგძნო თავისი შეცდომა, მალე დაარღვიეს კანონიერი კრება, გაუქმებულ იქმნა არჩევნებიც, გადააყენეს ივ. მაჩაბელი თავის პარტიის წევრე-ბით [...] და ბანკის გამგეთ და პატრონებათ ისევ ილია ჭავჭავაძე იქმნა გამოცხადებული თავის ამ-ხანაგებით. იქ მყოფი დამსწრენი, თვით ივ. მაჩაბე-ლის მომხრენიც კი ილია ჭავჭავაძეს და მის პარ-ტიას მიემხრენ. იმ ღამეს ესეთი დამარცხება არ მოხდებოდა ივ. მაჩაბლისა, რომ მას გარს კარგი ამხანაგები ჰყოლოდა.

მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო [...]

აქ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ახლა ივ. მაჩაბელის დახასიათებაზედ. იგი იყო ძრიელ გულსწრაფი და ჩქარი, ამის გარდა, იყო მეტის მეტად ბრაზიანი და ანჩხლი. თუმცა არც ბოროტი იყო და გულკეთი-ლობითაც არ იყო უმნიშვნელო, იყო მეტათ გულ-კეთილი. მე მითხრეს, ერთხელ, როცა მან პეტერ-ბურგის სწავლა გაათავა და თფილისში ჩამოვიდა [...], თავის სოფელში გლეხების სადილი გამართა, მთელი სოფლის ხალხი დაჰპატიჟა. და თვითონაც ამ გლეხებში ჩაჯდა, მათთან პური სჭამა და გლე-ხებს დიდად ესიყვარულებოდა. ერთი ამისი უბე-დურება ის იყო, რომ იგი თავის მოქმედებით დიდს მტრებს იძენდა, თუმცა ამ მტრების შესაძენათ მას არავითარი დანაშაული და ბოროტება არ აქვნდა, მაგრამ მისი საქციელი ისეთი იყო, რომ მას ყველას სიკეთე სურდა, არავის წყენა და ბოროტება და ეს კიდევ არ იყო მისთვის საჭირო გზა და კვალი, ნა-მეტურ ბანკის საქმეებში ივ. მაჩაბელი იყო დიდად უბედური და უცოდველი კაცი, მაგრამ მის ხალხი-საგან ისეთი დავალება და საქმეები ატყდებოდა თავზედ, რაც მას თავის მტერთა რიცხვსაც ერთი ათად უმრავლებდა. სულ ეს გარემოება იყო იმის საფუძველი გასაღები, რომ ილია ჭავჭავაძესა და ივ. მაჩაბელს შორის ისეთი მტრობა დაითესა და ამ მტრობით იგი ვინ იცოდა, სადამდის მივიდოდა. ჩვენდა სამწუხაროთ, ივ. მაჩაბლის მტრობა უფრო მძლავრ ხასიათს იღებდა და იგი უფრო მძულვა-რების თვისებით ივსებოდა, ამიტომაც იცით, რომ იგი ხალხს უფრო მალე შესძულდა. თუმცა მას ამ შეძულებისათვის ისეთი დიდი არაფერი შეცოდება მიუძღოდა. მაგრამ მისი შეცოდება იყო, მათი გა-მოუწურთნავობა და ქართულის ხასიათით არ მომ-ზადება, საქმის და გარემოების არ განსჭვრეტა და ილია ჭავჭავაძესთან შეუპოვარი ბრძოლა და კა-მათი. ივ. მაჩაბელის საქმე ისე მოეწყო, რომ მისი ხსენებაც შეიძულეს ხალხში, ნადიმზედ, სადილ-ზედ, ვახშამზედ, ღვინო ისმეოდა ხშირათ და თან გადადიოდა ივ. მაჩაბელის წყევლა, ქოქვა, გმობა და, ვინ იცის, რაგინდა, რა არა. ისიც მართალია, რომ ხან ილია ჭავჭავაძესაც ძრახავდნენ, მაგრამ ეს იყო იშვიათად, ერთობ მცირე. ივანე მაჩაბელის ძრახვა, წყევლა და ქოქვა კი თითქმის მუდამ დღე იყო და თფილისის თითქმის ყოველს კუთხესა და ყოველს ოჯახში, თუმცა იმასაც ვიტყვით, რომ ივ. მაჩაბელი არც ისე დასაწყევლი იყო და ცუდი.

მაგრამ ჩვენში ქართველებმა ასე იციან, თუ ერ-თი ვინმე ყბად აიღეს და დაიწყეს მასზედ ლაპარა-კი, მერე მის წინააღმდეგ მთელი ქვეყანა იყვირებს და დაუწყებენ გმობას, ძრახვას და, ვინ იცის, რო-გორ ცილისწამებას არა. სწორედ ასევე მოხდა ივ. მაჩაბელის საქმეც. მას სწყევლიდნენ, სძრახავდ-ნენ და ბევრმა კი ისიც არ იცოდა, თუ ამ წყევლის მიზეზი რა იყო, რა საგანი და მიზეზები იწვევდა მას, ერთათ ერთი ისიც კმაროდა, რომ ბანკის კრე-ბაზედ ილია ჭავჭავაძე ჰკიცხავს მას და ამიტომ ჩვენზედაც ჰალალია, რომ იგი ვლანძღოთო. ამი-ტომაც მოხდა ივ. მაჩაბელის ლანძღვა, გინება, შე-ძულება და დიდი მძულვარებაც. მართალია, ივ. მა-ჩაბელსაც ჰყვანდა ორიოდე მტერი ქალურს საქმე-ებზედ, სხვა მტერი კი მას არავინ ჰყვანდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ ისეთი დღე დააყენა მას, რომ ივა-ნე მაჩაბელი მთელმა ქართველმა ერმა შეიძულა.

ასე და ამგვარად, მძულვარებამ ბანკის პირვე-ლობისამ დაბადა მძულვარება ქართულს მწერლო-ბაში, ქართულს განათლებულ ინტელიგენციაში, ქართველ სამღვდელოებაში, ქართველ ვაჭრებში და ხელოსნებსა, მუშებსა და გლეხებში. პრესაში ხომ ამის ზიზღის ვრცელებამ ზომას გადააჭარბა. იმაზედ მეტი აღარა შეიძლებოდა რა, მაგრამ ვინ იყო მისი პატრონი და გამგე, დამწუნებელი ან მომ-წონებელი. ყველანი მეჭორენი იყვნენ და სულ მის ძებნაში აღამებდნენ დღესა და ღამეს, რომ ივ. მა-ჩაბელის შესახებ რამე ჭორები შეეკრიფათ, რომ მერე ეს ჭორები ილია ჭავჭავაძესთვის მიეტანათ მით ესიამოვნებინათ მისი დასევდიანებული გუ-ლი. ასეთ პირთა საქმე იყო მხოლოდ ჭორი და ივ. მაჩაბლის გმობა, კითხვა და სხვაც ბევრი ასეთნი,

ზაქარია ჭიჭინაძე

რაც კი ივანე მაჩაბელის შესახებ ხალხში ერთობ მალე იფინებოდა, რადგანაც ამ კიცხვას თავს ედვა სარჩულათ გამხდარი ილია ჭავჭავაძის ბრძნული დაწუნება და ძაგება. ამიტომაც უნდა ითქვას, რომ ასეთ ჭორიკანულს საქმეებში არც ილია ჭავჭავაძე არის უცოდველი. ამას მე თამამათ ვამბობ, რადგანაც ილია ჭავჭავაძე ამისათვის სრული ოსტატობით იბრძოდა, მაგალითებრივ იგი თავის ამხანაგებს თითქმის ყოველ კვირა უმართავდა კარგ ნადიმებს და ამ ნადიმზედ ჰპატიჟებდა ყველას, დაპატიჟება აღარავის უნდოდა, ყველა უნდა მისულიყო და თან კი უნდა მიეტანა ივ. მაჩაბლისა და მისი ამხანაგების შესახებ რამე ამბავი, გინდ მართალი, გინდ ტყუილი.

სამწუხაროთ, ასეთ სტუმართაგან მიტანილ ჭორებს თუ მართალ ამბებს აღარც ილია ჭავჭავაძე უკვირდებოდა, იგიც ისე ჰყვანდათ ამ ქვეშ-ქვეშა გველაძუებს დამორჩილებული და აყოლებული, რომ თვით ეს ბრძენი კაციც გახდა მათი ვერაგობის ამყოლი და მსხვერპლი, თვით ეს გონიერი ადამიანიც კი ჩაიყლაპა თავის ნაცნობთა შურიანობის და მტრების ჭორიკანობის ჯურღმულში. ასეთის პირობით, რასაკვირველია, ივანე მაჩაბელი ადვილათ ხდებოდა საკიცხი და საგმობი [...]

ეს გარემოება რომ გვეცოდინება, მაშინ ისიც ადვილი იქნება, შევიტყოთ, თუ ივანე მაჩაბელი რათ დაიკარგა ისე უცნაურად და ან მის ასე დაკარგვას რა დაედო მიზეზათ და სარჩულათ.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ივანე მაჩაბელმა რომ გაიმარჯვოს და მისმა ამხანაგებმა, მაშინ ბანკი დაიღუპება. იგინი ბანკის მართვა-გამგეობას ვერ შესძლებენ, ბანკი ზარალში ჩავარდება და მაშინ ქართველების მამულები სულ დაისყიდება და მათგან აღებული ფული ბანკის ვალების გადახდასაც აღარ ეყოფა. იქმნება მაშინ ამ მამულების ფულები ბანკის მოვალის პროცენტებსაც არ ეყოს და თავნი კი უკვდავ ვალად დარჩეს [...] ილია ჭავჭავაძის ასეთმა ქადაგებამ, მართლაც, დიდი ზეგავლენა მოახდინა მთელს ქართლ-კახეთის ხალხზედ და იმიტომაც მოხდა ისიც, რომ როცა ასეთი ქადაგება გავრცელდა ხალხში, მაშინ ივანე მაჩაბელს ბევრნი თვით მისი ამხანაგები და მეგობრები გადაუდგნენ მის პარტიას და მათაც დაუწყეს სასტიკათ ბრძოლა და კამათი, მტრობაც კი [...] ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძის ქადაგების ასეთ კილომ ივ. მაჩაბელი განწირულობამდის მიიყვანა და იგი ჩავარდა, მართლაც და, საბრალო მდგომარეობაში [...]

საჭიროთ ვსთვლი, აქ ცოტათ ამ ლაპარაკს გზა ავუქციო და მოვიყვანო ერთი ცნობა, რაც კი კარგად დაახასიათებს როგორც ილია ჭავჭავაძეს, ისევე ივ. მაჩაბელს და ამით მოყვანის შემდეგ ჩვენ გადავალთ ისევე ივ. მაჩაბლის დაღუპვაზედ. მაშ ასე:

ადრინდელ ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე, 1875 წლებს შემდეგ, დიდს გაჭირვებაში ჩავარდა, ერთ დროს ამას ბანკში ვალი აქვნდა შესატანი, სოფ. ბოგში მამული აქვნდა დაგირავებული. ერთ დროს, ეს მამული გაზეთებშიაც გამოცხადდა ბანკისაგან, რომ ვალის შესატანის გამო ისყიდება ივანე კერესელიძის მამულიო. ამაზედ ივ. კერესელიძემ დამავალა, წადი ჩემ მაგიერ და ივ. მაჩაბელს სთხოვე, რომ ეხლა შესატანი ფული არ მაქვს და ორი თვის შემდეგ უსათუოდ შევიტანო. მე უარი ვერ ვუთხარი და წავედი ივ. მაჩაბელთან, ვუამბე ივ. კერესელიძის დავალება. ივ. მაჩაბელი შესწუხდა და ბოლოს მითხრა, ასეთი დავალების გამო მე და ილიას უსიამოვნება გვაქვს, ვისაც მე ვაცლი დროს, იმას იგი არ აცდის და ამაზედ უსიამოვნება გამოდის. ჭავჭავაძე, აი, აქ არის ეხლა, შენ ჩემზედ უკეთ იცნობ მასა, წადი და სთხოვე, ის დააცდის. მეც მაშინვე წავედი ილიას ოთახისაკენ. ოთახს რომ მივუახლოვდი, იქიდამ მომესმა დიდი ყვირილის ხმა, მე მაინც მივუახლოვდი ოთახს და ყვირილს დავუგდე ყური, რადგანაც იგი იყო ილია ჭავჭავაძის ხმა. ამის ყვირილიდამ აი რა სიტყვები გავიგონე, რომელი სიტყვებიც ეხლა აქ მომყავს უცვლელათ:

გაიგეთ და შეიტყვეთ, დაიხსომეთ, რომ მე თქვენ არ დაგაცდით, რადგანაც თქვენ ამის ღირსნი არა ხართ. დედამ კახეთიდამ ფულები გამოგატანათ ბანკის ვალის გადასახდელათ, თქვენ კი ეს ბანკის ვალის ფული მიმალოვსკის სახლში და ლოთობაში შეჭამეთ, ბანკის ვალიც დაივიწყეთ, ეხლა, როცა მამული უკვე გაზეთში გამოცხადდა და მისი გაყიდვა დაინიშნა, ეხლა გაგახსენდათ მამული, მისი ვალის გადახდა და ეხლა ცარიელის ჯიბით

მოდიხართ და მთხოვთ, რომ დაგვაცადეთო. ეხლა დაცლაზე ლაპარაკი გვიან არის, მაჩაბელმა თუ გითხრათ, დაგაცდითო, ისიც შემცდარა, დაცდა არ იქმნება. გაახილეთ თვალები, გამოიღეთ ყურებიდამ ბამბა და შეიგნეთ ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ვალს გადახდა უნდა, ისწავლეთ და შეეჩვიეთ ვალის გადახდას. დროა, რომ ქართველმა კაცმა ვალის გადახდა ისწავლოს, ქართველებს ვალის აღება რომ გიყვართ, მისი გადახდაც უნდა გიყვარდეთ, მისი გადახდის დროც უნდა იცოდეთ, მარტოთ ღორმუცელობა, ლოთობა, ზურნით სიარული და ქეიფები არ შეიძლება. ესენი რომ გინდათ, ვალის გადახდაც უნდა იცოდეთ, ესაა ჩემი დავთრის წესები, მაჩაბელი თუ გეხმარებათ, იმან თავის ჯიბიდამ ამოიღოს, მოგცეთ და შეიტანეთ, დაცდა კი არ შეიძლება. გაიგეთ და შეიტყეთ, რომ დაცდა არ იქმნება, სადაც ბანკის ფული შეჭამეთ და ვისთანაც დახარჯეთ, წადით, იმათ ესესხეთ, შემოიტანეთ [...]

ამ სიტყვებს ილია ჭავჭავაძე ისეთი გააფთრებით ეუბნებოდა, რომ მისი სიტყვების ცოფები პირიდამ გარეთ ცვიოდა და იმ დროს იგი მაჩაბელსაც ხშირად ახსენებდა. მე ამ ყვირილმა და ლაპარაკმა სრულ გამაკვირვა და ამიტომ ილია ჭავჭავაძესთან ვეღარ შევედი, კარში ვიდექი, მცირე ხნის შემდეგ მისის ოთახიდამ გამოვიდნენ სამნი ძმანი ვიღაც თავადიშვილები, გამოსვლის უმალ ამათ ერთმანეთს ასე დაუწყეს ლაპარაკი:

– კაცო, ამ წყეულმა საიდამ გაიგო და შეიტყო, თუ ჩვენ სად შევჭამეთ ის ფული, საკვირველი არ არის. მეორემ სთქვა: –მაჩაბელმა სწორეთ ილაპარაკა ამ ბოროტზედ. ამ დროს, მეც გავბედე, გავაღე ილიას ოთახის კარები და მოკატუნებით ფეხი შევდგი. ილიამ დამინახა და მაშინათვე დამიყვირა: –გადმოდგი ფეხი, რა მოკატუნებით მოიპარები, მოდი რაღა ჩქარა, ფეხებში მორიელი ხომ არ გიყრია? მე მივუახლოვდი და ვუთხარი მოკრძალებით: თქვენ ისე გააფთრებული ბრძანდებოდით, რომ შემოსვლას ვეღარ ვბედავდი თქვენთან. მეც ასეთივე თხოვნით უნდა მომემართნა და ვერ ვბედავდი თქვენს შეწუხებას. ილიამ პასუხი მომცა:

– შენ ხომ იმათი ამხანაგი არა ხარ? შენსა და იმათ შუა დიდი გარჩევა სძევს. შენ იცი ძველი ლიტერატორის ივ. კერესელიძის დამსახურება, იმათ კი ბანკის ვალში შესატანი ფული გაფლანგეს და შეჭამეს [მათსა და კერესელიძეს შორის] რა კავშირი და ერთობა არის? არაფერი. ასე და ამ გვარათ, ილია ჭავჭავაძემ შეასრულა ჩემი დავალება და ივ. კერესელიძეს ვალის შეტანა ადროვა. მე ცნობა მომცეს დაცდის და ამის შემდეგ წამოვედი იქიდამ.

ამის შემდეგ ჩემს თვალწინ გადაიშალა მიზეზები იმ გარემოების, თუ ივ. მაჩაბელსა და ილია ჭავჭავაძეს შუა რათ იყო ამტყდარი მძიმე უსიამოვნება და უთანხმოება, მე მივხვდი კარგათ იმ გარემოებას, თუ რა უნდა გამხდარიყო ამათ უსიამოვნების მთავარ მიზეზებათ, აქ არ შეიძლება, რომ მოკლეთ ესეც არ დავასახელო. ილია ჭავჭავაძე ბანკის სამსახურში არის ფრთხილი, იმან ბანკის ინტერესების გამო არც მეგობარი იცის, არც კაცის გაჭირვება, არც შეუძლებლობა, მისთვის ბანკის ინტერესები არის საჭირო [...]

ასე და ამ გვარათ, ბოლო დროს, რაკი ილია ჭავჭავაძემ თავის აზრიანი ლაპარაკით ვეღარ გააწყო რა და ივ. მაჩაბელი მაინც არ იშლიდა თავისას და ილია ჭავჭავაძეს უფრო უორკეცებდა ბრძოლას და მტრობას. ამიტომ ილია ჭავჭავაძეც უფრო მძლავრის კილოთი დაირაზმა, მან უფრო მძლავრი მახვილი გამოსძებნა ივ. მაჩაბელის და მისი ამხანაგების დასამარხავად და ამის საშუალებით დაიწყო მან მოქმედება. იმ მოქმედებით, მართლაც, რომ ილია ჭავჭავაძემ გადააჭარბა ივ. მაჩაბელს ყველა ოსტატობით, ილია ჭავჭავაძე ათჯერ მაღლა დადგა ივანე მაჩაბელზედ და ამისი ბრძოლის კილოც ისეთი მძლავრი და ოსტატური იყო, რომ მან ივ. მაჩაბელს უკანასკნელი სველი ბადე ესროლა და ისეთი მახე დაუგო, რომ მის შემდეგ ივანე მაჩაბელი ვეღარას იზავდა და იგი თავის ამხანაგებით უნდა უსათუოდ დაცემულიყო. ასეც მოუხდათ მათ, რის უმთავრესი მიზეზიც იყო, ილია ჭავჭავაძისაგან მიძღვნილი და მოწყობილი ოსტატური ბრძოლა. უკანასკნელი ნაბიჯი ილია ჭავჭავაძის ბრძოლის იყო ოსტატურად მოწყობილი და მოქარგული, რასაც ივ. მაჩაბელი ვეღარსად გაექცეოდა.

ერთ დღეს ილ. ჭავჭავაძემ საჯაროთ და საზოგადოთ დაგმო ივ. მაჩაბელი, მას უწოდა შინაგამცემი, მოღალატე და, ვინ იცის, რამდენიც სხვა კიდევ ასეთნი, მერე ყველა ეს შემაჩვენებელი სიტყვები პირიდამ ისეთის მრისხანე კილოთი ისმოდა, ისეთი საწყევარი გეგმით, მის შემდეგ ივ. მაჩაბლისთვის ძნელი იყო არამც თუ ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ შებმა, არამედ საქართველოში დარჩენაც კი და ცხოვრება. მართლაც, ეს ერთობ მალე მოხდა, ილია ჭავჭავაძის მოქმედებამ ივ. მაჩაბელს მძლავრი მეხი დაარტყა. ამ დარტყმას ივ. მაჩაბელმა ვეღარ გაუძლო, იგი დავარდა უწყალოთ და დაემხო მისი პარტიაც, მას მეგობრებიც მალე მოსცილდნენ. ყველამ პირი იბრუნეს და ზურგიც აქციეს. საქმე ისე მოეწყო, რომ ივ. მაჩაბელს გარს აღარავინ დარჩა და მისი ხმის გამცემი იყვნენ ნ. დიასამიძე, მ. მაჩაბელი, ძმა ივანესი ვასილ მაჩაბელი, ალ. ჯაბადარი და აკაკი წერეთელი. აი, სულ ესენი იყვნენ მისი მეგობარნი, სულის ჩამდგმელნი და მოიმედენი.

დანარჩენი ხალხი კი, ნამეტურ ქართველი თავად-აზნაურნი, გახდნენ ივ. მაჩაბლის ცხარე მგმობელნი, მყვედრებელნი და მძრახველნი. ძრახვამ და წყევლა-ქოქვამ თავის ზომას გადააჭარბა. საქმე ისე დატრიალდა, რომ ივ. მაჩაბელს საქართველოში დადგომაც კი აღარ შეეძლო. მას ერთი პირის ადგილიც აღარ აქვნდა, რიმ სადმე მისული-

ყო და ან ფეხი შეედგა ხოლმე, საშინელი მდგომარეობა დადგა მისთვის. ასე ძნელი იყო ივ. მაჩაბელისთვის ბრძოლა. საქმე ისე აეწყო, რომ მთელს ქართველთ დაწესებულებათა ადგილებში ივ. მაჩაბელს ისე უმზერდნენ, როგორც ქართველი ერის მტერს, როგორც ქართველთ მოღალატეს [...]. მართალია ისიც, რომ სადაც უნდა მისულიყო იგი და შესულიყო, მაგალითებრ ქართულს საადგილმამულო ბანკში, სამეურნეო ბანკში, წერა-კითხვის სამკითხველოში, დრამატიულ საზოგადოებაში, სხვაც ბევრს ასეთს ადგილებში, აქ ამას მისვლას არავინ დაუშლიდა და არაფერს ეტყოდნენ, მაგრამ ივ. მაჩაბელმა უკვე კარგათ იცოდა, რომ აქ ამის მისვლა არავის ესიამოვნებოდა და ყველას გულში მისი ზიზღი აქვნდა და არა სიამოვნებდა მასთან ლაპარაკი. ეს კი მისთვის აუტანელი იყო და არ დასათმენი, მაგრამ რას იზამდა, არაფერს,

რაკი ერთი აიძულეს და ილია ჭავჭავაძემ მას ბანკის დაღუპვის გამო კენჭი ესროლა, მის შემდეგ, მას კენჭის მაგიერ სხვებმა ქვები მიაყოლეს და აბა ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ კაცს რაღა უნდა ექნა, საით გაქცეულიყო, რომ მას ყველგან კარები ამოქოლილი არ დახვედროდა. [...] ეს მოუწყო მას ილია ჭავჭავაძის ენის კილომ და მისმა ძრახვამ. ილია ჭავჭავაძის ასეთმა ოსტატურმა გმობამ აიყოლია მთელი ქართველი ერი და ყველა მის ძრახვას იყო მიცემული, ძრახდნენ საშინელის შხამით და ბასრი კილოთი [...]

სწორეთ იმ დროს, ივ. მაჩაბლის ბედზედ მოხდა ასეთი არასასიამოვნო მოვლენა, რომელ საქმემაც სასტიკი ზეგავლენა მოახდინა ივ. მაჩაბელზედ. ამ გარემოებამ გადააჭარბა ილია ჭავჭავაძის ბრძოლის კილოს, ამ ბრძოლის მახვილს და სხვასაც ბევრს ასეთებს. ივ. მაჩაბელმა ბევრი რამ დამარცხება აიტანა, ბევრი ბრძოლა, ბევრი მახვილი, ბევრი დიდი უსიამოვნება, ხოლო ეს მოვლენა კი ვეღარ აიტანა, ვერ დასთმო და მის გამო იგი მსხვერპლიც გახდა ამ გარემოების. ეს ამბავი და საქმე აი, რა გახლავსთ:

იმ დროს, ქართულ გიმნაზიაში არსებობდა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე კომიტეტი. ივანე მაჩაბელი ამ კომიტეტში იყო თავმჯდომარის ხელქვეითათ, ე.ი. მეორე პირათ. ამ კომიტეტის თავმჯდომარეთ გახლდათ ერთი წარჩინებული ქართველი მოღვაწე მანდილოსანი, ქართული მაღალის არისტოკრატიულის ოჯახის წევრი და, მასთანვე, დიდათ სახელოვანი და დამსახურებული პირი, რომელმაც ერთ დღეს ქართულ გაზეთებში გამოაცხადა ასეთი ამბავი: „პატივცემულს ქართულს საზოგადოებას უნდა ვაცნობო, რომ დღეის შემდეგ, ივანე მაჩაბელი ჩვენი ქართული გიმნაზიის ღარიბ-ღატაკ მოწაფეთა დამხმარე კომიტეტში თუ კიდევ ფეხს შემოადგამს, მაშინ მე ამ ხსენებულ კომიტეტში ვეღარ შემოვალ, [ფეხს] აღარ შემოვადგამ. ამიტომ საჭიროებად მივიღე, რომ ეს ქართული გაზეთების საშუალებით გამომეცხადებინა“.

ამ ამბის გამოცხადების მეორე დღეს მე ვნახე ივანე მაჩაბელი. იგი სოლოლაკიდამ მოდიოდა, გზაში სალამი მივეცი. იმანაც მომცა სალამი, მაგრამ ძრიელ დაღონებული იყო და ფერწასული. მე შევატყვე ეს დიდი დაღონება და მაშინათვე ვუთხარი: „ვანო, სახეზეთ ძალიან ცუდი ფერი გაძევსთ, როგორ ხარ, ავათ ხომ არა ხარ?“ იმან მომიგო პასუხი: „ისე, რაღა, არც კარგათ და არც ავათო“ [...]

ამის შემდეგ ჩვენ გავშორდით ერთმანეთს და მე აღარა ვუთხარი რა, რადგანაც მახსოვდა, რომ დღეს ამის შესახებ გაზეთ „ივერიაში“ გამოცხადებული იყო ასეთი ამბავი. ივ. მაჩაბელი ბევრჯერ მინახავს შეწუხებული და ამღვრეულის სახით, ფერწასული და მოშლილი, მაგრამ ისე მოშლილი და შეწუხებული კი მე მისი არა მახსოვდა რა. მე ძრიელ დავღონდი, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ივ. მაჩაბელი ამ ამბის შემდეგ ისე დაეცემოდა სულით.

ამის შემდეგ რა მოხდა მის თავზედ და ცხოვრებაში, მე ეს არ ვიცი, მხოლოდ ამ ამბის გამოცხადების შემდეგ ივ. მაჩაბელი სადღაც მიიკარგა, მნახველთა თქმით კი, ერთ დღეს, დილით ადრიან, თავის სახლიდამ გამოვიდა, იქვე ვერის ხეობით ჩაიარა მტკვრის პირას და მტკვარში ჩავარდა ტანთსაცმელებით და დაიხრჩო თავი, რომელიც მტკვარმა წაიღო, რადგანაც იმ დროს მტკვარი დიდი იყო. როგორც მახსოვს, ივ. მაჩაბელის თავის დახრჩობა მოხდა იმ დღის მეორე დღეს, როცა ამის შესახებ ამბავი გაზეთ „ივერიაში“ იქმნა გამოცხადებული, რომ „თუ ივ. მაჩაბელი, სკოლის კომიტეტში დღეის შემდეგ ფეხს შემოადგამს კიდევაო, მაშინ მე იქ აღარ შემოვალო“. მე ვფიქრობ, რომ ეს ამბავი ვეღარ აიტანა მის გამო უფრო, რადგანაც ივ. მაჩაბლის წყალობით გიმნაზიის ღარიბ-ღატაკ მოწაფეთა დახმარების კომიტეტს უნდა ჩამოსცილებოდა ერთი გავლენიანი პირი, რომლის სახელოვნის მოქმედებით და დიდის ზეგავლენით ღარიბ მოწაფეთა კომიტეტსაც დიდი დახმარება ეძლევოდათ სხვა და სხვა კერძო თუ საზოგადო პირებისგანაც. აი, ეს იყო ივ. მაჩაბელისათვის მძიმე და, ვგონებ, ეს ვეღარ აიტანა მან და თავიც გაიმეტა დასაღუპათ.

იმ დღეს ივ. მაჩაბელის შეწუხებული სახე და მისი დაცემული სულიერი მდგომარეობა ამას გვაფიქრებინებს და გვათქმევინებს ჩვენცა.

ხელნაწერი ინახება გ.ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმში (ფონდი №13654). იბეჭდება შემოკლებით.

პუბლიკაცია მოამზადა ლევან თაქთაქიშვილმა. გადმობეჭდილია გაზეთიდან „ქართული წიგნი“ (2002, მარტი, N3).

სულის ნაჭდევი
ეროვნული მოძრაობა

რიტა წაქაძე
ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

1988 წლის სექტემბერი. ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი ვარ. ახალი სასწავლო წელი უცნაურად დაიწყო, აღარ ჰგავდა წინა წლებს.

განუწყვეტელი ჩურჩული აუდიტორიაში, დერეფანში, ეზოში, ქუჩაში... გაუთავებელი სირბილი ქუთაისში არსებული არაფორმალური ორგანიზაციების შეკრებებზე. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის სრული ვაკუუმია: დუმს ტელევიზია, რადიო, პრესა... ერთია მხოლოდ, კომუნისტურმა რეჟიმმა ხალხისათვის პირის ამოკერვა ვერ მოახერხა, ამიტომ მაინც გვწვდება თბილისში მომხდარი ამბების ექო: დაბრუნდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა; ისევ ჩაუდგნენ სათავეში ეროვნულ მოძრაობას; ისევ გაიღვიძა ქართულმა გენმა; ისევ აჯანყდა ქართული სისხლი... ანთებულნი დავდივართ, მხოლოდ ამ საფიქრალში ჩაძირულნი. ერთ დღეს დედაქალაქში ჩატარებული მიტინგის ჩანაწერი მოვისმინეთ, ყოვლად უხეირო ჩანაწერი, ქუჩის ხმაურში ჩაკარგული ხმები; მაგრამ ხარისხი როდი იყო მთავარი. ეს იყო პირველი მიახლოება სინამდვილესთან.

ვგრძნობთ, დუმილი უნამუსობაა, დანაშაულის ტოლფასია. ვიცით: საქართველო მხოლოდ თბილისი არ არის; რომ დედაქალაქს გვერდში დგომა სჭირდება. ყველა ნერვი დაჭიმულია, რაღაცისათვის ვემზადებით და...

ხელისუფლება იძულებული გახდა პოზიცია შეეცვალა – დაეთანხმა 12 ნოემბერს თბილისში მიტინგის ჩატარების მოთხოვნას. აქციის მოთავეები სრულიად საქართველოს უხმობდნენ მიტინგზე.

11 ნოემბერს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტობას ვეღარ იცნობდით. არავინ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ განსაკუთრებით ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი აქტიურობდა. დადგა ნაბიჯის გადადგმის დრო. გადაწყდა: თუ რაიმე შეგვეძლო, ახლა უნდა გამოგვეჩინა სიმტკიცე და გაგვეკეთებინა ის, რასაც საჭიროდ ვთვლიდით და არა ის, რასაც ჩვენგან მოითხოვდნენ. 45-ე აუდიტორიაში შეგვკრიბეს. ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ცდილობდა, ჩვენთვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა...

დილით თბილისში ვიყავით. მსვლელობა უნივერსიტეტის ეზოდან იწყებოდა, მიტინგი კი იპოდრომზე უნდა გამართულიყო. ჩვენც შევუერთდით უზარმაზარ ნაკადს – ერთ მუშტად შეკრულ ქართველობას, ერთი იდეით გაცისკროვნებულს. ადამიანებს, რომელთაც ვაღმერთებდით, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, ძალიან შორიდან მოვკარით თვალი. ჩვენამდე მხოლოდ მათი ხმები აღწევდა, ისიც მეგაფონის საშუალებით.

კიდევ უფრო დამუხტულნი და შემართულნი დავბრუნდით მშობლიურ ქალაქში. ტყუილს ვერ ვიტყვი, პასუხი არავის მოუთხოვია ჩვენი საქციელისათვის. ეგეც არ იყოს, მიტინგი, ასე იყო თუ ისე, ნებადართული გახლდათ.

რიტა წაქაძე, მერაბ გვაზავა, ნუკრი ბობოხიძე

რიტა წაქაძე, მაკა კეზევაძე

3 დეკემბერს უკვე ქუთაისში დაიგეგმა მიტინგი. გავიგეთ, რომ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ჩამოდიოდნენ. სტუდენტობას იმედი მოგვეცა, ამჯერად მაინც შევძლებდით ჩვენთვის სათაყვანებელ პიროვნებებთან მიახლოებას. ზუსტად 3 დეკემბერს სოხუმშიც ტარდებოდა მიტინგი. უფროსი მეგობრების (მერაბ გვაზავა, გიზო თავაძე) გადაწყვეტილებით, იძულებულნი გავხდით, სოხუმში გავმგზავრებულიყავით. ვაღიარებ, წასვლა არ გვინდოდა, მოუთმენლად ველოდით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. დაგვარწმუნეს, სოხუმში უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ყოფნა. მახსოვს, მიტინგი სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის ეზოში გაიმართა. საკმაოდ ხალხმრავალ მიტინგზე არცერთი აფხაზი არ მოსულა. კრემლს უკვე მოესწრო მათი გონების ამღვრევა. ყველას დაგვამახსოვრა თავი ახალგაზრდა მიხეილ ქურდიანმა თავისი გულქართულობითა და მჭევრმეტყველებით. ბედმა შემდეგ ბევრჯერ შემახვედრა ბატონ მიხეილს. გული მეკუმშება, როცა მახსენდება, რომ მის ტვინსა და გულს მიწა ფარავს.

მერაბ კოსტავასთან შეხვედრა ცოტა მოგვიანებით შედგა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შეკრებაზე. როგორც სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, არჩეული ვიყავი საზოგადოების გამგეობის წევრად, ამიტომ შეკრებებს ყოველთვის ვესწრებოდი.

მოვიდა სწორედ ისეთი, როგორსაც შორიდან აღვიქვამდით: ახოვანი, ბრგე, დინჯი; თვალებით უზომო სითბოს აშუქებდა; მთელი თავისი შინაგანი კეთილშობილება, სიწმინდე და თავმდაბლობა სახეზე გადაჰფენოდა. უკიდეგანო სევდასა და ფიქრში ჩაძირულს, თითქოს ღიმილიც დავიწყებოდა. მოწიწებისა და პატივისცემისაგან ერთიანად გავქვავდი. წარმადგინეს, ხელი გამომიწოდა და საუბარი გამიბა ქუთაისელი სტუდენტობის შეხედულებებსა და სურვილებზე. გაჭირვებით ვსაუბრობდი, დაძაბულობისაგან პირიც გამშრობოდა. შეკრება კარგახანს გაგრძელდა. სიტყვაძუნწობდა, თუმცა ძალიან მკაფიოდ და დამაჯერებლად საუბრობდა.

ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა ამ ბუმბერაზ ადამიანთან. მაშინ ისეთი განცდა დამეუფლა, რომ ეს იყო შეხვედრა არა მხოლოდ მერაბ კოსტავასთან, არამედ ილია ჭავჭავაძესთან, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, ექვთიმე თაყაიშვილთან... მთელი ღირსეული ქართველობა მაშინ ჩემთვის მერაბ კოსტავაში გაცხადდა. უზომოდ ბედნიერი ვიყავი და იმავეს განვიცდი დღესაც. ყოველთვის მადლობას ვწირავ უფალს, რომ ღირსი გამხადა, პირადად შევხვედროდი დიდ ქართველს – მერაბ კოსტავას.

გაივლის წლები, საუკუნეები. მჯერა, კიდევ მეტად დაფასდება ჭეშმარიტი მამულიშვილის – მერაბ კოსტავას საქმე, ღვაწლი, თავდადება.

1989 წლის 9 აპრილი. დღემდე ცხადლივ მომყვება იმდილანდელი შეგრძნება: უამური გაურკვევლობის ბურუსი მთელ სხეულზე ბუსუსებად მომდებოდა. სახლში რა გამაჩერებდა?! მაშინ მობილურები სად იყო... ეტყობა ყველამ ინსტიტუტისაკენ ავიღეთ გეზი, ამიტომაც თამარ მეფის ქუჩაზე გადავაწყდით ერთმანეთს და მაშინდელი მე-6 ატეესის წინ მოვიყარეთ თავი: მე, გია ბახტაძე, მაკა კეზევაძე, ინგა ბარათელი, ანდრო ლოლაძე, მამუკა სვანიძე... ყველა აღარ მახსოვს. დუმდა ტელევიზია, დუმდა რადიო, მხოლოდ ყურმოკვრით გავიგეთ, რომ თბილისში მიტინგი დაარბიეს და მგონი მსხვერპლიც არისო...

ღამე ჯავახიშვილის ქუჩაზე გავატარეთ, მილიციის სამმართველოს წინ, ზოგჯერ შიგნითაც. წინა დღით მიტინგი გვინდოდა ჩაგვეტარებინა პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეგობრებიც ჩვენთან ერთად იყვნენ: აკაკი ბობოხიძე, ზაალ ლომთაძე, მადინა უგლავა, ინგა ბოჭოიძე, ნუკრი ბობოხიძე, კახა ჩიხლაძე, გიორგი ბახტურიძე, გიორგი შანავა, მარინა ლიპარიშვილი... არ მოგვცეს საშუალება, ყოველნაირად შეგვიშალეს ხელი. მუშაობდა უშიშროება, თავის საქმეს აკეთებდა და თან ახლოსაც იყვნენ, იქვე, ინსტიტუტის უკან, ტაბიძის ქუჩაზე... ახლაც იქ არიან. უმადურიც ვერ ვიქნები. შიგადაშიგ მიტინგებს კი გვიშლიდნენ პროვოკატორების წყალობით, მაგრამ თავიანთი სიმკაცრით არასოდეს შევუწუხებივართ: გვითვალთვალებდნენ, მაგრამ არ გვიბარებდნენ და არაფერს ითხოვდნენ ჩვენგან.

გაბრაზებულნი წამოვედით ქალაქისაკენ, თამარ მეფის ქუჩაზე და ქალაქის ცენტრში არაფორმალები შემოგვიერთდნენ (თუ ჩვენ შევუერთდით) და ცენტრალურ ბაღში, სწორედ მერიის (მაშინდელი ქალაქკომის) წინ გავმართეთ მჯდომარე აქცია. ყველა მიტინგისა და აქციის მოთხოვნა ერთადერთი იყო – დამოუკიდებელი საქართველო.

ერთხანს მშვიდად ვისხედით, უამრავი მილიციელი შემოიკრიბა ჩვენ ირგვლივ. ნოემბრიდან მოყოლებული არაერთი მიტინგი, აქცია და შეკრება გავმართეთ სტუდენტებმა, მაგრამ მილიცია არასოდეს ჩარეულა, ამიტომაც არ მოველოდით მათგან რაიმე ქმედებას. მოულოდნელად მოგვცვივდნენ. მახსოვს ვიღაცამ (დღემდე არ ვიცი, ვინ) როგორ გამომგლიჯა ხელიდან მილიციელს, გავერიდეთ იქაურობას. მოგვიანებით შევამჩნიეთ ჩამომდგარი ავტობუსები, სადაც დაკავებულებს ათავსებდნენ. „დატყვევებულთაგან“ ახლა მხოლოდ მერაბ გვაზავა, გია ბახტაძე, მაია სებისკვერაძე და მაკა კეზევაძე მახსენდებიან, არადა საკმაოდ ბევრნი იყვნენ. მერაბ გვაზავა აქციაზე არც ყოფილა, მოსვლა არ დააცადეს, გზაშივე აიყვანეს. დაიძრნენ ავტობუსები და ჩვენც დავიძარით. ვიცოდით, მილიციის სამმართველოში წაიყვანდნენ. მთელი ღამე „ვეომეთ“ უჩინო თუ ჩინოსან მილიციელებს, გამთენიისას ყველანი გაათავისუფლეს და მხოლოდ ამის შემდეგ დავიშალეთ.

რაღა თქმა უნდა, მაშინ საშინლად ვიყავით გამწარებულები, შეურაცხყოფილები, ურჩხულებად აღვიქვამდით მილიციელებს; ბრალს ვდებდით უგულობაში, ეროვნული ღირებულებების უპატივცემულობაში, სისასტიკეში... ახლა მეღიმება ამაზე და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმ „დარბევით“ უფრო დიდ საფრთხეს აგვარიდეს. მილიციის სამმართველოში არც ფიზიკური და არც სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ არავისათვის.

ვიდექით თამარ მეფის ქუჩაზე უძილოები და დაბნეულები. ავტომობილი მოგვიახლოვდა, „ჟიგული“. ჩვენი ფაკულტეტის (ისტორია-ფილოლოგია) დეკანი, ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი და ჩვენი ლექტორი, ბატონი თემურ ლოლაძე გვეძებდნენ. ბატონმა ავთომ მანქანაში ჩაგვსხა მე, გია ბახტაძე, მაკა კეზევაძე და თავისთან წაგვიყვანა სახლში. დაღამებამდე მასთან ვიყავით. მაშინ ვერც ვხვდებოდით, თუ რაიმე საფრთხე გვემუქრებოდა.

გიას ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა, მე და მაკა კი დილით მშობლებს გადაგვაბარეს და, სიტუ-

გიზო თავაძე, დალი ბასილაძე, ამირან შავგულიძე, რიტა წაქაძე

აციის გარკვევამდე, ტყიბულში „გაგვამწესეს“. რაც კი პოლიტიკური ლიტერატურა მქონდა, ჩემმა თანაკურსელმა და უახლოესმა მეგობარმა, ლელა რუსაძემ, გადამალა.

მშობლიური ქალაქი ნამდვილად არ შემხვედრია კეთილგანწყობით. არათუ მაშინ, წლების მერეც, როცა უკვე ინსტიტუტი დავასრულე და სამუშაოდ ტყიბულის რაიონის სოფელ ოჯოლაში გამგზავნეს, ტყიბულის რაიონის განათლების განყოფილებაში სპეციალური თათბირი გაიმართა, რომ პედაგოგები მორიდებოდნენ ჩემთან ურთიერთობას?!

მსგავსი არასოდეს არაფერი მომხდარა ქუთაისში, პირიქით, ყოველთვის ვგრძნობდით ჩვენი ლექტორ-მასწავლებლების მხარდაჭერას, პატივისცემას, ზრუნვას და სიყვარულს.

ღვთის მადლით, კომუნისტურმა რეჟიმმა ვეღარ იმძლავრა. ჩვენც ორ კვირაში დავუბრუნდით საყვარელ ინსტიტუტს და განვაგრძეთ სწავლა.

წლები გავიდა... ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ბევრი რამ სულ სხვაგვარად დამანახა. დღეს კიდევ უფრო მეტად ვაფასებ ჩვენი აღმზრდელების თანადგომას, რადგან ეს თანადგომა ულუკმაპუროდ დარჩენის ძალიან დიდ შანსს შეიცავდა, თითოეული მათგანის უკან ოჯახები იდგა. ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილის მიმართ კი განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული მაქვს.

2019 წლის 14 აპრილი. მშობლიურ ინსტიტუტთან (ახლა უკვე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან) არასოდეს გამიწყვეტია კავშირი, არც მეგობრული და არც კოლეგიალური. მით უფრო, რომ ბიბლიოთეკა და უნივერსიტეტი რამ გაჰყო?! უკვე 30 წელია ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. ჰოდა, ვართ ასე, ერთმანეთის მიპატიჟება – მოპატიჟებაში.

დილით მოსაწვევი დამხვდა სამუშაო მაგიდაზე:

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, გაიმართება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, მალხაზ ჩოხარაძის დოკუმენტური ფილმის „ამბავი თორმეტი სავანისა“ ჩვენება. ფილმში ასახულია კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთა“ წარსული და თანამედროვეობა. ქართველებისა და ქართული ენის მდგომარეობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში – ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში.

რაღა თქმა უნდა, დავინტერესდი. ეს მხარე ხომ ჩვენი მოუშუშებელი სატკივარია (ეჰ, კიდევ რამდენი მხარე...). ეგეც არ იყოს, უნივერსიტეტში მუდამ მიმიხარია. როგორც კი ფეხს შევდგამ ჭიშკარში, წლები სადღაც მეკარგება და ისევ სტუდენტი მგონია თავი.

მწვანე დარბაზს მივაშურე. პროფესორი რუსუდან საღინაძე შემომეგება, შენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა მაქვსო, მაგრამ ჯერ ეს ნაიკითხეო და რაღაცის ასლი მომაწოდა.

ჩამოვჯექი, დავხედე. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა,“ 1988 წლის 16 ნოემბერი, წერილი „დემოკრატიის გაკვეთილები“. გაზეთი მისთვის

ჩვეული პათოსით აშუქებდა ქუთაისში სტუდენტური მოძრაობის მიერ გამართულ პირველ მიტინგს: „ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობის ეს შეკრება ძირითადად განაპირობა სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების პროექტმა... მომავალმა პედაგოგებმა და ინჟინრებმა გამოამჟღავნეს კონსტიტუციური ნორმების ცოდნა და სამართლიანად მიუთითეს“... გამეღიმა. ფოტოსურათებიც ახლავს წერილს, მაგრამ იმდენად უხარისხოა, არაფერი გაირჩევა. გული დამწყდა, რადგან ზუსტად ვიცი, ჩვენ ვართ ფოტოებზე – პედაგოგიურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტები. მოგონებებმა წამიღო.

დედაქალაქში 12 ნოემბრის მიტინგზე ნამყოფები ადგილს ვეღარ ვპოულობდით. კიდევ უფრო გაგვიმძაფრდა მამულიშვილური მოვალეობის გრძნობა. გვსურდა, ქუთაისშიც გვეხილა მსგავსი რამ.

დასაწყისი ძალიან ძნელი აღმოჩნდა. არ გვქონდა გამოცდილება, ჯერ კიდევ არ ჩანდნენ მოთავეები. მაგრამ ყოვლისმომცველმა სურვილმა თავისი გაიტანა. 16 ნოემბერს ყველაფერი თავისით დაიწყო. მართალია, დაბნეულები ვიყავით, მაგრამ უმთავრესი თავიდანვე განსაზღვრული გვქონდა: ორივე ინსტიტუტის სტუდენტებს ერთად უნდა გვემოქმედა და ასეც გრძელდებოდა სტუდენტური მოძრაობის მთელ მანძილზე, ყოველ საჭირო შემთხვევაში ხელიხელჩაკიდებულნი მხარდამხარ ვიდექით.

მახსოვს, „მაცნეები“ მოვიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან: ჩვენთან მსვლელობა იწყება, თქვენც როგორმე თავი უნდა მოიყაროთ და შემოგვიერთდეთო. დავფაცურდით. სულ რაღაც ერთ საათში ყველანი მზად ვიყავით. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დროშაც გაჩნდა საიდანღაც. სახელდახელოდ გავაკეთეთ ტრანსპარანტები. წარმოუდგენელია, მაგრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიჭებმა თავიანთი ნახაზებიც კი დაგვითმეს. გავშალეთ, ვინ იცის, რამდენი ღამენათევი და ნაწვალები ფორმატები და სუფთა გვერდებზე ჩვენთვის სანუკვარი სიტყვები დავაწერეთ: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! საქართველო ქართველებისათვის! ძირს კომუნისტური რეჟიმი!

დავიძარით. გეზი, რა თქმა უნდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტისაკენ ავიღეთ. იქედან წამოსულებს გზად უნდა შევხვედროდით. საბჭოთა მილიცია და ინსპექცია, ეგ იყო, ჩვენს რიგებში არ ჩამდგარან, თორემ ჩვენთან ერთად გაიარეს

მთელი გზა. უხმოდ მიგვაცილებდნენ. ჩვენ კი ისე ვიყავით ანთებულები, არავისა და არაფერს არ ვაქცევდით ყურადღებას. მივდიოდით და ქუჩას აყრუებდა ჩვენი შეძახილები: სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

არასოდეს დამავიწყდება, როგორი ყიჟინით შევხვდით ერთმანეთს. მოგვიანებით, როცა ამაზე ვსაუბრობდით, აღმოჩნდა, რომ მაშინ ყველას ერთნაირი შეგრძნება გაგვჩენოდა: სიძლიერისა და იმედის.

მიტინგი პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გაიმართა. უამრავი ადამიანი შემოგვიერთდა. ჩვენთან ერთად დადგნენ, მხარი დაგვიჭირეს. იყო ემოციური გამოსვლები, მოწოდებები, შეძახილები...

მეორე დღეს, ლექციებზე მისულებს, ჩვენი ლექტორ-მასწავლებლების თბილი, ალერსიანი, მოსიყვარულე და მადლიერი თვალები შემოგვეგება. არც საქებარი სიტყვები დანანებიათ ჩვენთვის. უზომოდ ბედნიერები ვიყავით.

აქედან მოყოლებული სტუდენტურმა მოძრაობამ სულ აღმა და აღმა იარა. არავითარი შიში, არავითარი უკან დახევა, არავითარი დათმობა. გასაოცარი შემართებითა და თავგანწირული შეუპოვრობით იბრძოდა ქუთაისელი სტუდენტობა.

მიმოვიხედე. ფილმის ჩვენება ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო. ისევ საგაზეთო პუბლიკაციას მივუბრუნდი. უცებ გადავიარე არაფრისმთქმელი წინადადებები და აჰა, ეს ლექსიც, რომელიც საოცარი სისწრაფით გავრცელდა ქუთაისელ სტუდენტებში და სტუდენტური მოძრაობის ერთგვარ ჰიმნადაც იქცა; რომელიც ზეპირად ვიცოდით ყველამ; ყველა მიტინგსა და შეკრებაზე გაისმოდა:

მტერს!

მოდი, ამიჭერი ვაზი,
მოდი, გამიჩეხე ტყე,
მიჯობს დავიქცე და მოვკვდე,
ვიდრე დაგემსგავსო შენ!
ადრე მებრძოდი და მხრავდი,
ღვარად დამდიოდა სისხლი,
მაშინ მეც მეჭირა ხმალი
და არ მეშინოდა რისხვის!
ახლა ფარი შემრჩა მხოლოდ,
ისიც გაცვეთილი ფარი,
ტოტებდალეწილი მუხა
და რქებდამტვრეული ხარი!
მიწას ძველებურად ვხნავ და
ნაყოფს ძველებურად ვიმკი,
მაგრამ შევისწავლე ბევრი,
არაჩემებური ხრიკი.
ველარ მოვახერხე რაზვა,
ფართოდ გაღებული ჭიშკრის,
მიტომ შემომიჩნდა, ალბათ,
შენზე დამსგავსების შიში!
მოდი, ამიჭერი ვაზი,
მოდი, გამიჩეხე ტყე,
მიჯობს დავიქცე და მოვკვდე,
ვიდრე დაგემსგავსო შენ!

„ლექსის ავტორია სტუდენტი მალხაზ ჩოხარაძე“ – იუწყებოდა ჟურნალისტი.

აი, თურმე რა სასიამოვნო მოულოდნელობაზე მესაუბრებოდა ქალბატონი რუსუდანი. ბუნებრივია, უზომოდ გამახარა ბატონ მალხაზთან შეხვედრამ. სულაც არ გამკვირვებია, რომ ის ეროვნულსულიანი პატარა სტუდენტი ბიჭი დღეს დიდი მეცნიერია და ქართულ ნაკვალევს დაეძებს ყველგან; აგროვებს, იკვლევს, შთამომავლობას უნახავს ისტორიას.

არ ვიცი, თუ რამ ვარგეთ სამშობლოს, მაგრამ რასაც ვაკეთებდით, მხოლოდ წრფელი გულით, ნათელი სულითა და სრული თავგანწირვით ვცდილობდით მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთვის.

ქალაქი მწვანეში

სალომე ჭანტურიძე
ხელოვნებათმცოდნე

თბილისი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ქვაბულში მდებარეობს. ამჟამად ქალაქი მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზეა გაშენებული და მისი ფართობი 502 კმ^2-ია.

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გოგირდოვანი წყაროების გამო, თბილისის ძველი სახელწოდება ტფილისი (ძველ ქართულად „ტფილი“) იყო. მისი დაარსების ლეგენდის თანახმად, მას შემდეგ, რაც სანადიროდ წასულ ქართლის მეფეს ვახტანგ გორგასალს ხოხობს დადევნებული მიმინო ცხელ (გოგირდოვან) წყალში ჩამხრჩვალი უპოვია, ცხელი წყლის სამკურნალო თვისებებისა და ხელსაყრელი მდებარეობის გამო, ტყის გაკაფვა და ქალაქის გაშენება უბრძანებია. მე-6 საუკუნეში ვახტანგის შვილმა დაჩი უჯარმელმა ქალაქი გალავნით შემოფარგლა და დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა.

თბილისის დაარსების ლეგენდიდანვე ჩანს, რომ ქალაქი „მწვანე სივრცეში“ – ტყეში შეიქმნა. მის ღერძს და ქალაქად ჩამომყალიბებელ ელემენტს მდინარე მტკვარი წარმოადგენდა, რომელიც თავისი კალაპოტით კარნახობდა ქალაქს განვითარების სამომავლო მიმართულებას. სწორედ ასე გაშენდა კიდეც ქალაქი – მდინარის კალაპოტის გასწვრივ. ასე განვითარდა მისი ქალაქმშენებლობის გეგმებიც, რომლებიც, რა თქმა უნდა, ქალაქის ბაღებსაც გულისხმობდა.

ისტორიულ წყაროებში არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ძველი ქალაქი გარშემორტყმული იყო ბაღებითა და ტყეებით. ბაღების ძირითადი ნაწილი ქალაქის გალავანს გარეთ იყო და სანადირო ადგილებს წარმოადგენდა. თბილისის გეგმებს შორის, ვახუშტი ბატონიშვილის გეგმა ქრონოლოგიურად პირველია და მე-18 საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ვახუშტისეულ გეგმაზე თბილისის თერთმეტი ბაღია მონიშნული: ყაიბულასბაღი; მამასახლისისბაღი; დედოფლისბაღი; მეფისდიდიბაღი; თბილელისბაღი; ბაღისეიდაბადისა; ციხისბაღი; კრწანისისბაღი; ბებუთისბაღი; ახალიბაღიმეიდნისა; ბეჟანასბაღი.

შემდეგი გეგმა 1785 წლით თარიღდება და მისი შემდგენელი რუსი ოფიცერი და ტოპოგრაფი ალექსანდრე პიშჩევიჩია (1764-1820). მომდევნო პერიოდისაა 1800 წლით დათარიღებული ჩიუკოს გეგმა.

თავისი ბაღებით, ბოსტნებითა და მოსასვენებელი ალაგებით, თბილისი არაერთი მოგზაურის შთაგონების წყაროდ იქცა. მე-17 საუკუნეში საქართველოში იმოგზაურა ჟან შარდენმა, რომლის თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ თბილისის შესახებაც გვაწვდის ცნობებს: „თბილისის მიდამოებში მრავალი ვილა და საუცხოო ბაღია. მათში ყველაზე დიდი მთავრის ბაღია. ხეხილი იქ ნაკლებად არის, სამაგიეროდ ბაღის დასამშვენებლად დარგულია ბევრი ხე, რომლებიც საამო ჩრდილსა და სიგრილეს ქმნიან“ (შ. ისაკაძე. თბილისის ბოტანიკური ბაღი, თბ., 1969 წ., გვ. 5). საქართველოს შესახებ საკუთარი შთაბეჭდილებები ჟან შარდენმა წინამორბედი მოგზაურებისა და ისტორიკოსების ცნობებით გაამყარა. ნაშრომს ერთვის თბილისის პირველი გრაფიკული ჩანახატი, რომელიც მისი თანამგზავრი მხატვრის, გრელოს მიერ უნდა იყოს შესრულებული.

მე-18 საუკუნის დასაწყისის თბილისს ფრანგი ბოტანიკოსი ტურნეფორი ეწვია, რომელმაც დაწერა: „...გავისეირნეთ ქალაქგარეთ მდებარე მთავრის სასახლისაკენ. ეს სასახლე ქალაქის იმ გარეუბანშია, სადაც ოსმალეთში მიმავალი გზა გადის. ...სასახლის მახლობლად საუცხოო ბაღებია, რომლებსაც ბევრად უკეთესად უვლიან, ვიდრე ოსმალეთში“ (შ. ისაკაძე. თბილისის ბოტანიკური ბაღი. – თბ., 1969 წ., გვ. 6).

1820-1924 წწ საქართველოში მყოფი საფრანგეთის კონსული გამბა წერდა: „უკანასკნელ ხანებში ქართველმა თავადებმა ხელი მიჰყვეს ბაღების გაშენებას. ერეკლეს საუცხოო ბაღი, განთქმული თავისი ჩრდილოვანი ვერხვებით და

ალვის ხეებით, გამოყოფილია ქალაქის ახალი უბნის გასაშენებლად... მშენებლობის ციებ-ცხელებამ, რომელმაც თავი იჩინა სენის ნაპირებზე, ცირუსის ნაპირებზედაც ყველანი გაიტაცა...“

მოგზაურთა ჩანაწერები ცხადყოფს, რომ თბილისის იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი მისი ბაღები იყო. თუმცა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისი ფართოვდებოდა. ქალაქში ახალი უბნები, ქალაქის სიახლოვეს კი ახალი სოფლები ჩნდებოდა. ი. ციციშვილი თბილისის არქიტექტურაზე საუბრისას აღნიშნავს: „თბილისი პირველად შენდება გენერალური გეგმის საფუძველზე (1848-1853 წწ). ქუჩები ხდება უფრო განიერი, მოედნები ღებულობენ გარკვეულ კონფიგურაციას, ახალი კვარტალების განაშენიანებისათვის იცავენ წითელ ხაზს... თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის განაშენიანება ხდება მისი რთული და მხატვრული თვალსაზრისით მეტად მარჯვე რელიეფის გათვალისწინების გარეშე. არსებითად ქალაქის ტერიტორიას დაადეს რეგულარული გეგმარების სქემა პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩების ქსელით. ასეთმა გეგმარებამ დასტოვა გამოუსწორებელი კვალი თბილისის განაშენიანებაში. XIX ს. მეორე ნახევარში ქალაქი უფრო სწრაფად ვითარდება. იგი მიემართება მტკვრის გაყოლებით ზემოთ და აღწევს ვარაზისხევს. კიდევ უფრო შესამჩნევია ქალაქის ზრდა მტკვრის მარცხენა ნაპირას, სადაც ყალიბდება ქალაქის მეორე მაგისტრალი – მიხეილის პროსპექტი (ამჟამად დავით აღმაშენებლის პროსპექტი), მიმდებარე პარალელური და განივი ქუჩებით“ (ი. ციციშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. – თბ., 1995 წ., გვ. 138-142).

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, კავკასიის ცენტრად მიჩნეულ ქალაქზე გადიოდა ისტორიულად მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზები. შესაბამისად, მასზე კონტროლი მთელი კავკასიის სივრცეზე დომინირებას ნიშნავდა. საუკუნეების განმავლობაში ქალაქს არაერთი მტერი უტევდა და არ დარჩენილა მსოფლიოში დამპყრობელი, თბილისში ცეცხლითა და მახვილით რომ არ შემოსულიყო. მაგალითისთვის, აღა მაჰმად ხანის შემოსევამ მთლიანად წაშალა თბილისის მრავალსაუკუნოვანი დასახლებები. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქალაქმა ყველა ჯურის დამპყრობლისაგან კულტურის საუკეთესო ნაწილი „წამოიღო“ და მისი სახეც სწორედ „უცხო“ გარემოსთან შეპირისპირებით ჩამოყალიბდა. მალე განაშენიანების ახალი სივრცეები წარმოიქმნა და

ალექსანდროვის ბაღი

ბოტანიკური ბაღი

მე-19 საუკუნის ქალაქის იერსახემ დღევანდელი თბილისი შექმნა. ვახტანგ ბერიძე ამ პერიოდს „გარდამავალ ხანას“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ თბილისის უბნების ზრდა-განვითარებამ იმდროინდელი მაცხოვრებლების ყოფა-ცხოვრება აირეკლა. „ინტერესი XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურისადმი სცილდება ხელოვნების ისტორიის ფარგლებს, მას ზოგადი ისტორიული ხასიათი აქვს: მასში – ქალაქმშენებლობის მხრივაც, სტილისტიკური გარდაქმნის მხრივაც, ეროვნული ტრადიციების ევოლუციის მხრივაც – მკაფიოდ აისახა არსებითი გარდატეხა, რომელიც XIX ს-ის მანძილზე საქართველომ განიცადა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით“ (ვ. ბერიძე. თბილისის არქიტექტურა, გვ.7).

XIX საუკუნეში განაშენიანების ძირითად რესურსს, მიმდებარე სოფლებისა და აუთვისებელი ტერიტორიების შემოერთებასთან ერთად, სწორედ ძველი თბილისური ბაღები წარმოადგენდა. ურბანულ განვითარებას და მოსახლეობის მატებას მწვანე ტერიტორიების მასობრივი ჩეხვა მოჰყვა, რამაც მთლიანად შეცვალა გარემო და კლიმატური პირობები. გამწვანების პრობლემებს 1878 წლის გაზეთი „ივერია“ ეხმიანებოდა: „უწინა ჩვენი ქალაქი უფრო სასიამოვნო საცხოვ-



ვაკის პარკი

რებელი ყოფილა, ვიდრე დღეს. დღეს იგი უფრო მდიდარია, მაგრამ ეგ სიმდიდრე მოპოებულია მით, რომ უფრო ჯანმრთელობის სახსარნი მოსპობილან. უწინ თბილისი აყვავებული და ამწვანებული იყო ხშირის ხეხილითა და ბაღებითა. ამის გამო ქალაქში ზამთარი არ იყო ისე სუსხიანი, როგორც ეხლა, და ზაფხულიც უფრო გრილი იყო და ნესტიანი. დროთა მიმავლობაში, ეგ ბაღები გადიკაფნენ, მათ ადგილას აღიმართნენ უზარმაზარნი სასახლენი, შენობანი შეჯგუფდნენ, ჰაერის თავისუფალი ტრიალი მოიშალა, დაიხშო ჰაერი და ეხლა ზაფხულობით ადამიანს სული ვერ მოუტრიალებია. ჩვენ მამა-პაპას რომ ცოტა შორ-მხედველობა ჰქონოდა, რასაკვირველია, დღეს ჩვენი ტფილისი, ბუნებრივად კარგის ჰაერით და მდებარეობით შემკობილი, ერთს სასიამოვნო ადგილად იქმნებოდა. ეგრე წინდაუხედავად რომ არ ეძლიათ ნება სახლების შეჯგუფებისა, სახლების აშენებისა, საცა შესაძლო იქნებოდა ბაღები გაემართათ, ან გამართული არ გაეკაფინებინათ, მტკვრის კუნძულებზედ ჭალები შეენახათ, მტკვრის სანაპიროებზედ სახლები არ წამოეყუდებინათ და იქ ერთი ლაზათიანი ხევნარები დაემართნათ, შიგადაშიგ ქალაქში ფართო მეიდნები დაეგდოთ, ზოგი მეიდანი ბაღათ ექციათ, დღეს ჩვენი ტფილისი უკეთესს საცხოვრებელ ადგილად იქმნებოდა და არ დაუვარდებოდა ბევრს ადგილს ევროპისას, რომელიც ამჟამად

მუშტაიდის ბაღი

აუარებელს ხალხს იზიდავს და აცხოვრებს. ჰაერი, მდებარეობა ტფილისისა ამას ყოველს ხელს შეუწყობდა. ...დღეს ამოდენა ქალაქს მარტო ორი ბაღი აქვს თითქმის. ერთი მუშტაიდი, მეორე ალექსანდროვის ბაღი. ის ადგილები, წყლის სანაპიროები, წყლის კუნძულები, საცა ბაღები, ბულვარები უნდა გაიმართოს და სხვა ამგვარი. ყოველივე ფეხის გადადგმა ამ პლანის წინააღმდეგ სასტიკად აკრძალულ უნდა იქნეს და ვისაც ან ახლის აშენება რისამე უნდა, ან ძველის განახლება, მას ნება უნდა მიეცეს მხოლოდ ამ პლანის მიხედვით"(გაზ. „ივერია", 1878 წლის 30 მარტი).

წლების შემდეგ კიდევ უფრო შეიცვალა გარემო. საბჭოთა „კეთილმოწყობის გეგმის" წყალობით, ბეტონის არტახებში მოქცეული მტკვრის ორივე სანაპირო სატრანსპორტო კომუნიკაციად იქცა. მდინარე მტკვარმა კავშირი დაკარგა ადამიანთან – ბაღების უმეტესი ნაწილი კი მშენებლობებს შეეწირა. ქალაქმა ახალი სახის ჩამოყალიბება დაიწყო.

მას შემდეგ ქალაქი დამოუკიდებლობის, გასაბჭოებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის კატაკლიზმებში გაეხვია. მიუხედავად მცდელობებისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და შემდეგ, საბჭოთა ხლისუფლების მიერ გამწვანების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისი აღმოჩნდა. საბჭოთა რეჟიმის პერიოდში დაინერგა გამწვანების ნორმები და წესები, მოეწყო ახალი ბაღები, მაგრამ ურბანიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქალაქმა ისტორიული ლანდშაფტთან კავშირი დაკარგა. დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან კი, სოციალურმა ფონმა და გაჭირვებამ თბილისის მწვანე საფარსაც დაატყო ხელი.

მსოფლიო ურბანულ დაგეგმარებაში მწვანე სივრცეებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სკვერები ადამიანთა კომუნიკაციის, მათი დასვენებისა და გართობის სივრცეა, რომელთაც ჰიგიენურ-სანიტარული ფუნქციაც გააჩნიათ. ქალაქები იზრდებიან და ვითარდებიან, თუმცა მათი ურბანული პოტენციალის რაციონალური გააზრება მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით არის აუცილებელი, რაც ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას გულისხმობს. თანაც, თბილისი უძველესი ქალაქია, რომელიც არ იმსახურებს, რომ ურბანულმა განვითარებამ ისტორიული ლანდშაფტი შეიწიროს, თანამედროვე თაობამ კი თავისი მომავალი შემდეგი თაობის მოთხოვნების იგნორირებით შექმნას.

ინგა ფილაური-ლორია - 75

მაია მიქაბერიძე

წელს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ამაგდარ მოღვაწეს, პროფესორ ინგა ფილაურ-ლორიას.

ინგა ფილაური ერთგვარი ხიდია პროფესიონალი ბიბლიოთეკარების ძველსა და ახალ თაობებს შორის. იგი თავის თავში ატარებს, ერთი მხრივ, აკადემიური პროფესიული განათლების ბაზისსა და ათეული წლებით გამომუშავებულ ინფორმაციული მომსახურების უნარ-ჩვევებს, მეორე მხრივ კი – 21-ე საუკუნის მიერ მოტანილ სიახლეთა მთელ სპექტრს, რომელშიც შერწყმულია საბიბლიოთეკო საქმის ტექნოლოგიური განვითარების მიღწევები, მკითხველთა მომსახურებისა და საბიბლიოთეკო პროდუქციის საზოგადოებისათვის მიწოდების თანამედროვე ფორმები.

თვალი გადავავლოთ მისი საქმიანობის პროცესს, რომელიც სავსეა სიახლეთა ძიებით, შემოქმედებითი და სამეცნიერო წარმატებებით.

ინგა ფილაურმა 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (დღეს ილიას უნივერსიტეტი) ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობით. 1970 წლიდან მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ბიბლიოთეკის უფროს ბიბლიოთეკარად და ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის ასპირანტად. აქვე 1989 წელს დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია სწორედ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან – იგი მუშაობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის დოცენტად, კითხულობდა სალექციო კურსებს საბიბლიოთეკო ფონდებისა და ანოტირების მეთოდიკის საკითხებზე. პარალელურად მოღვაწეობდა თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურის უნივერსიტეტში ლექტორად, ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობაზე (1990-2005 წწ). ამავე პერიოდში ი. ფილაური-ლორია ლექციებს კითხულობდა თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, სკოლის ბიბლიოთეკართა გადასამზადებელ კურსებზე. 1998-2004 წლებში იგი იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი.

2004-2006 წლებში ი. ფილაური ხელმძღვანელობდა ს-ს ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და არქივმცოდნეობის პროგრამას. 2007 წლიდან მან დაიკავა ბიბლიოთეკაში დარგის მთავარი სპეციალისტის თანამდებობა. პარალელურად კი ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობის კურსებს.

ინგა ფილაური გამუდმებით ზრუნავდა და ზრუნავს საკუთარი პროფესიული დონის ამაღლებაზე. გავლილი აქვს სხვადასხვა ტიპის სასწავლო კურსები, რომლებიც ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხებს ეხებოდა. 2003 წელს იგი იმყოფებოდა აშშ-ს მასაჩუსეტის შტატის სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტში ერთთვიან სტაჟირებაზე.

ქალბატონ ინგას მიზანია, მიღებული ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს თავის სტუდენტებსა და კოლეგებს. 2003 წელს მან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით ს-ს ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში ჩაატარა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „საბიბლიოთეკო დარგის პრობლემები და პერსპექტივები“, რომელშიც ამერიკელი კოლეგებიც მონაწილეობდნენ.

2004 წელს ი. ფილაური-ლორია იყო კოორდინატორი პროექტისა „რელიგიური შემწყნარებლობა საქართველოში“, რომელიც განხორციელდა აშშ-ს სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტის მიერ. ამ პროექტის ფარგლებში საელჩოს დაფინანსებით მან ჩაატარა ტრენინგი და გამოსცა წიგნი „რელიგიური შემწყნარებლობის მოდული.“

2005 წლის ივნისში ამერიკის საელჩოს დაფინანსებით ი. ფილაური-ლორიამ ქ. ფოთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩაატარა კონფერენცია თემაზე: „რელიგიური შემწყნარებლო-

ინგა ფილაური-ლორია

ბა საქართველოს ბიბლიოთეკებში“. აქვე შედგა ამ წიგნის პრეზენტაცია ამერიკელი კოლეგების მონაწილეობით.

წლების განმავლობაში ინგა ფილაური-ლორია კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში. 2006-2009 წლებში მან დაამუშავა პირველკურსელებისათვის სავალდებულო კურსი „ინფორმაციული წიგნიერება“ და გამოსცა ამავე სახელწოდების სახელმძღვანელო. 2009 წელს ი. ფილაური-ლორიამ მონაწილეობა მიიღო ინგლისის ქ. აბერდენში რ. გორდონის სახელობის უნივერსიტეტში ტემპუსის სამწლიან პროექტში, რომლის თემა იყო საბიბლიოთეკო სამაგისტრო პროგრამები. 2011 წელს მას, ილიას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მიენიჭა საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება.

ინგა ფილაური-ლორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. ზემოთ დასახელებული წიგნების გარდა, მან გამოსცა სახელმძღვანელოები: საბიბლიოთეკო ფონდები (1997), ბიბლიოთეკათმცოდნეობა (თანაავტორი, 1992), ანოტირების მეთოდიკა (2001), საქართველოს წარსული ფოტო და კინოდოკუმენტებში (თანაავტორი, 2006) და სხვ. ასევე სამეცნიერო ჟურნალებში დაიბეჭდა მისი სტატიები: ორგანიზებული კითხვის სრულყოფისათვის (1987), სასკოლო რეფორმა და სკოლის ბიბლიოთეკა (1988), „რედაკომპლექტების“ ცნების შეუსაბამობის შესახებ (2000), ფონდის დაცვის სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში (2005), საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები (2005), სამეცნიერო-სასწავლო ბიბლიოთეკები და ფონდების ფორმირება (2006), სახელმძღვანელო დებულებები კომენტარებით (2013), განახლებული ბიბლიოთეკა და ახალი ტექნოლოგიები (2017) და სხვ.

ი. ფილაური-ლორია ეწევა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის დაარსების საქმეში. 1999 წლიდან იგი არის ამ ასოციაციის წევრი და მისი დაარსების დღიდან აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებაში. არის ასოციაციასთან არსებული სასწავლო ცენტრის წამყვანი ლექტორი საბიბლიოთეკო დარგში, სადაც დღემდე განაგრძობს საქმიანობას.

ი. ფილაური-ლორია, გარდა იმისა, რომ გამუდმებით ზრუნავს საბიბლიოთეკო კადრების პროფესიულ ზრდაზე, ასევე ცდილობს მათში პარალელურად გამოავლინოს სხვადასხვა ინტერესი, ნიჭი, მისწრაფებები და ეს გააცნოს სრულიად საქართველოს საზოგადოებას. ამ მიზნით შეადგინა და ერთმანეთის მიყოლებით გამოსცა კრებულები: ბიბლიოთეკარი პოეტი (2015, 2016), ბიბლიოთეკარი პროზაიკოსი (2017), ბიბლიოთეკარი ხელოვანი (2018). ეს კრებულები დიდი სტიმული აღმოჩნდა ბიბლიოთეკარებისათვის, რომლებსაც ასპარეზი მიეცათ, საკუთარი შემოქმედება უფრო თამამად გამოეტანათ კოლეგებისა და, ზოგადად, ქართველი ხალხის წინაშე. თავის მხრივ, ქართული საზოგადოებისათვის ერთგვარი აღმოჩენა იყო ბიბლიოთეკარების ასეთი მრავალმხრივი ნიჭიერების გამოვლენა. ამ კრებულებმა ერთგვარად შეამჭიდროვა საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოება და გაზარდა მისი ავტორიტეტი.

ინგა ფილაური-ლორიას მთელი ცხოვრება, ფაქტობრივად, საბიბლიოთეკო სფეროს ირგვლივ ტრიალებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ისიცაა, რომ მეუღლე – ბატონი ალექსანდრე ლორია, არის საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ცნობილი წარმომადგენელი, მეცნიერი და მწერალი, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში იღვწოდა ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის.

საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოების სახელით გვინდა, ქალბატონ ინგას მივულოცოთ იუბილე და ვუსურვოთ სამეცნიერო და შემოქმედებითი წარმატებები, ასევე ბედნიერი და ხანგრძლივი ცხოვრება თავის მშვენიერ ოჯახთან ერთად.

ვულოცავთ კოლეგებს!



მანანა საგანელიძე
თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების
მე-10 ფილიალის უფროსი

„რაც კაცობრიობას უაზროვნია, ის არის მოთავსებული წიგნში“. დიდი ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის ეს სიტყვები ზუსტად ასახავს ჩვენი საყვარელი პროფესიის – ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოგრაფის არსსა და დანიშნულებას.

ბიბლიოთეკამცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, მკითხველებთან მუშაობის ფსიქოლოგიის ცოდნა ერთ-ერთ ურთულეს ამოცანად მიგვაჩნია თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარების პერიოდში. სწორედ ბიბლიოთეკარის ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, კითხვის კულტურის აღზრდა-ჩამოყალიბება არის ის ოქროს შუალედი, რომელიც აუცილებელია მკითხველთა ბიბლიოთეკაში მოზიდვისა და მათში წიგნის კითხვის სიყვარულის ჩამოყალიბებაში. ეს ეხება ბავშვებსა და მოზარდ მკითხველებს. განსაკუთრებულ ამოცანას წარმოადგენს ეს საკითხი საჯარო ბიბლიოთეკებისათვის, რომლებიც ემსახურებიან თითქმის ყველა ასაკის მომხმარებელს, დაწყებული სკოლამდელი ასაკიდან საპენსიო ასაკის მკითხველებამდე.

ასეთ რთულ და კეთილშობილურ საქმეს ათეული წლების განმავლობაში ემსახურებიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური გაერთიანების მე-10 ფილიალის თანამშრომლები: ნუნუ ჭეღელიძე, მანანა ლომსაძე, ლამარა ქსოვრელი, რომელთაც გაერთიანებაში მუშაობის პერიოდში გავლილი აქვთ ყველა საფეხური, ბიბლიოთეკარიდან მთავარ ბიბლიოთეკარამდე. მათი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს არა მარტო აღნიშნული ბიბლიოთეკის მკითხველთა ფართო წრისათვის, არამედ გაერთიანების კოლეგებს შორის.

ქალბატონებს ასაკს არ ეკითხებიან, მაგრამ თითოეულ მათგანს 21-ე საუკუნის საბიბლიოთეკო სისტემების, ტექნოლოგიების, პროცესების და ოპერაციების ცოდნა არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკული გამოცდილებითა და მკითხველებისადმი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მიდგომებითაც აქვთ გამომუშავებული.

მე-10 ფილიალის ბიბლიოთეკა მოიცავს 41000-მდე ეგზემპლიარის შემცველობის წიგნად ფონდს მეცნიერების ყველა დარგიდან. მის 80%-ს წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურა. ამ ფონდის ცოდნა და მკითხველებისათვის მიწოდება და მათი ინტერესების დაკმაყოფილება ჩვენი იუბილარი ბიბლიოთეკარებისგან მოითხოვს დიდ სიყვარულსა და თავდადებას. ეს არის ჩვენი ბიბლიოთეკარების პროფესიული მოვალეობა, რომელსაც ისინი, მკითხველების აზრით, შესანიშნავად ართმევენ თავს. ბოლო წლებში, პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვების გამო, შემცირდა მკითხველთა ნაკადი. ასეთ პირობებში ბიბლიოთეკარის ურთიერთობა მკითხველთან შენელდა, თუმცა არ შეწყვეტილა. ბიბლიოთეკარები მუშაობენ დაგვიანებული წიგნების დროულად დაბრუნებაზე. ეს ხდება მკითხველებთან ინტენსიური ურთიერთობით ტელეფონით, სოციალური ქსელებით და ოჯახში ვიზიტით, რომელშიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ ჩვენი იუბილარები.

თანამშრომლებისა და მკითხველების სახელით სულითა და გულით, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ ჩვენს საყვარელ მეგობრებს და კოლეგებს საიუბილეო თარიღებს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს, ხოლო ოჯახებში – ჯანმრთელობას, გამრავლებას, გახარებასა და შემდგომი საიუბილეო თარიღის უკეთეს პირობებში აღნიშვნას.

ნუნუ ჭეღელიძე, ლამარა ქსოვრელი, მანანა მიქაბერიძე-ლომსაძე

„ბიბლიოთეკარი“

ავტორი - ჯუზეპე არჩიმბოლდო

(GIUSEPPE ARCIMBOLDO)

იტალიელი ფერმწერი ჯუზეპე არჩიმბოლდო ვენაში ფერდინანდ I-ისა და შემდეგ მისი ვაჟის - მაქსიმილიანის საიმპერატორო კარზე მუშაობდა მხატვრად. მან შექმნა საიმპერატორო კარზე მყოფი ადამიანების პორტრეტების სერია სხვადასხვა დეტალების (ხილის, ცხოველების, ყვავილების) გამოყენებით, რომლებიც დაკავშირებული იყო ამ ადამიანების ცხოვრებასთან, პროფესიებთან.

„ბიბლიოთეკარი“ მიჩნეულია ფილოსოფიური კარიკატურის საუკეთესო ნიმუშად. იგი გახდა ბიბლიოთეკის პროფესიის ერთგვარი ვიზუალური ისტორია. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს პორტრეტი პაროდიაა წიგნების კოლექციონერთა იმ ნაწილისა, რომლებიც უფრო დაინტერესებულები არიან წიგნების შეძენით, ვიდრე მათი წაკითხვით.

1562 წ. ტილო, ზეთი. 97X71 სმ.

ვოლფგანგ ლაციუსი (Wolfgang Lazius)

ხელოვნების ისტორიკოსთა ვარაუდით ამ პორტრეტზე გამოსახულია ჰუმანისტი და ისტორიკოსი ვოლფგანგ ლაციუსი (1514-1565), რომელიც სასახლეში მსახურობდა ჰაბსბურგების დინასტიის პერიოდში.

ვოლფგანგ ლაციუსი (Wolfgang Lazius) მუშაობდა როგორც წმ. რომის იმპერიის საიმპერატორო კოლექციების მცველი და იმპერატორ ფერდინანდ I-ის ოფიციალური ისტორიკოსი. ლაციუსი ბევრს მოგზაურობდა და აგროვებდა (ზოგჯერ იპარავდა კიდეც) დოკუმენტებს მონასტრებიდან და სხვადასხვა ბიბლიოთეკებიდან.

დასახელება – „ბიბლიოთეკარი“ – პირობითია. ასე უწოდეს პორტრეტს ხელოვნებათმცოდნეებმა მე-20 საუკუნეში, ინვენტარიზაციის დროს. ნახატი ინახება შვედეთში, სკოკლოსტერის ციხე-სიმაგრეში.

30 აპრილი - 7 მაისის ჩათვლით საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული, რომლის მიზანი იყო წიგნის პოპულარიზაცია, მკითხველის ჩართულობა სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებში. საბიბლიოთეკო კვირეული 30 აპრილს დაიწყო და მის ფარგლებში, ღონისძიებები საბიბლიოთეკო გაერთიანების ყველა ფილიალში გაიმართა. მოეწყო გამოფენები, პრეზენტაციები, პოეზიისა და შემეცნებითი საღამოები.

საბიბლიოთეკო კვირეულის ღონისძიებები

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს ბიბლიოთეკაში გაიმართა საინტერესო ღონისძიებები და გამოფენები თემაზე: „წიგნი ფანჯარა, რომლითაც სული სამყაროს უერთდება“, მოეწყო თვითნასწავლი მხატვრის ირმა გვაზავას და მაცხოვრისკარის სკოლის მოსწავლის, ალექსანდრე მარკოზიას ნამუშევრების გამოფენა. გამოიფინა აგრეთვე გვანცა იაშვილის ყაისნაღით შესრულებული ნამუშევრები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საგვაზაოს და მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ნორიოს საბავშვო ბაღი.

დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნისას დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა, ილია მარტყოფლიშვილმა პროფესიული დღე მიულოცა და მადლობის სიგელით დააჯილდოვა ბიბლიოთეკის როგორც მოქმედი, ისე ყოფილი ღვაწლმოსილი თანამშრომლები; სოფელ **ოზაანის ბიბლიოთეკაში** ჩატარდა თემატური საღამო „6 მაისი – დიდმოწამე წმინდა გიორგი“, რომელსაც ესწრებოდნენ მოსწავლეები, საბავშვო ბაღის მასწავლებლები, სოფლის გამგებელი და აქტიური მკითხველები; **სოფელ მირზაანში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა**, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალური საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის, მანანა მაჭარაშვილის ინიციატივით, ნიკო ფიროსმანის სახელი მიენიჭება. ღონისძიებაზე ბიბლიოთეკარ შორენა წიკლაურს, რომელმაც ბიბლიოთეკის არსებობის პირობებში მის საკუთრებაში არსებული წიგნების ფონდი სრულყოფილად შემოინახა, თავდადებული შრომისთვის მადლობის სიგელი გადაეცა; **არბოშიკის N10-ე ბიბლიოთეკაში** მესამე კლასის მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა არჩილ სულაკაურის წიგნის, „ჯადოსნური კაბას“ პრეზენტაცია.

საგარეჯოს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში თამარ ჯაბადარის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ლიდერთა კლუბის წევრებმა განიხილეს გამოჩენილი ქართველი მწერლის, ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა – „იგი“. მოსწავლეებმა ისაუბრეს ჯ. ქარჩხაძის შემოქმედების სხვადასხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე. ბიბლიოთეკამ ღონისძიების მონაწილეები სიგელებით დააჯილდოვა; აგრეთვე ჩატარდა ლიტერატურული ღონისძიება „ყოველ ქართველში შენი გენია“, რომელიც მიეძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ პირველად დაბეჭდვის 310-ე წლისთავს და ნიკო ფიროსმანის დაბადების 160-ე წლისთავს. მასში მონაწილეობნენ ქ. საგარეჯოს №1, №2, №3 და №4 საჯარო სკოლის მოსწავლეები. პარალელურად გაიმართა ამავე თემატიკაზე შექმნილი ნახატების გამოფენა-კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღეს

თ. ჯაბადარის სახ. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეებმა (პედაგოგი ნინო ჯანგულაშვილი) და საგარეჯოს სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა (პედაგოგი თეა ბუზარიაშვილი). ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ვოკალურ ანსამბლ „მირელას“ მოსწავლე დათა დარისპანაშვილმა. მონაწილე ბავშვები დაჯილდოვდნენ სიგელებით, ხოლო პედაგოგებს თეა ბუზარიაშვილს და ნინო ჯანგულაშვილს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სასოფლო ბიბლიოთეკებში 30 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით გაიმართა კვირეულისადმი მიძღვნილი საინტერესო და ნაყოფიერი ღონისძიებები. სოფლის ბიბლიოთეკებმა წარმოადგინეს ღონისძიებები მე-2 მსოფლიო ომის თემაზე, აგრეთვე საღამო მიეძღვნა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა თემაზე- „ბიბლიოთეკა და თანამედროვე ტექნოლოგიები“. ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ სოფლის ფილიალებს სხვადასხვა სახის ლიტერატურა გადასცა საჩუქრად.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ძირითად კორპუსში „მკითხველთა და კრიტიკოსთა კლუბის“ (პედაგოგი მაია მენაბდე) ორგანიზებით გაიმართა დისკუსია თემაზე „წიგნი და XXI საუკუნის ახალგაზრდობა.“ დისკუსიას უძღვებოდნენ კლუბის ხელმძღვანელები ანანო დუმბაძე და ქეთი ქიძინიძე. შეხვედრა იყო ინტერაქტიური. თავდაპირველად მოზარდებმა გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები. შემდეგ კი მოკლე ინტერვიუები გამართეს მოწვეულ სტუმრებთან. ბიბლიოთეკარმა ნანა კვაჭაძემ ისაუბრა, რამდენად ხშირად სტუმრობენ მოზარდები ბიბლიოთეკას და რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს ადგილი უფრო მიმზიდველი გახდეს ბავშვებისთვის. გამომცემელმა მარი კორინთელმა აუხსნა დამსწრე საზოგადოებას თუ როგორ ითვალისწინებს გამომცემლობა მოზარდების ინტერესებს, რა ფაქტორები განსაზღვრავს ამ თუ იმ წიგნის ტირაჟს და რამდენად კითხულობენ საქართველოში კლასიკურ ლიტერატურას. სტუდენტის სტატუსით მოწვეულმა დიანა ნაკაიძემ მოუთხრო თავისი მკითხველური და ლიტერატურული გამოცდილების შესახებ.

ბიბლიოთეკის რამაზ სურმანიძის სახელობის სამკითხველო დარბაზში გაიმართა შეხვედრა გამომცემლობა „ტალანტარეს“ დირექტორთან, მწერალ თამარ ნიკურაძესთან და მოეწყო წიგნის „ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურების“ (მთარგმნელი ეთერ ჭურაძე) წარდგენა;

ბიბლიოთეკის ძირითად კორპუსში ჩატარდა მასტერკლასი – გზა, რომელსაც გაივლის წიგნი ბიბლიოთეკაში შემოსვლის შემდეგ: წიგნის აღრიცხვა, დამუშავება, გაცემა, დაზიანებული წიგნის რესტავრაცია, დაცვა. ბიბლიოთეკაში იმყოფებოდნენ ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგები: ეთერი კონცელიძე და ხათუნა მართალიშვილი, რომლებმაც ბავშვებთან ერთად გაიარეს გზა, რომელსაც გაივლის წიგნი ბიბლიოთეკაში შემოსვლის შემდეგ. შეხვედრა ინტერაქტიური იყო, სტუმრებმა კითხვებზე საინტერესო პასუხები მოისმინეს. განსაკუთრებული ხალისით თავადაც ჩაერთვნენ წიგნების რესტავრაციის პროცესში. დაიგეგმა სამომავლო შეხვედრა.

კვირეულის ფარგლებში „ამერიკული კუთხის“ მოხალისე ლიდერმა ელენე ხაჯიშვილმა ისაუბრა ამერიკელი მწერლის, მარკ ტვენის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე. იქვე მოეწყო მწერლის წიგნების გამოფენა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მთავარი საბავშვო ბიბლიოთეკისა და N3 ფილიალის ძალისხმევით ჩატარდა ერთობლივი ფოლკლორული საღამო „ლექსო, არ დაიკარგები“. ჭიათურის მთავარ ბიბ-

ლიოთეკაში გაიმართა საბიბლიოთეკო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპულ ჭიათურელ გმირებს.

ცენტრალური ბიბლიოთეკის N2 განყოფილებაში გაიმართა ღონისძიება „აი ია, აი ჩვენი დედა ენა“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქალაქის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალმა **ვალის** ბიბლიოთეკამ უმასპინძლა მესამე-მეოთხე კლასის მოსწავლეებს, რომლებმაც მოაწყვეს ხატვის საათი, წაიკითხეს ზღაპრები და დახატეს საყვარელი პერსონაჟები. ამავე გაერთიანების **საყუნეთის** ბიბლიოთეკამ, ახალგაზრდულმა ცენტრმა აღსაზრდელებთან ერთად ჩაატარეს ღონისძიება სახელწოდებით „ფარნავაზიდან იაკობამდე“. **ურავლის** ბიბლიოთეკამ და ახალგაზრდულმა ცენტრმა აღსაზრდელებთან ერთად მოაწყვეს კალიგრაფიის საათი.

ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში გაიმართა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სა-

ჯარო სკოლების მოსწავლეებმა. ასევე გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე“, რომელშიც მონაწილეობდნენ: წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა ილარიონი (კოსი), ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრის თანამშრომლები, პოეტი ქალბატონები, საჯარო სკოლების მოსწავლეები. მონაწილეებმა ისაუბრეს მადლისა და სათნოების შესახებ, წაკითხულ იქნა ბიბლიური იგავები. ჩატარდა აგრეთვე ბორჯომელი თვითნასწავლი ხელოვანის – ნინო კევლიშვილის ნამუშევრების გამოფენა და მასტერკლასი მოსწავლეებისთვის. მოეწყო „დედა ენის“ დღეს გამართული კალიგრაფიის კონკურსსა და საბიბლიოთეკო კვირეულში მონაწილე მოსწავლეების დაჯილდოება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრში 30 აპრილს ბიბლიოთეკარის პროფესიული დღე აღი-

ნიშნა! სოფელ სნოში გაიხსნა აღდგენილი ბიბლიოთეკა, რომელიც 2009 წლიდან აღარ ფუნქციონირებდა. მისი აღდგენა, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, 2019 წელს დაიწყო. საბიბლიოთეკო ქსელის ხელმძღვანელის, თეა ალიბეგაშვილის, სოფელ სნოს ბიბლიოთეკარების – მამა კონსტანტინე ლურსმანაშვილისა და ქალბატონ ირინე ავსაჯანიშვილის დაუღალავი შრომის შედეგად, სოფელ სნოში ჩამოყალიბდა წიგნადი ფონდი და მოეწყო სამკითხველო დარბაზი.

ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში მოეწყო წიგნების გამოფენა. მეფე თამარის ხსენების დღესთან დაკავშირებით ჩატარდა თემატური საღამო: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“. კონსტანტინე გასახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით გაიმართა მისი პოეტური და პროზაული ნაწარმოებების ხმამაღალი კითხვა.

ადიგენის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა დიდი გაერთიანებული ღონისძიება სახელწოდებით „დედაენა...წიგნი...სიტყვა...“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა, საჯარო და სამუსიკო სკოლების მოსწავლეებმა, ბიბლიოთეკის და სამუსიკო სკოლის თანამშრომელებმა და პედაგოგებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, კულტურის სამსახურის, ადიგენის საჯარო და სამუსიკო სკოლების ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლები.

გურჯაანის შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარდა თა-

მარ საგინაშვილის საჯარო ლექცია „როგორ გავუძლოთ კრიზისებს და ვიპოვოთ მათში ახალი შესაძლებლობები“. ლექციასთან ერთად გაიმართა წიგნ „სამასმეერთე მილიონერის“ პრეზენტაცია. საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვასთან დაკავშირებით მოეწყო ლიტერატურული საღამო. ბიბლიოთეკასთან არსებულმა ლიტერატურული სალონის წევრებმა მოწვეულ სტუმრებს წაუკითხეს საკუთარი და ქართველი პოეტების ლექსები; **სოფელ ვაჩნაძიანის ბიბლიოთეკის** ორგანიზებით ბიბლიოთეკის მკითხველებთან ერთად ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „წიგნი ჩემს ცხოვრებაში“. **სოფელ ზეგაანის ბიბლიოთეკაში** მოეწყო თვითნასწავლი მხატვრის, ლელა ქიტუაშვილის ნახატების გამოფენა. ავტორმა დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო, თუ როგორ დაიწყო ხატვა ინტერნეტიდან და თუ რა დიდ სიამოვნებას ანიჭებს ხატვა. **სოფელ არაშენდის ბიბლიოთეკაში** სოფლის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან ერთად ჩატარდა ღონისძიება სახლწოდებით, „თავისუფლება და კანონი“. **სოფელ ნანიანის ბიბლიოთეკის** ორგანიზებით ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი „ყველაზე ჭკვიანები“.

საბიბლიოთეკო კვირეული საზეიმოდ დაიხურა შოთა რუსთაველის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკაში.

ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების დარბაზში პროექტით „საქართველოს ინიციატივა“, გაიმართა ირაკლი ბოკუჩავასა და ნუგზარ რუხაძის წიგნის პრეზენტაცია. გურამ დოჩანაშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზში ჩატარდა შეხვედრა წიგნის „სიტყვათა ყულაბის შესავსებად“, ავტორ ლეილა ხონელიძესთან, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია და თავის მოსწავლეებს ქართული ლიტერატურის სიყვარულს ასწავლის. ღონიძიებას ესწრებოდნენ მოსწავლე-ახალგაზრდები, პედაგოგები, ბიბლიოთეკის მკითხველები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. კვირეულის ფარგლებში გაიმართა მარიამ მარჯანიშვილის წიგნის „დერჩის ქვების ღაღადისი“ წარდგენა, რომელიც მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძეს ეძღვნება. ნიკო ნიკოლაძის სახელობის N1 საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ფოთელი პოეტის, ლუიზა ჩხეტია-ზაქარაიას, პოეზიის საღამო. ღონისძიებას ესწრებოდნენ ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები და პედაგოგი ქრისტინე ბოჯგუა.

კვირეულის დახურვას ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლები, მწერლები, პოეტები და სხვა მიწვეული სტუმრები. რევაზ ჩხარტიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდ „ნეოიბერიას“ დირექტორმა ზვიად ჩხარტიშვილმა და ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ელგუჯა ჭეჟიამ სპეციალური სიგელებითა და ფულადი საჩუქრებით დააჯილდოეს ლიტერატურული სალონის წევრები. გაერთიანების დირექტორმა, ქალბატონმა ნუნუ ჭელიძემ საბიბლიოთეკო კვირეული შეაჯამა და პროფესიულ დღესთან დაკავშირებით ბიბლიოთეკარებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 2021 წლის გამოცემები

არჩილ გარსიაშვილი. ნამდვილ ამბავს ვამბობ [მოგონებები] / რედაქტორი ნინო გედენიძე; წინასიტყვაობის ავტ. ლევან თაქთაქიშვილი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. -169 გვ.



ზაქარია ფალიაშვილი= Zakaria Paliashvili. ქართული საგალობლები - Georgian Chants. იოანე ოქროპირის წირვის წესი = The Liturgy of John Chrysostom. მიძღვნილი ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით / სარედაქციო კოლეგია: ნანა შარიქაძე, გიორგი კეკელიძე, მარინა ქავთარაძე, რუსუდან წურწუმია, დავით შუღლიაშვილი, ქეთევან ბაქრაძე; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 241 გვ. – გამოცემას თან ახლავს კომპაქტ-დისკი.



ეთერ თათარაიძე, ამირან არაბული. ვიცანი ღმერთო სამყარო - ვაჟა ფშაველას ნაკვალევზე = God, I know the world you made – in the footsteps of Vazha-Pshavela / რედაქტორი ზაზა აბზიანიძე; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 240 გვ.

აკა მორჩილაძე = Aka Morchiladze. გრიგოლ ლორთქიფანიძე=Grigol Lortkipanidze / რედ.: ანტონ ვაჭარაძე, სალომე ჭანტურიძე; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 159 გვ.

ილმან იუსუფან მოვსურანი = Ілман Юсупан Мовсуран. მამა-პაპათა მიწის ნათელი=Дайн Лаьттан Серло / რედაქტორი მედინა ხანგოშვილი-ბარგიშოვა; თარგმანი კობა ჭუმბურიძისა; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 115 გვ.

თაუზ ისაევი. რჩეული / რედაქტორი ალექსანდრე მესხორაძე; თარგმანი ნიკა ბაძაღუასი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 110 გვ.



ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში: საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული / რედ.: ქეთევან ხუციშვილი, მირიან ხოსიტაშვილი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 318 გვ.

იოსებ იმედაშვილი. ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი 1801-1952. ტომი 2: ე-ლ / ტექსტს რედაქცია გაუკეთა, ხელნაწერი და მისი ვარიანტები შეადარა და ბიბლიოგრაფია შეავსო ქეთევან გზირიშვილმა; სარედ. კოლეგია: ლევან თაქთაქიშვილი და სხვ.; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. – თბ., 2021. – 897 გვ.

Giorgi Barisaschwili. Kleine Georgische Weinkunde / Aus dem georgischen übersetzt von Lia Wittek; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. - 96 გვ.



Евгений Вейденбаум. Сборник сведений к словарю кавказских деятелей (XIX – нач. XX вв.), собранных Евгением Густавовичем Вейденбаумом, известная как «Картотека Вейденбаума» / Ред. совет тома: Н.В. Мелкадзе, Л.Т. Тактакишвили, Ир. П. Якобашвили; Национальный Центр Рукописей Грузии им. акад. Корнелия Кекелидзе, Национальная Парламентская Библиотека Грузии. – Тб., 2021. – 824 ст.

ადიგენის ბიბლიოთეკები დღეს

მარცხნიდან: ადიგენის საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლები: ლამარა კიკაბიძე, მანანა ჩაგუნავა, პედაგოგი ქეთევან ფოგრიჭიანი, ბიბლიოთეკის დირექტორი ეკა ბოჩიკაშვილი კატარა მკითხველებთან ერთად

სოფელ უდის ბიბლიოთეკის თანამშრომლები: ლალი გიქოშვილი (მარჯვნივ), მანანა გიგოლაშვილი (უკან ცენტრში) და განყოფილების სხვა თანამშრომელები მკითხველებთან ერთად

ნიგნის ჭია. კარლ სპიტცვეგი. 1861 წ.